პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის 14—76
მდივნის 10—48
ღამის მორიგეს 12—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—31.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 30 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

- პილსუდსკი ლიტვასთან კონფლიქტის შესახებ.
- პოლონეთი პარტიზანულ რაზმებს აწყობს ვილნოში ლიტვის წინააღმდეგ.
- გერმანიის თამბაქოს მრეწველობის მუშების გაფიცვა.
- პოლონეთ-გერმანიის შეთანხმება ხე-ტყის მასალით ვაჭრობისა და საზღ. მიმოსვლის შესახებ.
- მოსკოვში ჩავიდა იაპონიის ეკონომიური მისია.
- პოლონეთის ელჩი პატეკი დაბრუნდა მოსკოვში.
- დღეს იხსნება პროფპროპაგანდის ლიგის კონფერენცია.
- ქართული უნივერსიტეტის დელეგაცია სომხეთში.

შაბათი, 3 დეკემბერი 1927წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 274 (2019)

კომუნისტი

გრძელდება ხელის მოწერა
დეკემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

იმპერიალისტები „უხერხულ“ მდგომარეობაში ჩავარდნენ

განიარაღების მომამზადებელ კომისიის სესიასთან დაკავშირებით, ფრანგული გაზეთი „მატენ“ ამას წინად სწერდა: „საბჭოთა წარმომადგენლების გამოსვლას შეუძლია დააბნიოს განიარაღების გულწრფელი მომხრენი“-ო. „განიარაღების გულწრფელ მომხრეებათ“—„მატენ“-ს სურს გაასაღოს იმპერიალისტური მთავრობები და ჯგუფები, რომელნიც ახალ მსოფლიო სისხლის ღვრას ამზადებენ და შეიარაღებას გამალებით აძლიერებენ, ხოლო ამავე დროს მასსების მოსატყუებლად სიტყვების კორიანტელს აყენებენ განიარაღებასა და მშვიდობიანობაზე. თუ ეს ელემენტები „შინაურ“ წრეში დროგამოშვებით „თავს ირთობდენ“ ამგვარი ლაყბობით და ამას თავის დიდ დამსახურებად სთვლიდენ კაცობრიობის წინაშე,—ეხლა ისინი პირდაპირ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდენ, რამდენადაც საბჭოთა დელეგაცია ესწრება მათ სხდომებს და შეუბრალებლად ამხელს იმპერიალისტების თაღლითობას. ამ მხრივ მართალი არიან „მატენ“ და სხვა გაზეთები, რომელნიც აცხადებენ, რომ საბჭოთა დელეგაციის ყოფნა ჟენევაში და მისი გამოსვლები „დააბნევენ“ იმპერიალისტურ ქვეყნების იქ შეკრებილ წარმომადგენლებს („განიარაღების გულწრფელ მომხრეებს“). ამიტომ, სრულებით უსაფუძვლო არ ყოფილა ის ნერვიულობა და შიში, რომელიც ჟენეველ „მშვიდობის მოყვარეთა“ შორის გამოიწვია განიარაღების კომისიაში საბჭოთა მთავრობის მონაწილეობამ.

სხვათა შორის, ამით აიხსნება, რომ ინგლის-საფრანგეთ-იტალიის დელეგაციები შეეცადენ განიარაღების საკითხის მიფუჩეჩებას, რომ საბჭოთა წარმომადგენლებისათვის მოესპოთ ამაზე ჩვენი დეკლარაციის გამოქვეყნების საშუალება. სესიის მესვეურებმა მოიწადინეს სესიის დღის წესრიგის შეზღუდვა მხოლოდ ე. წ. უშიშროების კომისიის არჩევით და მისი მუშაობის გეგმის შედგენით. მაგრამ ამ ხრიკმა არ გასჭრა. ამხ ლიტვინოვის ენერგიულმა პროტესტმა კომისია აიძულა ხსენებულ განზრახვაზე ხელი აეღო და მოესმინა ჩვენი პროგრამა განიარაღების შესახებ.

ეს მესამე შემთხვევაა, როცა საბჭოთა მთავრობას შესაძლებლობა მიეცა მთელი მსოფლიოს გასაგონათ, იმპერიალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენელთა ასეთ ფართო კრებაზე გამოსულიყო თავისი თვალსაზრისით განიარაღების და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. პირველი იყო გენუის კონფერენციაზე 1922 წ. მეორე იყო ამავე წელს იმავე ჟენევაში—საერთაშორისო ეკონომიურ კონფერენციაზე. მაგრამ უკანასკნელი უმთავრესად სახელმწიფოთა ეკონომიურ ურთიერთობის საკითხებს იხილავდა, ამასთან ოფიციალურად შესდგებოდა არა მთავრობების წარმომადგენლებისაგან, არამედ სამეურნეო ორგანიზაციებისაგან (გარდა საბჭოთა კავშირის დელეგაციისა), და ამიტომ მას აქ მხედველობაში არ ვიღებთ. რით განირჩევა ერთი მეორისაგან ჩვენი გამოსვლა გენუაში და ეხლა, ჟენევაში, ან, უკეთ, მაშინდელი და ეხლანდელი პერიოდი? პირველი, 1922 წ. მეორე მსოფლიო ომის მუქარა ისე არ ყოფილა ისე უშუალო და რეალური, როგორც დღეს, თუმცა ომის საფრთხე ჩამარხული იყო ქვეყნების მაშინდელ ურთიერთობაში, რომელიც შემდეგ სულ უფრო მწვავდებოდა. მეორე, საბჭოთა რესპუბლიკა იმ დროს ოდნავადაც არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც ეხლა, და იმპერიალისტებს, მიუხედავად მათი ინტერვენციის დამარცხებისა, კვლავ ჰქონდათ იმედი ჩვენი განადგურებისა ან შინაგანი გადაგვარების მაინც, ხოლო ამჟამად თვით ისინი ამ იმედის დამსხვრევის მოწმენი არიან. ბოლოს, საერთაშორისო მუშათა კლასი და ფართე წრეები [illegible] და ამავე დროს მათში იზრდება სიმპატიები საბჭოთა კავშირისადმი. ყველაფერი ეს განსაკუთრებულ წონას და მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა დელეგაციის გამოსვლას ჟენევაში.

საბჭოთა მთავრობამ „მარტივი“ პროგრამა წამოაყენა და, როგორც ერთი გაზეთი წერს, ამიტომაც უაღრესად დამაფიქრებელი. სრული საყოველთაო განიარაღება, ყველა სამხედრო ძალების დაშლა, ყველა საომარ საშუალებათა მოსპობა—ასეთია ჩვენი თვალსაზრისი, რომლის გატარება ერთად-ერთი გზაა მშვიდობიანობის დასაცავად, უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამის მაგივრად კი „განიარაღების გულწრფელი მომხრენი“,—ახალი ხოცვა-ჟლეტის მოციქულები რამოდენიმე წელიწადია ბჭობენ, თუ რა არის უშიშროების უზრუნველყოფა, რამდენი ჯარი შეუძლია ჰყავდეს თვითეულ ქვეყანას, რამდენი ფლოტი, ჰაეროპლანები, ტეხნიკური მოწყობილობა და სხვ. ამნაირად ნათელ საკითხს განიარაღების შესახებ აბნელებენ, გაურბიან განიარაღების პრობლემის კონკრეტულად დაყენებას, მიტომ, რომ აქ მათი შეთანხმება შეუძლებელია. ამიტომაა, რომ განიარაღების კომისიის მუშაობა წარმოადგენს უნაყოფო „თეორიულ“ დისკუსიას და ბუნდოვან, არაფრის მთქმელ რეზოლიუციების ზღვას. ამ გზით იმპერიალისტებს სურთ განიარაღების საკითხის განხილვა გადასდონ „ქერმისისათვის“, რომელსაც დასასრული არ უჩანს, ხოლო ამავე დროს სინამდვილეში ინტენსიურად წარმოებს შეიარაღება და მზადდება სამხედრო კონფლიქტები.

რა თქმა უნდა, ჩვენ იმდენად გულუბრყვილონი არა ვართ, რომ გვჯეროდეს, თითქო კაპიტალისტურ წყობილების დროს შეიძლებოდეს განიარაღების მიღწევა და ომის გამომწვევ მიზეზების მოსპობა. ეს კიდეც აღნიშნა ამხ. ლიტვინოვმა თავის დეკლარაციაში. მაგრამ რაკი ერთა ლიგის ხელმძღვანელები თვალთმაქცურად გაიძახიან, რომ ისინი განიარაღებას უჭერენ მხარს და ამისათვის კონფერენციებსაც იწვევენ, ჩვენი მოვალეობაა ვამხილოთ ისინი და ამასთან გამოვამჟღავნოთ ჩვენი მტკიცე ნებისყოფა მშვიდობიანობისა და განიარაღებისადმი.

გასაგებია ის თავგზარდამსხმელი შთაბეჭდილება, რომელიც სესიაზე საბჭოთა დელეგაციის გამოსვლამ მოახდინა. „არავინ არ მოელოდა, რომ ვინმე გაბედავდა განიარაღების ისეთი გეგმის წამოყენებას, როგორიც ლიტვინოვის გეგმაა. ლიტვინოვთან ახლო მჯდომ ლორდ კუშენდენმა, ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ, დააღო თვალები, გამახვილა ყურთა სმენა და ხშირად აქნევდა თავს. ის სუნთქვა შეუჩერდა, როცა ლიტვინოვი უდიდესი დამშვიდებით მოითხოვდა ომის ყველა საშუალების მოსპობას“. — გადმოგვცემს დეპეშა. კომისიის თავმჯდომარე, ლოუდონი შეეცადა საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციის გამო კამათის გადადებას, მაგრამ ეს არ მოხერხდა. როცა კამათი გამოცხადებულ იქნა, „არავინ ითხოვდა სიტყვას. შეიქნა მეტად დაბნეული მდგომარეობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა“. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ბოროტმოქმედნი დაჭერილი არიან „დანაშაულის ადგილას“. ისინი განიარაღებაზე ლაყბობენ, ჩვენ კი წარუდგინეთ ნამდვილი განიარაღების კონკრეტიული პროგრამა, რომლის მიღება იმპერიალისტებს არც სურთ და არც შეუძლიათ. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ განიარაღებაზე ლაპარაკით მათ სურთ დაფარონ თავისი იმპერიალისტური ზრახვები და საქმენი. ამიტომ ეძებენ ისინი იმ ჩიხიდან გამოსავალს, რომელშიაც საბჭოთა დელეგაციის გამოსვლამ მოამწყვდია ჟენევის „მშვიდობიანობის მოციქულნი“. ამისათვის, ცხადია, არ გამოდგება იმაზე მითითება, თითქო საბჭოთა დეკლარაცია დემაგოგია და პროპაგანდა იყოს და თითქო „მოსკოვი“ იმპერიალისტურ მიზნებს ისახავდეს, როგორც ამას „ტან“-ი წერს. ამხ. ლიტვინოვმა კარგად სთქვა თავის სიტყვაში: „ჩვენ მოველით, რომ ზოგიერთი ჯგუფები შეეცდებიან ჩვენი პროგრამა და რეზოლიუცია დაახასიათონ როგორც პროპაგანდა. ამ შემთხვევაში ჩვენ მზად ვართ მივიღოთ გამოწვევა და ვაცხადებთ, რომ ეს არის მშვიდობიანობის პროპაგანდა. ასეთ პროპაგანდას ჩვენ ვაწარმოებდით და შემდეგშიაც ვაწარმოებთ. თუ განიარაღების მოსამზადებელი კომისია არ არის შესაფერი ადგილი მშვიდობიანობის პროპაგანდისათვის, უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენ აქ გაუგებრობით ვიმყოფებით“-ო. ამნაირად, „ტან“-ის არგუმენტაცია იმპერიალისტებს სცემს ცხვირში, და არა საბჭოთა მთავრობას. ზედმეტია იმის განმარტება, რომ საბჭოთა მთავრობა არა მარტო პროპაგანდას ეწევა მშვიდობიანობისათვის. არამედ მთელი მისი პოლიტიკა მიმართულია ამ მშვიდობიანობის განმტკიცებისაკენ და ამ პოლიტიკის დახასიათება დემაგოგიის სახელით ვერავითარ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობამ მთელ მსოფლიოს ერთხელ კიდევ ამცნო, რომ ის ყველა საშუალებებით იცავს საყოველთაო განიარაღებას და იბრძვის ომის ასაცილებლად, რომელსაც იმპერიალისტები ამზადებენ. მან საჯაროდ ამხილა განიარაღებაზე მოლაყბე იმპერიალისტების ნამდვილი ბუნება და მისწრაფებანი. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა წინადადებები დამარხავი იქნება. მაგრამ ისინი ამით როდი კარგავენ მნიშვნელობას. საბჭოთა მთავრობის გამოსვლა ჟენევაში შეიქმნება იმპერიალიზმის წინააღმდეგ მასების ბრძოლის ახალ ფაქტორად.

ამხ. ლიტვინოვის წინადადებებმა „დავთრები“ აუბნია იმპერიალისტებს

ამერიკის დელეგაციის წევრები, ჟენევაში, აღნიშნავენ, რომ „საბჭოთა დეკლარაცია სერიოზულ გამოხმაურებას ჰპოვებს და გააძლიერებს ნდობას საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკის გულწრფელობისადმი“

საბჭოთა კავშირის დეკლარაცია უშიშროების კომისიის შესახებ

ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა: „უშიშროების კომისიის შექმნა ყურადღებას ჩამოაშორებს მთავარ საკითხს—განიარაღებას.—საბჭოთა დელეგაცია უარს აცხადებს ამ კომისიაში მონაწილეობაზე, მაგრამ გაგზავნის იქ თავის მეთვალყურეს“.

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა.—უცხოეთის პრესა საბჭოთა დელეგაციის წინადადების შესახებ

საბჭოთა ტაქტიკის გამარჯვება

საერთო აზრი

ჟენევა, 1 დეკემბერი. ლიტვინოვის სიტყვას დამსწრენი განსაკუთრებული ყურადღებით ისმენდენ. ლიტვინოვის სიტყვის დამთავრების შემდეგ, კომისიის სხდომა შესწყდა დღის 4 საათამდე.

საერთო აზრით, ლიტვინოვის სიტყვის დაშვება კონფერენციის დასაწყისში, საბჭოთა ტაქტიკის გამარჯვებას ნიშნავს.

სესიის მონაწილენი საბჭოთა დეკლარაციას „უხერხულად“ სთვლიან, მაგრამ **აღიარებენ, რომ ამ დეკლარაციის წყალობით ჟენევაში პირველად ისმება განიარაღების საკითხი არსებითად.**

ჟურნალისტების წრეებში ამტკიცებენ, რომ საბჭოთა დეკლარაცია წინადადებებთან ერთად არ იქნება განხილული და დაიმარხება ქვეკომისიაში, ან და დეკლარაციის განხილვა გადატანილი იქნება განიარაღების კომისიის შემდეგ სხდომაზე, რადგან სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი ინგლისი, ცდილობენ, რომ კომისიის სესია დამთავრდეს ამ კვირაში.

პოლიტიკური ჯამი

ჟენევა, 1 დეკემბერი. **საერთო აზრით, გუშინდელი დღის პოლიტიკური ჯამი საბჭოთა დელეგაციის სასარგებლოდაა.**

ამერიკის დელეგაციის წრეებში ხაზს უსვამენ, რომ საბჭოთა დეკლარაცია, მიუხედავად იმისა, რომ მას აფასებენ, როგორც პროპაგანდისტულ გამოსვლას, ჰპოვებს სერიოზულ გამოძახილს და განამტკიცებს ნდობას საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობის გულწრფელობისადმი. ამ წრეებში აღნიშნავენ, რომ საბჭოთა დელეგაციის ამ გამოსვლის შედეგად ბურჟუაზიული ქვეყნები ველარ შესძლებენ დაკმაყოფილდენ ლიტონი ფრაზებით განიარაღების შეუძლებლობაზე მითითებით, საბჭოთა კავშირის ვითომდა აგრესიულობის გამო.

ინგლისის დელეგაციის სიჩუმეს ხსნიან ინგლისის კაბინეტის შინაგანი მდგომარეობის სირთულით (ადს).

ლორდები უკმაყოფილონი არიან

ლონდონი, 1 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ რეიტერის აგენტთან საუბარში მოსამზადებელ კომისიის ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარემ, ლორდმა კიუშენდენმა განაცხადა:

„საბჭოთა ყველა წინადადებები სრულიად გარეშე არიან კომისიის მუშაობის საგნისათვის“.

კიუშენდენმა უარი განაცხადა შეეფასებინა საბჭოთა წინადადებანი, სანამ განიარაღების საკითხი მნიშვნელოვნად არ წაიწევს წინ (ადს).

კ ა მ ა თ ი

ჟენევა, 1 დეკემბერი. 30 ნოემბერს განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის საღამოს სხდომაზე, კომისიის თავმჯდომარე **ლოუდონი** შეეცადა გადაედო საბჭოთა დელეგაციის დეკლარაციის განხილვა იმ საბაბით, რომ საჭიროა წინასწარი გაცნობა იმ ახალ მასალებთან, რომლებიც წარმოადგინა საბჭოთა დელეგაციამ. საფრანგეთის დელეგატმა **პოლ ბონკურმა** მხარი დაუჭირა ლიტვინოვის წინადადებას.

შემდეგ ლოუდონმა კამათი გახსნილად გამოაცხადა, მაგრამ სიტყვა არავის არ ითხოვა. შეიქნა უხერხული მდგომარეობა, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. სიტყვა ითხოვა პოლ ბონკურმა.

„საბჭოთა დელეგაციის დასწრება — განაცხადა პოლ ბონკურმა,— ახალი იმედებით გვაფრთოვანებს, ვინაიდან ყველა არა ერთხელ გრძნობდა, თუ რამდენად ძნელია განიარაღების საკითხის გადაჭრა ისეთი დიდი ქვეყნის მონაწილეობის გარეშე, როგორიც არის საბჭოთა კავშირი“.

საბჭოთა დეკლარაციის კრიტიკულ ნაწილს პოლ ბონკურმა უწოდა ულმობელი.

შემდეგ გამოვიდა გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე **ბერნსტორფი**, რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ დაინიშნოს ლიტვინოვის მიერ შემოტანილი რეზოლიუციის მეორე წაკითხვის თარიღი; ამავე დროს შეუფარდდეს საბჭოთა წინადადებების განხილვა. ბერნსტორფმა წამოაყენა წინადადება, რომ მეორე კითხვა დაინიშნოს თებერვლისათვის.

შემდეგ გამოვიდა ბენეში (ჩეხო-სლოვაკია), რომელმაც წამოაყენა წინადადება, რომ დაუყოვნებლივ მოხდეს უშიშროების კომისიის არჩევნები.

შემდეგ სიტყვა აიღო **ლუნაჩარსკიმ**

ამხ. ლუნაჩარსკის სიტყვა



ჟენევა, 1 დეკემბერი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის საღამოს სხდომაზე 30 ნოემბერს კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელმაც განაცხადა:

იმ ასეულ პრობლემების შესწავლამ, რომლებიც დაგროვილია კომისიის წინაშე, შეიძლება კაცი სასოწარკვეთილებაში ჩააგდოს. ეგრედწოდებულ სახელმწიფო კაცებმა გააკეთეს ყველაფერი იმისათვის, რომ შეეფერხებიათ კომისიის მუშაობა. ჩვენ ვხედავთ თქვენს დაბნეულობას და ამიტომ გადავწყვიტეთ გიჩვენოთ გზა, რომელიც ნათელია საზოგადოებრივი აზრის უფართოეს წრეებისთვის, სრული განიარაღების გზა.

იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჩვენს წინადადებაში,—როგორც ამტკიცებს ბენეში,—არ არის არაფერი ახალი, თქვენ მაინც იძულებული იქნებით დაუბრუნდეთ ამ გზას, რომ გამოხვიდეთ ჩიხიდან. პოლ-ბონკური ამბობს, რომ განიარაღების შემდეგაც დიდი სახელმწიფოები დარჩებიან ძლიერი, პატარა სახელმწიფოები კი სუსტი. მაგრამ, განიარაღება არ აუარესებს არსებულ მდგომარეობას, ვინაიდან ის კაცობრიობას გაანთავისუფლებს უდიდეს არა საწარმოო ხარჯებისაგან. მით უმეტეს, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო მოინდომებს აქ მიღებულ ვალდებულებათა დარღვევას, ყველა სხვა სახელმწიფოები ვალდებულნი არიან წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთ გამოსვლას. ამრიგად, პოლ-ბონკურის მოსაზრება მნიშვნელობას კარგავს.

ბატონო თავმჯდომარევ, ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია ვიცოდეთ — მიღებულია თუ არა ჩვენი წინადადება და როდის იქნება ის განხილული? თუ კომისიისთვის საძნელოა მისი განხილვა დაუყოვნებლივ, ჩვენ თანახმა ვართ შეუერთდეთ გრაფ ბერნსტორფის წინადადებას“ (ადს).

უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს კ ო მ ი ს ი ა

ამხ. ლიტვინოვის განცხადება

ჟენევა, 1 დეკემბერი. მოსამზადებელი კომისიის 30 ნოემბრის საღამოს სხდომაზე **ლიტვინოვმა** საპასუხოდ კომისიის თავმჯდომარის შეკითხვაზე უშიშროების კომისიისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების შესახებ, წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია:

„საბჭოთა კავშირის დელეგაცია იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ უშიშროების კომისიის შექმნა აუცილებლად დააშორებს ყურადღებას განიარაღების ძირითად საკითხისაგან. **საბჭოთა დელეგაცია იმ რწმენისაა, რომ დაუყოვნებლივი ან თანდათანობითი სრული განიარაღება წარმოადგენს მთელი მსოფლიოსათვის უშიშროების უფრო ხანგრძლივ, რეალურ და მისაღებ გარანტიას.** საბჭოთა დელეგაცია ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას იმ ტაქტიკისათვის, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს განიარაღების საკითხის ჩაშლა ან დაუსრულებლად გადადება. ვინაიდან უშიშროების კომისია თავის მუშაობას დააფუძნებს ერთა ლიგის იმ კრებებისა და ლიგის საბჭოს იმ რეზოლიუციებზე, რომლებშიაც საბჭოთა კავშირის მთავრობას არ მიუღია მონაწილეობა.

გარდა ამისა, ეს რეზოლიუციები გამომდინარეობენ იმ იდეებიდან, რომლებსაც საბჭოთა მთავრობა არ იზიარებს.

ყოველივე ზემო ნათქვამის გამო, საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უშიშროების კომისიაში. მაგრამ, საბჭოთა დელეგაცია მზადაა თვალყური ადევნოს უშიშროების კომისიაში მის მოღვაწეობას იმ ფარგლებში და ფორმაში, რომლებსაც დაუშვებს მოსამზადებელი კომისია — ერთი მხრით, და მეორე მხრით — დამაკმაყოფილებელი იქნება ჩვენთვის“. (ადს).

კამათი უშიშროების კომისიაში

ჟენევა, 1 დეკემბერი. უშიშროების კომისიის დილის სხდომაზე განხილულ იქნა მომავალი მუშაობის მეთოდები. წმინდა ტეხნიკურ საკითხების გარჩევამ მალე ადგილი დაუთმო პოლიტიკურ დისკუსიას უშიშროების უზრუნველყოფელ კოლექტიურ ხელშეკრულებათა სისტემის შესახებ. **კამათის მსვლელობამ სავსებით გაამართლა ლიტვინოვის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციის და ლიტვინოვის სიტყვის სათანადო ადგილები იმის შესახებ, რომ დავა უშიშროების გარანტიის შესახებ გამოიწვევს განიარაღების გადადებას დიდი ხნით. საფრანგეთსა და ინგლისს შორის არსებულ წინააღმდეგობების გამო, კომისია ჩიხში მოექცა.** ბენეშმა წამოაყენა წინადადება შეწყვეტილ იქნეს სხდომა მეორე დღემდე კომპრომისის გამოსანახად. შესაძლოა, რომ ამასთან დაკავშირებით, სესია გაგრძელდება 3 ან 4 დეკემბრამდე. ლიტვინოვი სხდომაზე დაესწრო, როგორც მეთვალყურე. (ადს).

ამერიკის საბოტაჟი

ჟენევა, 1 დეკემბერი. **ჩრ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადეს უშიშროების გარანტიების საკითხების განმხილველ კომისიაში მონაწილეობაზე და ამ კომისიაში თავისი მეთვალყურის დანიშვნაზე.** (ადს).

პ რ ე ს ი ს გ ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

გერმანიის პრესის აზრი

ბერლინი, 1 დეკემბერი. **ბერლინის გაზეთები დაწვრილებით აქვეყნებენ ცნობებს განიარაღების მოსამზადებელი კომისიის პირველი სხდომის შესახებ და მთავარ ყურადღებას აქცევენ საბჭოთა დელეგაციის გამოსვლას.**

„ტეგლიხე რუნდშაუ“ იუწყება: „როგორც ჩანს ჟენევაში არსებობს განზრახვა მიღწეულ იქნას საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის დელეგაციების პოზიციების მთლიანობა საბჭოთა წინადადებების მიმართ. საბჭოთა დელეგაციის წინადადებები სურთ გამოაცხადონ ისეთებად, რომლებიც სცილდებიან მოსამზადებელი კომისიის ამოცანების ფარგლებს“.

„ფორვერტს“-ის ჟენეველი კორესპონდენტი სწერს, რომ ლიტვინოვის განცხადებები შეიძლება შეფასებულ იქნას მხოლოდ, როგორც პროპაგანდისტული დემონსტრაცია (ადს).

ბერლინი, 1 დეკემბერი. „ახტ ურ აბენდბლატ“-ის ჟენეველი კორესპონდენტი იუწყება: **„განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის ეხლანდელ სესიის დასაწყისს ვერ და ივიწყებს ვერც ერთი დამსწრეთაგანი. არავინ არ მოელოდა, რომ ვინმე გაბედავდა განიარაღების ისეთი რადიკალური გეგმის წარდგენას, როგორიც ლიტვინოვის გეგმაა.** ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე ლორდ კუშენდენმა, რომელიც ლიტვინოვის ახლო იჯდა, დააღო თვალები, გამახვილა ყურთა სმენა და ხშირად აქნევდა თავს. მას სუნთქვა შეუჩერდა, როცა ლიტვინოვი უდიდესი დამშვიდებით მოითხოვდა ომის ყველა საშუალებების მოსპობას. პოლიტიკურ ინტერესს წარმოადგენდა ცნობა, რომ საბჭოთა მთავრობამ ვარშავაში ნოტის გაგზავნასთან ერთდროულად გაფრთხილების ნოტა გაგზავნა აგრეთვე კოვნოში. აქ კი თავები, რომლებიც დახრილი იყვენ გასაქანებლად არა თანხმობის ნიშნად, უნდა ჩაქინდრულიყვენ. ლიტვინოვმა, ალბად, გარკვეული მოსაზრებით შემოინახა ეს განცხადება სიტყვის ბოლოს, რათა დაენახვებია, რომ მოსკოვს რეალური პოლიტიკის წარმოებაც შეუძლია“ (ადს).

ინგლისის პრესის კომენტარიები

ლონდონი, 1 დეკემბერი. ინგლისის პრესის კომენტარიები საბჭოთა წინადადებების შესახებ ჟენევაში მთლიანად ემყარება ჟენეველ კორესპონდენტების ცნობებს; კორესპონდენტები თითქმის ერთხმად უწოდებენ საბჭოთა წინადადებებს უტოპიურს, მეოცნებეს, რომანტიულს და სხვ.

მაგრამ „დეილი ქრონიკლ“-ი სარგებლობს შემთხვევით, რომ გამოთქვას მოთხოვნილება ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების შესახებ“.

„რუსეთის და ინგლისის დელეგატების ყოფნა ჟენევაში—სწერს გაზეთი—თავისთავად საკმაოა იმის დასანახად, თუ რა აბსურდს წარმოადგენს, რომ მათ არ შეუძლია შეხვდენ ერთმანეთს ლონდონში ან მოსკოვში“.

„დეილი ჰერალდ“-ი სწერს, რომ სანამ საბჭოთა წინადადებებს არ დაუპირდაპირდება რომელიმე სხვა სამოქმედო გეგმა, ყველა სხვა სახელმწიფოების განცხადებები, რომ ისინი მზად არიან განიარაღდენ მოკლებული იქნებიან ყოველ ძალას.

„ლიტვინოვმა—სწერს გაზეთი—ჩაიდინა ერთ ერთი ის მარტივი საქმე, რომლებიც გვაოცებენ სწორედ თავის სიმარტივით. მან წინადადება მისცა განიარაღების კომისიას, განეხილა განიარაღების საკითხი. დანარჩენ მთავრობათა პასუხებში ადგილი ექნება მათ რეალურ განზრახვათა უაღრესად მნიშვნელოვან გამომჟღავნებას“. (ადს).

გერმანიის პრესა ვალდებულებისაგან თავის დაძვრენის პოლიტიკა

ბერლინი, 1 დეკემბერი. „ტეგლიხე რუნდშაუ“ პოლ ბონკურის გამოსვლის გამო სწერს. „თუ საფრანგეთისათვის საკმაო არ არის უშიშროების ეხლანდელი გარანტიები, მაშინ არასოდეს არ შეიძლება შეიქმნას მისთვის უშიშროება და არასოდეს არ შეიძლება იძულებული გავხადოთ ის განახორციელოს განიარაღება, რაიც მან იკისრა ვერსალის ხელშეკრულებით. **ამ ვალდებულებათაგან განთავისუფლება,—სწორედ ამაში მდგომარეობს ჟენევაში და სხვაგან წარმოთქმული ლამაზი ფრაზების მიზანი“**, (ადს).

მხოლოდ საბჭოთა კავშირი იცავს მშვიდობიანობას

ბერლინი, 1 დეკემბერი. „ბერზენ კურიერი“, უკეთებს რა კომენტარიებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, სწერს:

„ტრაგიკულად უნდა იქნას ცნობილი, რომ განიარაღების სერიოზული პროგრამა, რომელსაც სწრაფად მივყევართ მიზნისაკენ, ჟენევაში მიაჩნიათ სრულიად განუხორციელებლად და ფანტასტიურად. **გერმანიის თვალსაზრისით, შეიძლება მხოლოდ გულწრფელად ვისურვოთ, რომ ჟენევაში ყველა ერებს ჰყავდეთ მშვიდობიანობის ისეთი იმედიანი მოციქულები, როგორიცა არიან საბჭოთა კავშირის წარმომადგენელნი, რომელთაც აღნიშნეს ის საფრთხე, რომელიც მთელ მსოფლიოს მოელის განიარაღების გაგრძელებით და [illegible] თავდაცვითი კავშირების სისტემით“.** (ადს).

საფრანგეთის პრესა

ლიტვინოვის გამოსვლების შესახებ

პარიზი, 1 დეკემბერი. „კოტიდიენი“, უკეთებს რა კომენტარიებს ლიტვინოვის გამოსვლას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიაზე, სწერს:

„მოქმედება ასე თავშეკავებული და ფარულ პროპაგანდისა, რომელიც დღემდე ხორციელდებოდა საბჭოთა საელჩოებში, ეხლა გადაიტანეს, ვინაიდან რევოლიუციონური ხმების გამოძახილი ჟენევიდან უფრო შორს წავა და უფრო ხმა-მაღლა გაისმის. ეს არის ის, რაც სურთ სტალინს, ლიტვინოვს და ჩიჩერინს“.

„ტანი“ და „ჟურნალ დე დება“ ხაზს უსვამენ ლიტვინოვის წინადადებათა „წმინდა დემაგოგიურ ხასიათს“, მოსკოვს სდებენ ბრალს იმპერიალიზმში და ამტკიცებენ, რომ ლიტვინოვი „ლაპარაკობდა მხოლოდ კომუნიზმისა და საბჭოების კლიენტურისათვის“. (ადს).

ლენინის პარტიის მეთხუთმეტე ყრილობა

დღეს იხსნება სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობა, ამ პარტიის უზენაესი დაწესებულება, ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის საუკეთესო კომუნისტების საბჭო, პროლეტარული ავანგარდის შემჭიდროვებული ნებისყოფა და აზროვნება.

ჩვენი დროის რკინის ეპოქაში, იმპერიალისტური ომების, პროლეტარულ რევოლიუციების, კოლონიალურ აჯანყებების ეპოქაში, ეპოქაში, როდესაც დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ამობრწყინდა მუშათა დიქტატურის წითელი ვარსკვლავი, ყოველი წელი, ყოველი მანძილი კომინტერნის უძლიერეს პარტიის ყრილობებს შუა ავსილია უდიდესი ისტორიული შინაარსით. დისტანციები. ჩვენს ყრილობებს შუა—ჭეშმარიტად ისტორიული დისტანციებია, რომლებსაც კაპიტალიზმი მიჰყავთ აღსასრულისაკენ, ხოლო ყველა ქვეყნის გაყვლეფილნი—გამარჯვებისაკენ. მე-15 ყრილობიდან დღევანდლამდე ჩვენმა პარტიამ გაიარა დიდი გზა. განვლილმა ორმა წელმა დიდათ შესცვალა ჩვენი საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა, რამდენ ამბავმა, რამდენ ისტორიულმა ტრაგედიამ, ბრძოლის რამდენმა გმირობამ და საბედისწერო მომენტებმა განვლეს ამ ორ, მხოლოდ წელში. უდიდესი ამბები ინგლისის მეფის ქვეყანაში, შეუპოვარი რევოლიუციონური ბრძოლები აღმოსავლეთში—ჩინეთში, ვენის მუშების შეტევა ივლისში, საერთაშორისო კონფლიქტების ახალი კვანძები, ომის საფრთხის მოახლოვება, შანტაჟი და პროვოკაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ინგლის-რუსეთის ურთიერთობის ჩაშლა, საზიზღარი თავდასხმა და [illegible] და ვოიკოვის მოკვლა.

ქვეყნის შიგნით—გაცხოველებული მუშაობა, სოციალისტური მშენებლობის. ნამდვილი დუღილი, განსაზოგადოებული გეგმიანი მეურნეობის წარმატება, ვოლხოვის ჰიდრო-ელექტრო სადგური, დნეპრის ჰიდრო-ელექტრო სადგური, ახალი ქარხნები; ბრძოლა ჩვენი ჩამორჩენილობის, ნეპმანის, კულაკის წინააღმდეგ; მშრომელთა აქტივობის არაჩვეულებრივი ზრდა გაფთრებული ბრძოლა უკულტურობასა, წერა-კითხვის უცოდინარობასთან და ამასთან დაკავშირებით ბიუროკრატიზმთან და ბავშვთა უპატრონობასთან. მოკლედ—პროლეტარული დიქტატურის შემდეგი გამტკიცება, უდიდესი ნაბიჯი წინ.

პარტიის შიგნით—ლენინელთა სიმტკიცის ზრდა, ჩვენი რიგების ბოლშევიკური შეგნების კიდევ უფრო გაღრმავება. პარტიაში განხეთქილების შეტანის ცდები სასტიკად მარცხდება. სპეკულიაცია სიძნელეზე სამარცხვინოდ კოტრდება. მარცხდება თამაში მუშების პასივობით, სიმხდალით და მათ ძალაში რწმენის დაკარგვით, ტროცკის წვრილბურჟუაზიული ოპოზიცია მისი გუშინდელი მტრებით, ტყე, იაროსლავის სადგური, არალეგალური სტამბები; თვალთმაქცური დაპირება, მენშევიკური დეკლარაციები, ბატონ შჩერბაკოვებთან არალეგალური კავშირის „პლატფორმა“, ცდა —ფარსი 7 ნოემბერს, დემონსტრაციის მოწყობისა და ამის შედეგად ოპოზიციის თავზარდამცემი დამარცხება. პარტია რჩება მთლიანი, ტროცკიზმის მენშევიკური ბუნება გამოაშკარავებულია ისე, როგორც არასოდეს. პოლიტიკურად დამბლა დაცემულნი გარბიან პროლეტარულ ბანაკიდან, ხოლო ათი ათასობით მუშები შედიან პარტიაში. მთელი პარტია მტკიცეა—ის, საჩუქარი მე-15 ყრილობას. პარტიის მთლიანობა დაცულია და მტკიცე პროლეტარიატის დიქტატურის მთელი ათი წლის მანძილზე. ფაქტი, რომელიც არც კი წარმოედგინათ ჩვენს, ყველაზე შორსმჭვრეტელ მტრებსაც.

დღეს ჩვენი ბოლშევიკური პარტია იკრიბება გენერალურ თათბირზე. პარტია, რომელსაც თავის ისტორიაში აქვს უკვდავი დიდების ფურცლები, პარტია რომლის ძალებიც იღუპებოდა ბრძოლაში მეფეების ბატონყმურ დესპოტიის წინააღმდეგ, პარტია, რომელმაც ოქტომბრის უკვდავ ღამეებში საბრძოლველად გამოიყვანა მილიონი ხალხი, პარტია; რომლის წინააღმდეგაც გაერთიანდენ ძველი ქვეყნის ყველა ძალები, რომლებმაც ვერ შესძლეს მისი ნებისყოფის გატეხვა, პარტია; რომელიც შაბათობებზე ტვირთავდა ვაგონებს და თოფით ხელში იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე, დაამარცხა ტიფი; ბლოკადა; საშინელ გაპარტახებულ მდგომარეობიდან გამოიყვანა ქვეყანა, ხოლო ეხლა ხელმარჯვედ აშენებს სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში, პარტია, რომელიც მუდამ იყო და დარჩება საერთაშორისო რევოლიუციის პარტიული მამა, პარტია, რომელსაც ხელთ უპყრია დიდი ლენინის წმინდა დროშა, უდიდეს ნაბიჯების, ფოლადის ძარღვების, უცვალებლო სიმტკიცის; სალი მოფიქრების, თავის საბოლოო გამარჯვებით ღრმად დარწმუნებული პარტია დღეს ხსნის თავის მე-15 ყრილობას.

უსურვოთ ლენინელთა მე-15 ყრილობას სრული გამარჯვება მის უდიდეს მუშაობაში რევოლიუციისა და სოციალიზმისათვის. ჩვენი მხურვალე სალამი მე-15 ყრილობის დელეგატ ამხანაგებს. დიდი პარტიის რჩეულთ, პროლეტარული ბათალიონების ნებისყოფის გამომხატველთ, სოციალიზმის მოწინავე მშენებელთ; საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთ; კომინტერნის მოწინავე რაზმს.

„პრავდა“, 2 დეკემბერი.

პარტიული ყრილობა

ყრილობის გახსნა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. დღეს საღამოთი გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობა. ყრილობას ესწრება 1.612 დელეგატი — 887 გადამწყვეტი ხმით და 725 სათათბირო ხმით. ყრილობა გაიხსნა ამხ. **რიკოვის** სიტყვით, რომლის ტრიბუნაზე ასვლას მხურვალე ტაშის ცემით და ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა მთელი ყრილობა. ამხ. რიკოვის სიტყვის დამთავრების შემდეგ ყრილობის დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან „ინტერნაციონალს“.

ყრილობის ორგანოების არჩევა

ამხ. რიკოვი სიტყვას აძლევს ამხ. **ციხონს**, რომელსაც წინადადება შეაქვს არჩეული იქნას **პრეზიდიუმი** 52 კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის არიან ამხანაგები: **სტალინი, რიკოვი, კალინინი, ბუხარინი, რუძუტაკი, ვოროშილოვი, მიქოიანი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ტომსკი, უგლანოვი, იაროსლავსკი, კოსიორი, მენჟინსკი**, და სხ. ყრილობამ ერთხმად მიიღო ამხ. ციხონის წინადადება. ერთხმად იქნა არჩეული აგრეთვე სამდივნო 15 კაცის შემადგენლობით. შემდეგ ყრილობამ აირჩია **სარედაქციო** და **სამანდატო** კომისიები და დაამტკიცა ყრილობის წინედ გამოქვეყნებული დღის წესრიგი და რეგლამენტი. ამის შემდეგ ამხ. რიკოვი სიტყვას აძლევს ამხ. **ორჯონიკიძეს**, რომელსაც ყრილობა მხურვალე ტაშით ხვდება.

ამხ. ორჯონიკიძის განცხადება

ამხ. ორჯონიკიძე კითხულობს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 12 ნოემბრის დადგენილებას ცეკას იმ წევრებისა და კანდიდატების გამორიცხვის შესახებ, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ ოპოზიციონერ მუშაობაში და ხელმძღვანელობდენ ოპოზიციის მუშაობას; იგი კითხულობს აგრეთვე დადგენილებას პარტიიდან ტროცკისა და ზინოვიევის გამორიცხვის შესახებ. ცენტრ. საკონტრ. კომისიის პრეზიდიუმის ეს დადგენილება,— ამბობს ამხ. ორჯონიკიძე, — მიღებულ იქნა მას შემდეგ, როცა ამოწურულ იქნა ოპოზიციაზე ზეგავლენის ყველა საშუალებანი. ოპოზიციამ არა ერთხელ მუხანათურად დაარღვია თავისი დაპირებანი გამთიშავი მუშაობის შეწყვეტის შესახებ. 1926 წლის 16 ოქტომბრის დაპირება გამთიშველ მუშაობის შეწყვეტის შესახებ ოპოზიციის ბელადებმა თითქმის მეორე დღესვე დაარღვიეს. ასევე დაარღვიეს თავისი დაპირება მიმდინარე წლის 8 აგვისტოს თარიღით. ოპოზიცია უკანასკნელ ხანებში შეუდგა ისეთ მუშაობას, რამაც იგი ფაქტიურად პარტიის გარეშე დააყენა. **აუცილებელია ბოლო მოეღოს საქმის ასეთ მდგომარეობას**, — აცხადებს ამხ. ორჯონიკიძე, — ყრილობამ უნდა განიხილოს ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობის დამახასიათებელი მასალები და უნდა გამოიტანოს თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილება, რომელნაც უნდა უზრუნველჰყოს პარტიის შემდგომი ნაყოფიერი მუშაობა სოციალიზმის მშენებლობისათვის.

ოპოზიციის მუშაობის განმხილველი კომისია

ამხ. რუტინის წინადადებით ყრილობა ირჩევს კომისიას 66 კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა განიხილოს მასალები და დოკუმენტები ოპოზიციის მუშაობის შესახებ. კომისიის წევრებს შორის არიან: ამხ. ორჯონიკიძე, ტომსკი, კალინინი, იაროსლავსკი, სოლცი, კოროსტელოვი, უგლანოვი, სკრიპნიკი და სხ. კომისია გაეცნობა მასალებსა და დოკუმენტებს, რომელნიც ახასიათებენ ოპოზიციის მუშაობას და თავის მოსაზრებებს მოახსენებს ყრილობას.

ამხ. კლარა ცეტკინის სიტყვა

ამხ. რიკოვი მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ამხ. **კლარა ცეტკინს**, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდენ. ამხ. კლარა ცეტკინი თავის სიტყვას ამბობს გერმანულ ენაზე. იგი ყრილობას ესალმება კომინტერნის აღმასკომის სახელით და უსურვებს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას. ამხ. ცეტკინა თავის სიტყვაში ხაზს უსვამს იმ დეზორგანიზატორულ მუშაობას. ამხ. ცეტკინი თავის სიტყვაში მუშაობას, რომელსაც ოპოზიცია აწარმოებს. მუშათა მასებმა,—ამბობს ამხ. ცეტკინი,—დაგმეს ოპოზიცია. ჩვენთვის დაუვიწყარია ის უდიდესი დემონსტრაცია ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე, რომლის დროსაც მუშათა მასებმა გვიჩვენეს, რომ ისინი უსაზღვრო ნდობით ეკიდებიან ლენინურ კომუნისტურ პარტიას და მის ეხლანდელ ხელმძღვანელობას.

მისალმებანი ყრილობას

შემდეგ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს მთელმა რიგმა დელეგატებმა ფაბრიკა-ქარხნებიდან, ინჟენერთა. გლეხთა წარმომადგენლებმა და სხ. მთელი საღამოს სხდომა მოუნდა მისალმებებს. დელეგატებმა ყრილობას გადასცეს საჩუქარი—ჰაეროპლანების, ლუმელების მოდელები, მხატვრული ადრესები, დროშები და სხვა.

საღამოს სხდომა დამთავრდა ამხ. რიკოვის სიტყვით, რომელშიაც მან უპასუხა მისალმებებზე. ხვალ დილის სხდომაზე ყრილობა მოისმენს ამხ. **სტალინის** მოხსენებას. (ადს).

ყრილობის დღის წესრიგი

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობის დღის წესრიგი ასეთია:

1) „ს. კ. პ. (ბ) ცეკას პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში—მომხსენებლები ამხ. **სტალინი** და ამხ. **კოსიორი**.

2) ცენტრალურ სარევიზიო კომისიის ანგარიში მომხსენებელი—ამხ. **კურსკი**.

3) ცენტრალურ საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ანგარიშები—მომხსენებელი ამხ. **ორჯონიკიძე**.

4) ანგარიში ს. კ. პ. (ბ) დელეგაციისა კომინტერნის აღმასკომში—მომხსენებელი ამხ. **ბუხარინი**.

5) დირექტივები სახალხო მეურნეობის ხუთწლიან გეგმის შესადგენად—მომხსენებლები ამხ. **რიკოვი** და ამხ. **კრჟიჟანოვსკი**.

6) მოხსენება სოფლად მუშაობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. **მოლოტოვი**.

7) პარტიის ცენტრალურ დაწესებულებების არჩევა.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. კ. ესალმება პარტიას

მოსკოვი, 2 დეკემბერი. განათლების მუშაკთა კავშირის ცეკას მესამე პლენუმმა ერთხმად მიიღო მიმართვა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკასადმი და გადაჭრით გმობს ტროცკისტული ოპოზიციის მოქმედებას, განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ლენინური ხელმძღვანელობით პარტია ოპოზიციის იერიშების შემდეგ კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმა და გააქედა ლენინიზმის რევიზიის ცდებთან ბრძოლაში. რეზოლიუცია შეტანილ იქნა პლენუმის უპარტიო დელეგატის ვოლკოვის (უკრაინა) მიერ.

ბოლდუინმა მოატყუა თემთა პალატა

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა

მოსკოვი, 2 დეკემბერი. როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტო იუწყებოდა 29 ნოემბერს, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა **ბოლდუინმა** უარყოფითი პასუხი გასცა მუშათა პარტიის წევრ **ვეჯვუდის** მიერ თემთა პალატაში მისთვის მიცემულ შეკითხვაზე: „იყო თუ არა რაიმე პასუხი რუსეთის მთავრობის მხრით ბოლდუინის მიერ 9 ნოემბერს [illegible] წარმოთქმულ სიტყვაზე, რომელშიაც [illegible] იყო რუსეთთან ურთიერთობის განახლების შესაძლებლობა“?

ბოლდუინის ეს უარყოფითი პასუხი, როგორც მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ ინგლისის ხელმძღვანელი წრეები და ინგლისის საზოგადოებრივობა შეიძლება არ იცნობდეს ამხ. რიკოვის მიერ უკრაინის კომპარტიის მე-10 ყრილობაზე წარმოთქმულ (საბჭოთა პრესაში 25 ნოემბერს გამოქვეყნებულ) იმ სიტყვის შინაარს, რომელშიაც ამხ. **რიკოვმა ბოლდუინის მიერ 9 ნოემბერს გილდჰოლლეში წარმოთქმულ სიტყვის საპასუხოდ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტაში ერთადერთ დამნაშავედ სთვლის ინგლისის მთავრობას და რომ საბჭოთა მთავრობა არ ამბობს უარს დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობის განახლებაზე.** ბოლდუინის მიერ წამოყენებულ პრინციპების—სხვა სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის საფუძველზე შემდეგი ფორმულის მიხედვით: **„ბოლდუინი არ ერევა ჩვენს საქმეებში, რიკოვი არ ერევა დიდი ბრიტანეთის საქმეებში“.**

მაგრამ, გამორკვეულია, რომ ამხ. რიკოვის სიტყვის შინაარს უსათუოდ იცნობს ინგლისის საზოგადოებრივობა. ამხ. რიკოვის განცხადება გამოქვეყნებული იყო (26 ნოემბერს, ე. ი. თემთა პალატის დასახელებულ სხდომამდე სამი დღით ადრე) ინგლისის პრესის უდიდეს ორგანოებში, როგორც, მაგალითად, „ტაიმს“-ში, „დეილი ტელეგრაფში“-ში, „მანჩესტერ გარდიენ“-ში და სხ. („დეილი ტელეგრაფ“-მა, მაგალითად, ცნობას ამხ. რიკოვის სიტყვის შესახებ გაუკეთა სათაური: „რუსეთის პასუხი პრემიერ მინისტრს“).

მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ამხ. რიკოვის სიტყვა, რომელიც ასე ფართოდ გაავრცელა ინგლისის პრესამ და რომელიც, ალბად, ნაგულისხმევი იყო დეპუტატ ვეჯვუდის შეკითხვაში,—არ შეიძლება არ სცოდნოდა პრემიერ მინისტრს. (ადს).

ამერიკის მთავრობა ფარკვარის კონცესიის შესახებ

ვაშინგტონი, 2 დეკემბერი. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთ. შტატების გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ იგი არ იწონებს იმ საკონცესიო ხელშეკრულობას, რომელიც ფარკვარის ფირმამ დასდო საბჭოთა კავშირთან მაკეევის კომბინატის ქარხნებისათვის მოწყობილობის მიწოდების შესახებ. ამასთანავე სამინისტრო ხაზს უსვამს, რომ ფირმას ჩრევა არ მიუღია ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობისაგან. სამინისტრო აღნიშნავს, რომ **„თუ ამერიკის საქმიან და საბანკო წრეებს იმდენად საკმაო ნდობა აქვთ საბჭოთა კავშირში არსებული პირობებისადმი, რომ შეუძლიათ საბჭოთა კავშირს მისცენ გრძელვადიანი კრედიტები ამერიკის საქონლის შესაძენად, — სამინისტროს ასეთი ხელშეკრულებების საწინააღმდეგო არაფერი აქვს“.** (ადს).

საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

დელეგატები ყრილობაზე

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობაზე ჩამოვიდა—გადამწყვეტი ხმით 850 დელეგატი და სათათბირო ხმით—601 დელეგატი. (ადს).

საანგარიშო კრებები

მოსკოვი, 2 დეკ. ყოველ დღე მოდის ცნობები იმ საანგარიშო კრებების შესახებ, რომლებსაც მართავენ საზღვარ-გარეთ საბჭოთა კავშირში მყოფი დელეგაციები. კრებებს ესწრება აუარებელი მუშები და აგრეთვე ინტელიგენცია. (ადს).

პროფპროპაგანდის ლიგის კონფერენცია

მოსკოვი, 2 დეკემბერი. 8 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნება პროფპროპაგანდის ლიგის კონფერენცია. პროფინტერნის აღმასრულებელი ლიგისთვის გაგზავნილ მისასალმებელ დეპეშაში გამოსთქვამს რწმენას, რომ ლიგა პროპაგანდის ორგანოდან გადაიქცევა ამერიკის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელობის ორგანოდ. (ადს).

ნანკინის ამბების მიზეზი

შანხაი, 1 დეკემბერი. ინგლისის ელჩის წინადადებით, პეკინის დიპლომატიურმა კორპუსმა წინადადება მისცა უცხოეთის ელჩებს ხანკოუში, რომ არავითარი საქმე არ იქონიონ გენერალ ჩენ-ჩი-ენ-თან, რომლის ხელში არის დღეს ხანკოუ. ამ ბრძანებას ხსნიან იმით, რომ ჩენ-ჩი-ენი არის მიზეზი ნანკინის ამბების. (ადს).

ზედამხედველების გატაცება

შანხაი, 1 დეკემბერი. გაფიცულმა მტვირთავებმა გაიტაცეს ორი ზედამხედველი და ერთი შტრეიკბრეხერი.

იაპონიის ელჩმა შანხაის თავდაცვის კომისარს მოსთხოვა გატაცებულთა დაუყოვნებლივი განთავისუფლება და ზომების მიღება იაპონელ მოქალაქეთა ქონების დაცვისათვის. (ადს)

პოლონეთი და ლიტვა

პილსუდსკის „ლოღიკა და სახელმწიფოებრივი გონიერება"

ვარშავა, 2 დეკემბერი. 30 ნოემბერს პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში პილსუდსკი შეეხო მობილიზაციას, რომელიც ვითომც გამოაცხადეს ლიტვაში და განაცხადა:

„ომის მდგომარეობამ, რომელიც ლიტვის მთავრობამ მოგვახვია თავზე, ძალიან მნიშვნელოვანი ხნის განმავლობაში, მაიძულა არა ერთხელ მეფიქრა იმ დღის შესახებ, თუ როდის მომიხდება გადაწყვეტილების მიღება. პოლონეთისა და ლიტვას შორის ომის მდგომარეობის საკითხი ამჟამად გადატანილია საერთაშორისო ნიადაგზე, სადაც მშვიდობიანობის ტენდენციები სჭარბობს. ამიტომ მე გადავსწყვიტე დავიცვა ლოღიკისა და სახელმწიფოებრივი გონიერების მოთხოვნილებანი და საფრანგეთის ელჩს განუცხადე, რომ არ ვაცხადებ მობილიზაციას და ველოდები ერთა ლიგის საბჭოს პასუხს ჩვენს ნოტაზე.

მე აუცილებლად ვსცნობ ამჟამად ჩემს თანამემამულეებს მივმართო მოწოდებით, რათა დაიცვან მშვიდობიანობა, რომელიც აუცილებელია საფრთხის წინაშე". (ადს).

ლიტველი სოციალ-დემოკრატების თანხმობით

რიგა, 2 დეკემბერი. ვილნოდან მიღებული ცნობებით, იქ სწარმოებს შედგენა პარტიზანული რაზმების, რომლებმაც აჯანყება უნდა მოაწყონ ლიტვაში. ეს რაზმები შესდგება ლიტველი ემიგრანტებისა, პლეჩკაიტისის ჯგუფის მოხრეთა და პოლონელებისაგან. პლეჩკაიტისი და პოპლავსკი ამტკიცებენ, რომ ისინი მოქმედებენ ლიტველი სოციალ - დემოკრატების თანხმობით.

რეზოლიუციები

კოვნო, 1 დეკემბერი. ოფიციოზი „ლეტუვოსი" აქვეყნებს პროვინციალური კრებების მრავალ რეზოლიუციებს, რომელშიაც ნდობას უცხადებენ მთავრობას და რომელნიც გმობენ პოლონელების, პლეჩკაიტისის და იმ პირების მოქმედებას, რომელნიც „ავრცელებენ ყალბ ხმებს". (ადს).

ლიტველ ოფიცრების მოთხოვნილება

კოვნო, 1 დეკემბერი. „იდიშე სტიმე" ოფიციალური ცნობების მიხედვით იტყობინება, რომ რამოდენიმე ლიტველი ოფიცერი მივიდა ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეებთან და წინადადება მისცა მათ შეეწყვიტათ პოლიტიკური მუშაობა არმიაში. ოფიცრები მიცემული არიან დისციპლინარულ პასუხისგებაში.

გაფიცვები

სიდნეის მტვირთავთა გაფიცვა

ლონდონი, 1 დეკემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით სიდნეიში (ავსტრალია) გაიფიცენ მტვირთავები. გემების პატრონები აცხადებენ რომ თუ მტვირთავებმა არ განაახლეს მუშაობა, ყველა გემები დაკავებული იქნება ნავთსადგურებში ხანგრძლივი ვადით (ადს).

ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის

ბერლინი, 1 დეკემბერი. ბრძოლა სამუშაო ხელფასისათვის სიგარების მრეწველობაში, სადაც ლოკაუტი ჰქონდა გამოცხადებული 100.000 მუშას, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ დამთავრდა კომპრომისული შეთანხმებით. სამუშაო ხელფასის მხრივ ეხლანდელი კოლექტიური ხელშეკრულება ძალაში რჩება 1928 წლის აპრილამდე, ეხლანდელ განაკვეთებს 1929 წლის მარტიდან ემატება 10-12 პროცენტი. შვებულების ვადა მუშებს გაუგრძელდა 4 დღიდან 6 დღემდე წელიწადში. (ადს).

გერმანელ რკინისგზელების გაფიცვა

ბერლინი, 1 დეკემბერი. დრეზდენში გაფიცულ 1.300 რკინის გზის მუშას, რომელთაც მხარს უჭერს 2000 მუშა, რომლებმაც იტალიური გაფიცვა გამოაცხადეს, მიემხრენ საქონლის სადგურის მუშა-მოსამსახურენი. დრეზდენის გაფიცვასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქალაქებში ხდება რკინის გზელთა კრებები, რომლებზედაც ირჩევა ბრძოლის ფარგლების გაფართოების საკითხი. მოძრაობა ვრცელდება ბერლინის სადგურებსა და რკინისგზის სახელოსნოებზედაც. რკინის გზელთა კავშირის ბერლინის კომიტეტმა ულტიმატუმის ფორმით აცნობა რკინისგზელთა პროფკავშირის პრეზიდიუმს, რომ თუ საკითხი ბერლინის რკინისგზელთათვის ხელფასის მომატების შესახებ არ გადაიჭრა დეკემბრის 1-სთვის, მეორე დღეს მოწვეული იქნება რკინისგზელთა საერთო კრება გაფიცვის საკითხის განსახილველად (ადს).

გოტო იაპონია-საბჭოთა მეგობრობის შესახებ

ტოკიო, 1 დეკემბერი. გოტომ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ იაპონია-საბჭოთა მეგობრობას იაპონიისთვის აქვს ისეთივე საერთაშორისო მნიშვნელობა, როგორც მეგობრობას ჩინეთთან ან ვაშინგტონის ხელშეკრულებას.

„მე მივემგზავრები საბჭოთა კავშირში,— სთქვა გოტომ,—როგორც კერძო მოქალაქე, მაგრამ, როგორც იაპონია-საბჭოთა მეგობრობის საძირკვლის ჩაყრის მონაწილე, მზათ ვარ საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს ყველაფერი გავაკეთო, რათა უფრო მჭიდრო კავშირი დავამყაროთ ამ ორ ქვეყანას შორის. (ადს).

პატეკის დაბრუნება

მოსკოვი, 2 დეკემბერი. მოსკოვში დაბრუნდა პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში — პატეკი. (ადს).

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

ვარშავა, 2 დეკემბერი. პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ და გერმანიის ელჩმა რაუშერმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ხე-ტყის მასალებით ვაჭრობის შესახებ; ხელშეკრულებას წინასწარ მოაწერეს ხელი წარსულ კვირაში. ამასთან ერთად ხელმოწერილია დროებითი სარკინიგზო შეთანხმება ერთი წლის ვადით. (ადს).

იაპონიის ეკონომიური მისია

მოსკოვი, 2 დეკემბერი. მოსკოვში ჩამოვიდა იაპონიის საგანგებო ეკონომიური მისია, რომელიც დაბრუნდა გერმანიიდან, სადაც ის იაპონიის მთავრობის დავალებით ეცნობოდა ქვეყნის ეკონომიკას. მისიას მეთაურობს კუხარა—იაპონიის მთავრობის საგანგებო ეკონომიური ელჩი. (ადს).

საბჭოთა კავშირში.

რუსეთი

შვიდი საათის სამუშაო დღე

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსებული კომისია ამხ. კრავალის თავმჯდომარეობით—მრეწველობაში შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის მოსამზადებელ მუშაობის ჩასატარებლად. (ადს).

საკავშირო მუზეუმი-პანთეონი.

ლენინგრადი, 2 დეკემბერი. დამთავრდა ორგანიზაციო მუშაობა საბჭოთა კავშირში მუზეუმ-პანთეონის შესაქმნელად. პანთეონი გაიხსნება ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ყოფილ სასახლეში. პანთეონში შენახული იქნება გამოჩენილ ადამიანთა ნეშთები და რელიკვიები.

ხარჯების შემცირების შემოწმება

მოსკოვი, 2 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირების შესახებ გამოცემული დირექტივის შესრულების შემოწმების დროს გამოარკვია, რომ ქარხნებმა „კრასნოე სორმოვომ" და აგრეთვე „პროფინტერნმა" ხარჯების შემცირების ნაცვლად ხარჯები 1926—27 წელში გაადიდეს 25 პროცენტით.

„გომზას" გამგეობას წინადადება მიეცა მიიღოს ენერგიული ზომები ხარჯების შემცირების შესახებ გამოცემული დირექტივის შესასრულებლად. (ადს).

სპარსეთის სავაჭრო დელეგაცია ამხ. ხინჩუკთან

მოსკოვი, 2 დეკემბერი. თეირანში გამგზავრების წინ სპარსეთის სავაჭრო დელეგაციას თეირანის სავაჭრო პალატის თავმჯდომარის ამინე-ზარბის მეთაურობით მიიღო საბჭოთა კავშ. ვაჭრობის სახ. კომისრის მოადგილემ ამხ. ხინჩუკმა. დელეგაციას თან ახლდენ რუსეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის წარმომადგენლები ბუკშტეინი და მირზა ჯაფარ-ხანი.

დელეგაციამ ამხ. ხინჩუკის ყურადღება მიაქცია მთელ რიგ საკითხებზე, რომელთა დამაკმაყოფილებელი გადაჭრა, დელეგაციის აზრით, საჭიროა საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის ვაჭრობის წარმატებით განვითარებისათვის. ამასთან ერთად დელეგაციამ გამოსთქვა სურვილი, რომ გაძლიერებულ იქნას სპარსეთში საბჭოთა საქონლის შეზიდვა, როგორც მაგალითად შაქარი, მანუფაქტურა და სხვა. გაძლიერებულ იქნას გადასაზიდი საშუალებანი კასპიის ზღვაზე და სეზონური საქონელი გადაგზავნილ იქნეს საჭირო ვადებში.

თავის საპასუხო სიტყვაში ამხ. ხინჩუკმა აღნიშნა, რომ ამჟამად აღმოსავლეთის ბაზრები დიდ მოთხოვნილებას უდგენენ საბჭოთა საქონელს, განსაკუთრებით სპარსეთი სპარსეთ-საბჭოთა ხელშეკრულების დადების შემდეგ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი მიიღებს ყველა ზომებს, რომ უახლოეს ხანებში გაძლიერებულ იქნას საქონლის მიწოდება სპარსეთის ბაზრისათვის იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მისი მოთხოვნილება საბჭოთა საქონელზე.

უკანასკნელ დღეებში სპარსეთის სავაჭრო დელეგაციამ ინახულა მთელი რიგი დაწესებულებები და ქარხნები, მათ შორის ამხ. სმიდოვიჩის სახელობის მოსკოვის პირველი ელექტრო-სადგური, სახ. ელ. ტრესტის ქარხნები, მოსკოვის „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა" და საკაბელო ქარხანა. ბამბეულობის მთავარ კომიტეტში დელეგაციამ დაათვალიერა საბჭოთა კავშირისა და სპარსეთის ბამბის სტანდარტული ნიმუშები, სამეცნიერო გამოკვლევათა კაბინეტი და სხვ. (ადს).

ინგლისის მემაღაროეთა დელეგაციის დეკლარაცია

მოსკოვი, 1 დეკემბერი. ინგლისის მემაღაროეთა დელეგაცია სამთამადნო მუშების კავშირის ცეკაში გაეცნო საბჭოთა კავშირის სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას იმ მიწერ-მოწერას მემაღაროების საერთაშორისო ფედერაციასთან, რომელიც ეხებოდა საბჭოთა მემაღაროების კავშირის ინტერნაციონალში მიღების შესახებ არა ერთხელ აღძრულ საკითხს. მიწერ-მოწერის გაცნობის შემდეგ, ინგლისის დელეგაციამ მემაღაროეთა ცეკას პრეზიდიუმს გადასცა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ მისი აზრით ახალი წესები, რომლებიც აწესრიგებენ საერთაშორისო საწარმოო სამდივნოსა და ამსტერდამის ინტერნაციონალის ურთიერთობას შეუძლებლად ხდიან საბჭოთა მემაღაროების მიღებას მემაღაროეთა ინტერნაციონალში.

„ამიტომ,—ნათქვამია დეკლარაციაში—ჩვენ ვიმუშავებთ მემაღაროეთა ინგლის-რუსეთის კომიტეტის შესაქმნელად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კომიტეტი ინგლისის მემაღაროებს უდიდეს სამსახურს გაუწევს იმ მომენტში, როცა მათ შრომისა და ხელფასის ისეთი ცუდი პირობები ემუქრება, როგორიც არ გვხდომია წილად უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე". (ადს).

საფრანგეთის დელეგაცია ერევანში

ერევანი, 2 დეკემბერი. 2 დეკემბერს დილით ერევანში ჩამოვიდა საფრანგეთის დელეგაცია 13 კაცის შემადგენლობით. სადგურზე გამართულ მიტინგის შემდეგ, სადაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დელეგაციის თავმჯდომარე და სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გოხტუნი, დელეგაცია გაემგზავრა პროფკავშირებისაკენ. დელეგატებს საუბარი ჰქონდათ სომხეთის პროფმოძრაობის ხელმძღვანელთან ამხ. კუზნეცოვთან. შემდეგ დელეგაციამ ინახულა ქალაქი და მუშათა კოოპერატიული სახლები. დელეგაციამ ნახა აგრეთვე კინო სურათი „ნამუსი", რომელმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საღამოს, კულტურის სახლში, სტუმრებთან ერთად გაიმართა პროფაქტივის სხდომა. სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (ადს).

საბჭოთა კავშირი

ქართული უნივერსიტეტის დელეგაცია სომხეთში

ერევანი, 2 დეკემბერი. ჩამოვიდენ საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა წარმომადგენელნი, უნივერსიტეტის რექტორი ღლონტი, პრორექტორი ნუცუბიძე და პროფ. კეკელიძე. პირველ დეკემბერს მათ ინახულეს სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუმრებს მისალმა სომხეთის უნივერსიტეტის რექტორი აკოპ-იოანესიანი, რომელმაც აღნიშნა საქართველოს და სომხეთის უნივერსიტეტების დაკავშირების უდიდესი მნიშვნელობა.

ქართველ პროფესორებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე სომხეთის განათლების სახალხო კომისარმა ხოჯამირიანმა რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„დღევანდელი დღე ამიერ-კავკასიის ფედერაციის ცხოვრებაში ერთი მნიშვნელოვანი დღეთაგანია, რომელმაც საფუძველი დაუდო საქართველოს და სომხეთის კულტურულ შეკავშირების საქმეს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა ამხ. ღლონტმა, რომელსაც საზოგადოება მქუხარე ტაშის ცემით და ოვაციებით შეხვდა.

— სომხეთის და საქართველოს ხალხები, — განაცხადა ამხ. ღლონტმა, თავისი ისტორიული განვითარების მსვლელობაში არასოდეს ისე მჭიდროთ ხელიხელ ჩაკიდებული არ ყოფილან, როგორც ეხლა. მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ წილად მხვდა შეკავშირების გატარება სომხეთის და საქართველოს ეროვნულ კულტურათა გაერთიანების სფეროში. მხოლოდ ფედერაციას შეუძლია განავითაროს პატარა ერების კულტურული და მორალური შესაძლებლობანი. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის ეროვნულ კულტურათა სწრაფი განვითარების მიზნით.

შემდეგ პროფ. ნუცუბიძემ სტუდენტების კრებას გადასცა ქართველი სტუდენტობის 7 ათასიანი ორგანიზაციის მხურვალე სალამი. „ჩვენ არ შევმცდარვართ განაცხადა—ამხ. ნუცუბიძემ როცა კულტურული შეკავშირება დავიწყეთ სომხეთში ჩამოსვლით.

ნუცუბიძის შემდეგ ილაპარაკა პროფ. კეკელიძემ, რომელმაც აღნიშნა ამიერ-კავკასიის ხალხების კულტურული კავშირის დიდი მნიშვნელობა.

სომხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურის სახელით საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამხ. ქეჩეკი, რომელიც შეეხო საქართველოს და სომხეთის კულტურული გაერთიანების მნიშვნელობას, იმ ნაციონალური შუღლის აღმოფხვრის საქმეში, რომელიც ბნელი ძალების მიერ იქმნებოდა მთელი ისტორიის მანძილზე.

სომხეთის სტუდენტობის სახელით ამხ. ივანიანმა სთხოვა დელეგაციას გადასცეს მხურვალე სალამი საქართველოს სტუდენტობას.

2 დეკემბერს დელეგაციამ დაათვალიერა ერევნის ღირსშესანიშნავი ადგილები.

პარტიული ცხოვრება

ყრილობის წინა დისკუსია

მოსკოვი, 2 დეკემბერი. დისკუსიის დაწყებიდან 1 დეკემბრამდე მიღებულ ცნობების მიხედვით ჩატარებულია უჯრედის 10.675 კრება, ცეკას თეზისების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 721.213 კაცმა, ცეკას ხაზს სასარგებლოდ ხმა მისცა 714.488 კაცმა, წინააღმდეგ—4.093, ან კრების მონაწილეთა 0.5 პროც. თავი შეიკავა 2.632 ან 0,3 პროც.

ოქტომბრის გაწვევა

მოსკოვი, 1 დეკემბერი. 1 დეკემბრისათვის მიღებული ცნობების მიხედვით, საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ქალაქებში კვლავ შემოვიდა 1.181 განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ (ადს).

პარტია ოპოზიციის წინააღმდეგ

ერთხმად დეზორგანიზატორების წინააღმდეგ

(№ ქართული მსროლელი ლეგიონი)

ჩვენი ლეგიონის პარტიულ კრებაზე, რომელსაც დაესწრო კომკავშირის აქტივი. ოპოზიციის მოღალატურ მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სამხედრო კომისარმა ამხ. კვარაიამ. მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში სხვათა შორის ნათქვამია:

„პარტკოლექტივის გაერთიანებული კრება კომკავშირელებთ ერთად უდიდეს აღშფოთებას გამოსთქვამს ოპოზიციის თავაშვებულ ანტიბოლშევიკურ მუშაობის წინააღმდეგ... მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ ემოქმედნათ პარტიის წესდების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის სიტყვები და კონტრ-თეზისები იბეჭდება ჩვენს პრესაში, გაკოტრებული ოპოზიციის ლიდერები განშორდენ პარტიულ და საბჭოთა ლეგალობის ფარგლებს და დაიწყენ აშკარა ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა მუშაობა. ოპოზიციის დღევანდელი საქმიანობა აშკარა კონტრ-რევოლიუციონურ ხასიათს ატარებს.

ჩვენი ლენინის პარტიულ ორგანიზაციას არა ერთხელ გამოუთქვამს უღრმესი აღშფოთება პარტიის ყველა გამთიშველებისა და დეზორგანიზატორების წინააღმდეგ. პარტიას არა ერთხელ დაუსვამს ოპოზიციისათვის კითხვა კატეგორიულად: „ან პარტიასთან ან პარტიის გარეთ". მაგრამ ოპოზიცია მაინც თავისას განაგრძობს, დღეს როდესაც ბოლშევიკური პარტია იშორებს თავის რიგებიდან ხორცმეტად გადაქცეულ ელემენტებს ზინოვიევ-ტროცკის მეთაურობით, ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაცია, სრულ კმაყოფილებას გამოსთქვამს ამის გამო ჰპირდება პარტიას ყოველგვარ დახმარებას ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლაში".

რა უნდათ პარტიაში დეზორგანიზატორებს

(ხაშური)

ხაშურის პარტიულ ორგანიზაციის საქალაქო კრებაზე, რომელსაც დაესწრო ადგილობრივ კომკავშირის აქტივიც, მოსმენილ იქნა ამხ. კორსაველის მოხსენება ჩვენი შინა-პარტიულ მდგომარეობის შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად მოითხოვდენ პარტიის დეზორგანიზატორების წინააღმდეგ უსასტიკესი ზომების მიღებას. კრებაზე გამოვიდენ ყოფილი ოპოზიციონერები, რომელნიც ერთხმად უერთდებოდნენ ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მიერ მიღებულ გადამჭრელ ზომებს ოპოზიციის წინააღმდეგ, დასასრულ ხაშურის საქალაქო კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც კრება იწონებს ზინოვიევისა და ტროცკის პარტიიდან გამორიცხვას. კრება საჭიროდ სცნობს, რათა გაძევებულ იქნან კომპარტიის რიგებიდან მიშა ოკუჯავა, ვირაპის ტიპის გაუსწორებელი ოპოზიციონერები. „ხაშურის ორგანიზაცია, ნათქვამია რეზოლიუციაში, მუდამ მტკიცედ იდგა და იდგმება ლენინიზმის დროშის სადარაჯოზე".

სალაპარაკო აღარაფერი აქვთ

(სამტრედია)

ჩვენთანაც შესდგა საქალაქო და სატრანსპორტო კომუჯრედების გაერთიანებული კრება სადაც ამხ. სევერიანე მინდაძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება ჩვენ შინაპარტიულ მდგომარეობაზე. კამათში მონაწილეობა მიიღო ოპოზიციონერებმაც. მიუხედავად იმისა, რომ კრებამ სრული საშუალება მისცა ოპოზიციის ორატორებს თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი, მათ ვერაფერი ნახეს სალაპარაკო. მათ გამოსვლამ საცოდავი შთაბეჭდილება დასტოვა კრებაზე. დასასრულ 6 კაცის წინააღმდეგ 140 ხმით მიღებული იქნა რეზოლიუცია: სადაც სხვათა შორის ნათქვამია:

„კომუჯრედების გაერთიანებული კრება სრულიად უერთდება საკავშირო კომპარტიის ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილებას ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. კრება კატეგორიულად მოითხოვს პარტიის უმაღლეს ორგანოებისაგან, რათა ლ. დუმბაძის, ბ. კალანდაძის; ნ. აკირტავასი; კ. ოკუჯავასი; ნ. კეკნაძესი და სხვების მსგავსად დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნან პარტიის რიგებიდან 15-თა განცხადების დანარჩენი ავტორებიც.

გულწრფელი პატიოსანი ოპოზიციონერები უკვე დაუბრუნდნენ ბოლშევიკურ პარტიას. სამტრედიის კომუჯრედების გაერთიანებული კრება უძღვნის რა უმხურვალეს სალამს პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს, იმედს გამოსთქვამს, რომ ეს ორგანოები რკინის ცოცხით გასწმენდს ჩვენს რიგებს ყველა გახრწნილი და გადაგვარებული ელემენტებისაგან".

საქმიან კრიტიკას გაურბიან:

(ლაგოდეხი; სოფ. მ.)

ლაგოდეხის თემში ჩატარდა თემის ორგანიზაციის გაერთიანებული კრებები. ამ კრებებმა საფუძვლიანად განიხილეს კითხვა შინაპარტიული მდგომარეობის და ოპოზიციის დეზორგანიზატორული მუშაობის შესახებ. მაგრამ ყურადღების ღირსია ის მდგომარეობა, რომ ლაგოდეხის ორგანიზაციის გადაწყვეტილებას დეზორგანიზატორების დაგმობის შესახებ წინ აღუდგა ლაგოდეხის უჯრედის წევრები: ლ. ლობჟანიძე და ს. ბოჭორიშვილი, უკანასკნელებმა განაცხადეს რომ ისინი „მემარცხენე კომუნისტები" არიან იბრძვიან „ჭეშმარიტი ლენინიზმისათვის" ეწინააღმდეგებიან პარტიაში „ერთპიროვნული რეჟიმის" არსებობას და სხ. კრებამ ბოჭორიშვილი და ლობჟანიძის დემაგოგიის მიუხედავად მიიღო ერთსულოვანი რეზოლიუცია დეზორგანიზატორ ოპოზიციონერთა წინააღმდეგ.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო საკ. პარტიის ცეკას თეზისების და ოპოზიციის კონტრთეზისების განხილვა. ა. წ. 16 ნოემბერს კი მოწვეული იქნა თემის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება ზემოხსენებულ თეზისებზე საბოლოო პასუხის გასაცემად. ლაგოდეხის თემკომმა წინასწარ მიიღო ყველა ზომები თეზისების განხილვის დროს აზრთა გაცვლა-გამოცვლის ფართოდ უზრუნველსაყოფად.

კრებაზე, სადაც ირჩეოდა ცეკას თეზისები და ოპოზიციის კონტრთეზისები, ბოჭორიშვილი და ლობჟანიძე არ გამოცხადდენ. ლობჟანიძე და ბოჭორიშვილმა ამით დაამტკიცეს, რომ მათ არ შეუძლიანთ საქმიანი დისკუსია პარტიასთან. დისკუსიის გახსნამდე ქვეყანას აყრუებდენ რომ არ იძლევიან დისკუსიის საშუალებას და სინამდვილეში კი დისკუსიას გაექცენ.

ხსენებულ კრებამ ზემოხსენებული თეზისები მუხლობრივ გაარჩია და ერთხმად გამოიტანა რეზოლიუცია სადაც სავსებით იწონებს საკ. კომ. პარტიის ცეკას თეზისებს და ერთსულოვნად გმობს ოპოზიციის დემაგოგიურ კონტრთეზისებს.

გ—ნ.

მორიგი სამარცხვინო დამარცხება

(უნივერსიტეტის კომკავშირი)

სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლად გახსნილ კლუბში შესდგა უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. უჯრედთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო 700 კომკავშირის წევრი და კანდიდატი.

დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: ჩვენი სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის განხილვა.

აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. ტალახაძემ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ოპოზიციონერებმაც.

აღსანიშნავია, რომ ოპოზიციონერ ჭიჭინაძეს გაუგრძელეს დრო 20 წუთით. მაგრამ მას მე-12 წუთზე შემოაკლდა მასალა და იძულებული გახდა ტრიბუნა დაეტოვებია.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიდაც გაერთიანებული კრება მთლიანად იწონებს და უერთდება ცეკას მიერ წარმოდგენილ თეზისებს სამეურნეო აღმშენებლობის დარგში. რეზოლიუციის წინააღმდეგ 700 კაციდან ხმა მისცა 14 კაცმა. ამათგან „სტუმრათ" იყო მოსული 3 მუშფაკიდან და 2 უკვე გამორიცხულია კომკავშირიდან.

დასასრულ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საკავ. კომ. პ. (ბ) მე-15 ყრილობას. სახ. უნივ. კომკავშირი მტკიცედ სდგას ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე. ის გამთიშველებს, ფრაქციონერ-დეზორგანიზატორებს ყოველთვის საკადრის პასუხს გასცემს. კომკავშირი მთლიანი იყო და ასეთივე დარჩება მომავალშიაც. ოპოზიციის ცდამ ლენინური კომკავშირის შექცევისა ტროცკისტულ კავშირად, სასტიკი მარცხი განიცადა. ოპოზიციის ნიადაგი გამოეცალა ინტელიგენტურ კომკავშირულ უჯრედებშიაც კი.

ვ—ძე.

პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა თბილ. მაზრაში

თბილისის ორგანიზაცია 4 საქალაქო რაიკომის გარდა, აერთიანებს 14 თემკომს.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამაზრო ორგანიზაცია თბილისის მე-7-დან, მე-8 სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენციამდე რიცხვობრივად უმთავრესად გაიზარდა მუშათა, მოჯამაგირეთა და ღარიბ-გლეხთა ხარჯზე.

ორგანიზაცია გაიზარდა არა მარტო რიცხვობრივად, არამედ თვისობრივადაც. მნიშვნელოვანი როლი ამ მხრივ ითამაშეს პოლიტწრეების მოძრავმა სკოლებმა, (სტაციონალური), რომელნიც მოეწყო საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილების ხელმძღვანელობით. აუცილებლად არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ამ დარგში ჩვენ გვაქვს მეტად ძლიერი გარდატეხა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გარდატეხის ფაქტი მოძრავი სკოლების პოლიტიკური დონის აწევის მხრივ, იმ სკოლების, რომელნიც მოწყობილ იქნა ზამთრის პერიოდში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთაგან დასვენების პერიოდში. ამ სკოლებმა სოფლის მუშაკ-კომუნისტებს მისცეს თეორიული ცოდნა, ნათლად გაურკვიეს პრაქტიკული მუშაობის თეორეტიული მნიშვნელობა, მთელი რიგი ამოცანები და საკითხები, რომელთაც მაღლა მდგომი პარტორგანოები აყენებენ.

სოფლის კომუნისტების აქტივობა შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. მთელმა რიგმა გამოკვლევებმა სოფლის უჯრედებში და უკანასკნელმა გადარჩევამ გვიჩვენა, რომ უჯრედების მუშაობა უმეტეს შემთხვევაში გეგმიანად მიმდინარეობს, უმაღლესი პარტიული ორგანოების დირექტივები და დადგენილებები სისწორით აქვთ შეთვისებული. უმჯობესდება მუშაობის მეთოდი.

ცალკე ადგილებში პარტუჯრედების კრებებზე სწარმოებს მაღლამდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებათა დამუშავება. ამ საკითხების დამუშავება უმეტეს შემთხვევაში სწარმოებდა პოლიტწრეებში. ეს მეთოდი საკმაოდ სწორი იყო, ვინაიდან ყოველი საგანი, რომელიც გეგმიანი წესით ტარდებოდა, უკავშირდებოდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების სათანადო გადაწყვეტილებებს და ღონისძიებებს. [illegible] მეთოდი, რომელიც საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ შეიმუშავა, სავსებით გამოსადეგი გამოდგა. მეცადინეობა პოლიტსკოლებში სწარმოებდა საუბარისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის სახით, ყოველი განსახილველი საკითხი უკავშირდებოდა ადგილობრივი სოფლის საკითხებს; სოფლის ყოველმა კომუნისტმა; რომელმაც მცირეოდნად მაინც იცოდა წერა-კითხვა, ამ სკოლებში მიიღო ერთგვარი პოლიტიკური მომზადება, რომელიც მათ [illegible] საშუალებას გაერკვნენ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხში. ეს ცოდნა სოფლის კომუნისტებს მომავალში გაუადვილებს პოლიტიკური განათლების გაღრმავებას, ხოლო ამჟამად კი მისცემს საშუალებას გაუძღვენ ადგილობრივ მუშაობას და პრაქტიკულად დაასაბუთონ თეორეტიულად მიღებული ცოდნა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სოფლებში (ვგულისხმობ თბილისის მაზრას—ს. თ.) ჩვენ გვყავს, ისეთი კომუნისტები, რომელნიც შესაძლოა ძალიან არ არიან მომზადებული თეორეტიულად, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერკვევიან შინაპარტიული ცხოვრების საკითხებში.

დასასრულ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზამთრის პერიოდის დადგომის გამო, ჩვენი სათემო პარტკომები თავის დროზე უნდა შეუდგენ საქმეს, და სოფლის კომუნისტის ყოველ თავისუფალი დრო უნდა გამოიყენონ მათი პოლიტმომზადების კვალიფიკაციის ასაწევად. ამ საქმეში არ უნდა ჩამორჩნენ კომკავშირელები. კომკავშირის სათემო კომიტეტებმა, გარდა კომკავშირთა წრისა, კომკავშირელები უნდა ჩააბან პარტუჯრედებთან არსებულ პოლიტწრეებში.

ს. თარხანოვი.

მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის

(ხინაკის მაზრა)

წასულ წლის ნოემბრიდან დღემდე სამაზრო კომიტეტს არ ჩაუტარებია არც ერთი პოლიტიკური კამპანია, არ გადაუდგამს არც ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოფლად, რომლის შესახებაც პარტიის შემდეგ ღარიბ გლეხობას არ გამოუთქვამს თავისი აზრი (სხვადასხვა ორგანოების გადარჩევა, გადასახადები, შეღავათები, ტყის განაწილება და სხვა).

გარდა ამისა საბჭოებთან ჩამოყალიბებულია ღარიბ გლეხთა ჯგუფები, რომელთა მუშაობა-მონაწილეობა საკითხების განხილვაში თანდათან თვალსაჩინო და ნაყოფიერი ხდება.

ღარიბთა კრებებზე დღემდე განხილული იყო საკითხები: საბჭოთა არჩევნები და ღარიბი გლეხობა (შავი სიის განხილვა, კანდიდატების წამოყენება და სხვა), საკრედიტო ამხანაგობის კულაკებისაგან გაწმენდა, საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეთა არჩევნები, სამაზრო თათბირის შედეგები და საკრედიტო ამხანაგობებთან ღარიბ გლეხობის ჯგუფის ჩამოყალიბება, ღარიბ გლეხობაზე გრძელ-ვადიან სესხის განაწილება და სხვა.

გარდა ამისა თემკომების საშუალებით ღარიბთა კრებებზე ირჩეოდა ღარიბთათვის საინტერესო და ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები: ღარიბ გლეხობისათვის მიცემულ შეღავათების და სხვათა შესახებ.

გრძელვადიანი—5 წლიანი სესხი მიმდინარე წელს ღარიბ გლეხობას დაურიგდა 20.800 მან. რაოდენობით. შარშან კი 16.700 მან. უფასოდ მიღებულ იქნა კოოპერაციაში გლეხკომების და „ემო"-ების სპეცფონდის ხარჯზე 843 ღარიბი გლეხი. მოკლევადიანი სესხი გაიცა 1925—26 წ. 104.462 მან. რაოდენობით, 1926—27 წ. კი 161.632 მან. რაოდენობით. გაძლიერდა ღარიბების დახმარება გლეხკომების ხაზითაც.

ასეთი მუშაობის ჩატარებამ ხელი შეუწყო ღარიბ გლეხობის გააქტივებას, მის დაახლოვება-დაკავშირებას პარტიასთან. დღეს მაზრის ღარიბი გლეხობა ყველა საკითხში გამოდის ჩვენს პარტიასთან ერთად კულაკებისა და ანტისაბჭოთა პარტის წინააღმდეგ.

მ. ბარამია.

ოპოზიციის იდეოლოგია და ტაქტიკის ნეო-მენშევიკური ხასიათი

ამხ. ნ. ბუხარინის მოხსენებიდან მოსკოვის მეთექვსმეტე საგუბერნიო პარტ-კონფერენციაზე

1. ოპოზიციის იდეოლოგია

მე მინდა ჩემი მოხსენება დავიწყო იქიდან, რომ მოკლეთ ჯამი გაუკეთო იმ დისკუსიას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელად და ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ ტროცკისტული ოპოზიცია პრინციპიალური უთანხმოების დარგში თითქმის სავსებით გადავიდა მენშევიზმის ნიადაგზე, ჩვენი რევოლიუციის ძირითად საკითხებში. ოპოზიციის სახით ჩვენ გვაქვს ახალი მენშევიზმი, — „ნეომენშევიზმი", რომელიც, რასაკვირველია, კლასიკური მენშევიზმისაგან განსხვავდება ზოგიერთი თავისებურებით, ხოლო ძირითად საკითხებში ეთანხმება მას. ჩვენი რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა შეფასებისა და ჩვენს ქვეყანაში ამჟამად არსებული მდგომარეობის შეფასების საკითხებში, პროლეტარიატის გამარჯვების ათი წლის მიჯნაზე, ოპოზიციის შეხედულებათა უმეტესი ნაწილი თითქმის სიტყვა - სიტყვით იმეორებს იმას, რასაც ამტკიცებს კლასიკური მენშევიზმი მისი წარმომადგენლების სახით. მაგრამ არა მარტო ამაში, არამედ ბრძოლის მეთოდებშიაც, ტაქტიკურ ხაზშიც ჩვენი ოპოზიციონური ჯგუფი იმეორებს ბრძოლის იმ მეთოდებს, რომელნიც ახასიათებს ჩვენი პარტიის ფარგლების გარეთ მდგომი პოლიტიკური ორგანიზაციის ელემენტებს. პირველ რიგში მე მხედველობაში მაქვს იგივე რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტია, ე. ი. მენშევიკების ორგანიზაცია.

მე ამხანაგებო, შევეცდები ამ საკითხზე რაც შეიძლება მცირე ხნით შევჩერდე. მაგრამ ცხადია, რომ სრულიად შეუძლებელია გვერდი აუხვიოთ იმ საკითხებს, რომელნიც მთელი ჩვენი პარტიის მსჯელობის საგანს შეადგენდა უკანასკნელ ხანებში, და რომელთაც აუცილებლად სდევდა თან დიდი „ხარჯები" ჩვენი სახელმწიფოსათვის, ზარალი მთელი ჩვენი საქმიანი მუშაობისათვის.

რა უდევს საფუძვლად ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის იმ თეორეტიულ შეფასებას, რომელსაც ოპოზიცია იძლევა? მას საფუძვლად უდევს ის დებულება, რომ ჩვენს ქვეყანას, მისი ტეხნიკური და ეკონომიური სისუსტის გამო, არ ძალუძს წარმატებით განაგრძოს სოციალისტური მშენებლობის საქმე, თუ კი მას დახმარებას არ გაუწევს სხვა ქვეყნების ძლევამოსილი პროლეტარიატი.

ეს ტროცკისტული ფორმულა, რომელიც არა ერთხელ წარმოადგინა ტროცკიმ და რომელსაც არა ერთხელ იცავდა იგი, შეცვლილი სახით დაედო საფუძვლად ამხ. კამენევისა და ზინოვიევის შეცდომას 1917 წლის ოქტომბერში. ეს ფორმულა განმეორებულ იქნა მე-14 პარტყრილობის წინ. ეს თეორია ამჟამადაც ახდენს თავის ზეგავლენას. ამ ფორმულიდან გამომდინარეობს ოპოზიციის დასკვნა იმის შესახებ, რომ ჩვენ აუცილებლად დავიღუპებით, რომ მსოფლიო რევოლიუციის გაჭიანურების პირობებში აუცილებლად გველის გადაგვარება, რომელიც ოპოზიციონური და მენშევიკური თეორეტიკოსების თანახმად, გაივლის მთელ რიგ ეტაპებს. ჩვენი ქვეყნის უმთავრეს კლასობრივ ძალთა განწყობილების თვალსაზრისით ჩვენ ოპოზიციის აზრით, ეხლა გვაქვს ასეთი გადაჯგუფება: პროლეტარიატიდან გლეხობისაკენ, მაშასადამე, პროლეტარიატიდან წვრილი ბურჟუაზიისაკენ, გლეხობიდან კულაკებისაკენ, ე. ი. წვრილი ბურჟუაზიიდან და მარტივ საქონლის მწარმოებლიდან კაპიტალისტური ელემენტებისაკენ, კულაკებიდან ბურჟუაზიისაკენ, ნეპმანისაკენ, ამ პროცესის მთელი რიგი ეტაპების, მთელი რიგი სხვადასხვა საფეხურების გზით ჩვენ, თითქოს მივდივართ იქითკენ, რომ ძირითადი საჭე, ჰეგემონია, ხელმძღვანელობა, ერთის ხელიდან გადადის მეორის ხელში, მუშათა კლასისაგან გადადის კაპიტალისტების, ნეპმანური ბურჟუაზიის ხელში.

ჩვენი ქვეყნის ძალთა გადაჯგუფების ნიადაგზე, იმ პოლიტიკის გავლენით, რომელსაც აწარმოებს ჩვენი პარტია, თითქოს თავის მხრით სწარმოებს ჩვენი სახელმწიფო აპარატის სათანადო გადაგვარებაც. ე. ი. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების კლასობრივი ხასიათის რადიკალურად შეცვლა. ჯერ ვითომ ხდება პროლეტარული დიქტატურის საერთო სახელმწიფო აპარატის მოწყვეტა თავისი კლასობრივი პროლეტარული ბაზისიდან, შემდეგ ხდება სახელმწიფო აპარატის გადაქცევა ერთგვარ კლას გარეშე, დამოუკიდებელ ძალად; შემდეგ ეს, პროლეტარული კლასიური ბაზისიდან დამოუკიდებელი აპარატი, ტროცკის გამოთქმით იღებს ერთგვარ „სოციალურ შეკვეთას" სხვა კლასის „სოციალურ შეკვეთას", სწარმოებს კულაკურ-ნეპმანურ ნიადაგზე გადასვლა. ეს თავის მკვეთრ, გარკვეულ გამოხატულებას პოულობს იგრედწოდებული „ტერმიდორის" თეორიაში. ტერმიდორს, ე. ი. სახელმწიფოს კონტრ - რევოლიუციონურ გადაგვარებას თან სდევს აშკარა ცეზარისტული, ბონაპარტისტული გადატრიალება.

ამასთან დაკავშირებით ოპოზიცია სათანადო შეფასებას აძლევს ჩვენს პარტიას. ჩვენი პარტია, რომელსაც თავისი ხერხემალი აქვს პარტიულ აპარატში, ოპოზიციის აზრით, სწყდება პროლეტარულ მასებს. შემდეგ (ან ამასთან ერთდროულად) აპარატი სწყდება ძირითად პარტიულ მასებს, იღებს დამოუკიდებელ მნიშვნელობას, შემდეგ სცდილობს დაეყრდნოს სხვაგვარ კლასიურ ბაზისს, „სოციალურ შეკვეთას" იღებს სხვა კლასებისაგან, ეძებს სხვაგვარ სოციალურ ბაზას, ბურჟუაზიულ ბაზას. და ეს არის ტერმიდორიანობის, ბონაპარტიზმის გამოხატულება. აქედან მათ გამოჰყავთ პრაქტიკული დასკვნა, რომ არსებული პარტიული რეჟიმი წარმოადგენს უმთავრეს საფრთხეს, რომლის დამხობა უპირველესი მოვალეობაა პარტიის ყოველი წევრისათვის, ყოველი რევოლიუციონერისათვის. აი, როგორ ახასიათებენ ისინი კლასობრივ ძალთა გადაჯგუფებას ჩვენი სახელმწიფო აპარატის შიგნით, ჩვენი პარტიის შიგნით. ყველაფერი მიდის ერთი გზით, ერთი და იმავე ეტაპით, ხოლო ამ პროცესის საერთო აზრი არის ტერმიდორიანულ ბონაპარტისტული გადაგვარების პროცესი.

მე, ამხანაგებო, ზედმეტად მიმაჩნია უფრო ვრცლად შევჩერდე ამ თეორიის დახასიათებაზე, ვინაიდან თქვენთვის ის საკმაოდ ცნობილია. საკმაოდ გაგვეჩხირათ ის კბილებში. თავის თავად ცხადია, რომ ამის უარყოფა არსებითად, ე. ი. მტკიცება იმისა, რომ ჩვენი პარტია არ არის ბონაპარტისტული, არ არის ტერმიდორიანული,— ასეთი მტკიცება ჩვენი პარტიის ღირსების დამცირება იქნებოდა. ჩვენ გაცილებით მეტი უფლებით შეგვიძლია ბონაპარტიზმისა და ტერმიდორიანობის ბრალდება უკან დაუბრუნოთ ქუჩის იმ „გმირებს", რომელნიც ოთხი ფეხით ფორთხავენ ყოველი მეწვრილმანე ვაჭარი ქალების წინაშე ყოველ სადგურზე (ტაში).

მე მინდოდა აღმენიშნა ერთი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ ეს თეორია საერთოა ჩვენი ოპოზიციისა და მენშევიკებისათვის. მე ამას ვამბობ ჩემი სიტყვების პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, იმის სრული შეგნებით, რომ მე არ ვაჭარბებ არც ერთი ატომით. მე თქვენ მოგიყვანთ რამოდენიმე ციტატას მენშევიკების ნაწერებიდან და ოპოზიციონური გამოსვლებიდან, საიდანაც თქვენ დაინახავთ, რომ ერთმანეთს ეთანხმება არა მარტო მათი პოლიტიკური აზრი, არამედ ერთმანეთს სიტყვა-სიტყვით ხვდება ზოგიერთი მათი ფორმულიროვკა.

მე მოვიყვან სამ ციტატას ტროცკის სიტყვიდან და ორ ციტატას მენშევიკების „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-დან.

აი, რას ამბობდა ტროცკი ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმზე:

„პარტიულ რეჟიმში თავის გამოხატულებას პოულობს პარტიული ხელმძღვანელობის მთელი პოლიტიკა. ამ პოლიტიკამ **თავისი კლასობრივი გეზი უკანასკნელ წლებში გადასწია მარცხნიდან მარჯვნივ; პროლეტარიატიდან წვრილი ბურჟუაზიისაკენ, მუშათა კლასიდან სპეცისაკენ, პარტიის უბრალო წევრიდან აპარატჩიკისაკენ, მოჯამაგირიდან და ღარიბიდან კულაკისაკენ, შანხაის მუშიდან ჩან-კაი-შისაკენ, ჩინელი გლეხიდან ბურჟუაზიული ოფიცრისაკენ, ინგლისის პროლეტარიდან პერსელისა, ხიქსისა, გენსაჰოლებისაკენ** და სხ. დაუსრულებლივ ამაშია სტალინი და მისი მთელი არსი".

აი, მეორე ციტატა, რომელიც კიდევ უფრო ნათლად აგვირგვინებს მის შეხედულებას:

„პარტიული რეჟიმი გამომდინარეობს ხელმძღვანელობის მთელი პოლიტიკიდან. **უკიდურესი აპარატჩიკების ზურგს უკან სდგას გამოცოცხლების გზაზე მდგომი შინაური ბურჟუაზია. მის ზურგს უკან — მსოფლიო ბურჟუაზია.** ყველა ეს ძალები აწვებიან პროლეტარულ ავანგარდს, და მას არ აძლევენ საშუალებას ასწიოს თავი ან ამოიღოს ხმა. რაც უფრო მეტად სცილდება ცეკას პოლიტიკა კლასიურ კალაპოტს, მით უფრო საჭირო ხდება ამ პოლიტიკის პროლეტარული ავანგარდისათვის თავზე მოხვევა **ზევიდან—იძულების მეთოდებით.** ამაშია ეხლანდელი აღმაშფოთებელი პარტიული რეჟიმის ფესვი". (იქვე).

აქ გარკვევით ბოლომდე არის ნათქვამი ყოველისფერი. უკიდურესი აპარატჩიკების, ე. ი. ცენტრალური კომიტეტის (ტროცკის ტერმინოლოგიით) იქით თურმე იმალება არა თვით წვრილი ბურჟუაზია, კულაკიც კი არა, არამედ მომწიფებული, სავსებით ჩამოყალიბებული ბურჟუაზია, რომლის ზურგს უკან თავის მხრივ იმალება მსოფლიო ბურჟუაზია. მაშასადამე, თურმე, ჩვენ, ცეკას წარმომადგენლები, ვართ ნეპმანის პოლიტიკის, მსოფლიო ბურჟუაზიის პოლიტიკის იდეოლოგები. (სიცილი). ეს ძალიან სასაცილოა, მაგრამ ეს ითქვა არა სხვაგან სადმე, არამედ ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის სხდომაზე. ეს არის ის დახასიათება, რომელსაც ტროცკი იძლევა. ახლა ვნახოთ, რას სწერენ მენშევიკები? მენშევიკები აქ უფრო თანამიმდევრები არიან, ისინი ჩვენი „ბონაპარტისტული შეცოდების" დასაბამს ანგარიშობენ არა უკანასკნელი დღეებიდან და არა ზინოვიევისა და ტროცკის „დიადი ბლოკის" მომწიფების მომენტიდან, ისინი ამ „შეცოდების" დასაბამს იწყებენ რევოლიუციის მომენტიდან, ხელისუფლების ბოლშევიკების მიერ დაპყრობის მომენტიდან. აი, რას სწერს დანი „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ"-ში (№ 21—22):

„ლენინის სწორედ ის სიტყვა, რომელიც გვაუწყებდა „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას" დამთავრდა ახალი ლოზუნგით", რომელიც დღეიდან აწესებს „სოციალისტების დამწყვდევას ციხეში".

ასე შევიდა ბოლშევიკური დიქტატურა თავისი განვითარების ახალ ფაზაში, „ნეპის" ფაზაში, როცა რევოლიუციონური ამოცანები, რომელთა შესრულება მას დააკისრა ისტორიამ, სულ უფრო და უფრო რჩება უკან და როცა თვითდაცვა ხდება მისთვის უმთავრეს მიზნად, რომელსაც თუმცა ისინი ჰფარავენ უაღრესი ფანტასტიური „თეორიებით". რევოლიუციონური ძალიდან იგი სულ უფრო და უფრო ხდება კონსერვატიულ ძალად. მასების ინტერესების გამომხატველიდან,—ისტორიულად განსაზღვრულ პირობებში,— იგი ხდება დამაბრკოლებლად ამ ინტერესების გამოაშკარავებისა და დაცვისათვის ახალ, რევოლიუციის მიერ შექმნილ პირობებში. ვინაიდან ამ ახალ პირობებში, როცა რუსეთის ძირითად სოციალურ ძალად ხდება წვრილ - ბურჟუაზიული გლეხობა; როცა ნაციონალიზაციაქმნილ ფაბრიკებსა და ქარხნებშიაც სახელმწიფო აწარმოებს კაპიტალისტურ მეურნეობას, როცა შეიქმნა ადამიანთა უდიდესი კადრები (ჩინოვნიკების, ადმინისტრატორების, სამეურნეო მუშაკების კადრები), რომელთა არსებობის წყაროდ ხდება სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზაციაქმნილი, მაგრამ მუშათა შრომით შექმნილი „ზედმეტი ღირებულება"; როცა, ერთი სიტყვით, რუსეთში ღორძინდება ბურჟუაზიული საზოგადოების კლასები და მათთან ერთად კლასიური ანტაგონიზმები, — ამ პირობებში მშრომელთა ინტერესები, და განსაკუთრებით მუშათა კლასის ინტერესები რუსეთშიაც, ისე როგორც ყოველ სხვა ქვეყანაში, მოითხოვენ **კლასობრივ ორგანიზაციისა და კლასობრივი ბრძოლის თავისუფლებას, რომელიც წარმოუდგენელია პოლიტიკური თავისუფლების გარეშე.**

ბოლშევიკური დიქტატურამ, როგორც რევოლიუციის ფაქტორი, ისტორიულად გადაგვარდა, **იგი ხდება „აპარატის" დიქტატურად, რომელიც სულ უფრო და უფრო სწყდება ყველა კლასებს და უველაფრით უპირდაპირდება მათ, სულ უფრო და უფრო ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებს და ამიტომ ცოცხლად იხრწნება".**

თქვენ ხედავთ, რომ დანი რამდენადმე უფრო ზომიერიც კი არის თავის შეფასებაში, ვიდრე ტროცკი, იმიტომ, რომ დანი ჩერდება იმ წერტილზე, როცა აპარატი სწყდება პროლეტარიატს, ხოლო ტროცკი ამბობს, რომ ამ აპარატმა გაიარა პროლეტარიატისაგან მოწყვეტის სტადია, უკვე დაემყარა ნეპმანის კლასობრივ ბაზისს, რომლის ზურგს უკან სდგას საერთაშორისო ბურჟუაზია.

უკანასკნელი ციტატა ამოღებულია „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი"-ს უკანასკნელი ნომრის მოწინავე წერილიდან, რომელიც მიძღვნილია ჩვენი რევოლიუციის ათი წლის თავის იუბილესადმი. ხოლო წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „საიუბილეო დარბევა", პირდაპირ არის მოცემული ოპოზიციის უკანასკნელი გამოსვლების შეფასება და ეს გამოსვლები შეფასებულია ტაქტიკის თვალსაზრისით. აი, რას ვკითხულობთ ამ მოწინავე წერილში:

„ზოგმა რამემ ოპოზიციონ. თეორიიდან არ შეიძლება არ გამოიწვიოს საყოველთაო გამოძახილი. დახასიათება, რომელსაც ის აძლევს **გადაგვარების გზაზე შემდგარ დიქტატურას, ბევრ რამეში არის სწორი და ეთანხმება სინამდვილეს.** დეე, იგი ზოგ რამეში არ ამბობდეს ახალს, დეე, ეს ზოგი რამ ნასესხები იყოს **პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან, განა ამაშია საქმე?** უმთავრესი ის არის, რომ დახასიათება **სწორია,** რომ იგი **საჯაროდ აღნიშნავს იმას,** რაც დღემდე შეიძლებოდა გვეთქვა **მხოლოდ არალეგალურ სოციალისტურ პრესაში.** მისი მითითებანი **ძალიან სწორია:** სწრაფად სწარმოებს გადაგვარების პროცესი, რომელსაც ოპოზიცია „ტერმიდორიანულს" უწოდებს; მასების აქტივობას სცვლის ზედაფენების აქტივობა. **ხალხის ადგილას სდგება ხელისუფლება,** — ასე ყოველ დარგში. მუშათა აქტივობას ნაცვლად არის სამეურნეო მუშაკების აქტივობა. საბჭოების ნაცვლად—პრეზიდიუმების მუშაობა. არმიის მასის ნაცვლად — ოფიცერთა თვითშეგნება. პარტიული მასის ნაცვლად — პოლიტბიუროს ცირკულიარი. **ტროცკი —მართალია, — ასეთია ნამდვილი სურათი,** ხოლო საითკენ მიდის ეს ევოლიუცია, ამაზე ჩვენ არა ერთხელ დაგვიწერია. რა გასაკვირველია, თუ ეხლა, როცა კომუნისტურმა ოპოზიციამაც დაინახა ის, რასაც ვერ ხედავენ მხოლოდ ბრმები, იგი სიმპატიის საგანი ხდება და აიძულებს ყველას მიაქციონ მას ყურადღება".

„ზოგმა რამემ ოპოზიციონური თეორიიდან არ შეიძლება არ გამოიწვიოს საყოველთაო გამოძახილი"-ო. ეხლა ვნახოთ, რა არის ეს „ზოგი რამ", „დახასიათება, რომელსაც ის აძლევს გადაგვარების გზაზე მდგარ დიქტატურას, ბევრ რამეში არის სწორი და ეთანხმება სინამდვილესო. დეე, იგი ზოგ რამეში არ ამბობდეს ახალს, დეე, ეს ზოგი რამ ნასესხები იყოს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთაგან, განა ამაშია საქმეო? უმთავრესი ის არის, რომ დახასიათება სწორიაო, რომ იგი საჯაროდ აღნიშნავს იმას, რაც დღემდე შეიძლებოდა გვეთქვა მხოლოდ არალეგალურ სოციალისტურ (ე. ი. მენშევიკურ ნ. ბ.) პრესაშიო. მისი მითითებანი ძალიან სწორიაო, სწრაფად სწარმოებს გადაგვარების პროცესი, რომელსაც ოპოზიცია „ტერმიდორიანულ" უწოდებსო, მასების აქტივობას სცვლის ზედაფენების აქტივობაო, ხალხის ადგილას სდგება ხელისუფლება, მუშათა აქტივობის ნაცვლად არის სამეურნეო მუშაკების აქტივობა, საბჭოების ნაცვლად პრეზიდიუმის მუშაობაო... იგი სიმპატიის საგანი ხდება და აიძულებს ყველას მიაქციონ მას ყურადღებაო". ჩემის მხრით მე დაუმატებ, რომ მუშების მხრივ სიმპატიის სიმბოლოს წარმოადგენს კალოშები და მჟავე კიტრები, რომელიც ოპოზიციას დაუშინეს მუშებმა ოქტომბრის დღესასწაულის დღეს; (ტაში). მაგრამ ამ შემთხვევაში ამას არ აქვს მნიშვნელობა. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ თქვენ აქ ხედავთ აზრთა თანხმობას. წინედ მხოლოდ ხმას გადასძახებდენ ერთმანეთს მენშევიკები და ჩვენი ოპოზიცია, ეხლა კი ჩვენ გვაქვს პოლიტიკური აზრის თანხმობა, არა მიახლოვება რაიმე საერთოსადმი, არამედ პოლიტიკური აზრის **თანხმობა.** -- იმიტომ, რომ როცა „სოციალისტიჩესკი ვესტნიკი" ამბობს: ოპოზიციის „ზოგი რამ მართალიაო", — და შემდეგ ჩამოთვლის ამ „ზოგიერთ რამეს", მაშინ ირკვევა, რომ ეს „ზოგიერთი რამ" არის კლასობრივ ძალთა განწყობილების დახასიათება ჩვენს ქვეყანაში, ეს „ზოგიერთი რამ" არის ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების კლასობრივი დახასიათება, ეს „ზოგიერთი რამ" არის ჩვენი პარტიის დახასიათება. მაშ რაღა რჩება, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხთაგან ამ „ზოგიერთი რამეს" გარდა? სრულიად არაფერი. უმთავრესი ყოველისფერი ამოწურულია. დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ერთმანეთთან დაახლოვების პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის. ჩვენს გაზეთებში აღინიშნა, რომ მილიუკოვმა თავის გაზეთში დაბეჭდა ოპოზიციის დოკუმენტები შემდეგი შენიშვნით რედაქციისაგან, რომელიც მსხვილი ასოებით იყო დაბეჭდილი:

„ქვემოდ ჩვენ ვათავსებთ ორ ამონაწერს „ოპოზიციონური" ლიტერატურიდან. ეს ამონაწერები სწორედ გამოსადეგია ოქტომბრის „იუბილესათვის". საბჭოთა რუსეთში ასეთი ამონაწერები არ შეიძლება დაბეჭდილ იქნას. ისინი იქ იბეჭდება საიდუმლო სტამბებში, როგორც ძველი რეჟიმის დროს, — დიდის სიფრთხილით. იქ ასეთ ნაწერებს დევნიან და სპობენ, ისევე, როგორც ძველი რეჟიმის დროს. ამგვარად ჩვენ ბ-ნ ტროცკისათვის ვანხორციელებთ „პრესის თავისუფლებას". მადლობას არ ველით, მაგრამ ჩვენ კი თვითონ გამოვსთქვამთ კმაყოფილებას, რომ ბოლშევიკური „ოპოზიცია" არალეგალური პრესის სტადიაში შევიდა. იმედი გვაქვს, რომ ამას მოჰყვება შემდეგი სტადიებიც".

აი, შეფასება, აი „კლასიური მტერის კლასიური სიმართლე", როგორც ლენინი ამბობდა. მე ამხანაგებო, ზედმეტად ვთვლი კიდევ შევჩერდე ოპოზიციონური პლატფორმის იდეურ შინაარსზე. სრულებით ნათელია, რომ **ჩვენმა იდეურმა უთანხმოებამ უკვე გადალახა თეორეტიული უთანხმოების ფარგლები, იგი პროგრამულ უთანხმოებად გადაიქცა,** და მე მგონია, რომ ასეთი შეხედულებების მქონე ხალხს არ აქვს ადგილი ჩვენს პარტიაში (მქუხარე ტაში).

ყველასათვის გასაგებია, რომ ტაქტიკური უთანხმოება — ეს ისეთი უთანხმოება არის, რომელიც გულისხმობს ერთგვარ საერთო ენას. მე შეიძლება ჩემს პარტიულ ამხანაგებს არ ვეთანხმებოდე, მაგალითად, იმ დამახინჯებათა რაოდენობითი შეფასებაში, რომელნიც ჩვენ გვაქვს, მე შეიძლება არ ვეთანხმებოდე ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის ამა თუ იმ მეთოდის შეფასებას. მაგრამ თუ მე არ ვეთანხმები რომელიმე პარტნიორს, — რომელთანაც თუნდაც ასი წელი ვიბრძოლე, — არ ვეთანხმები იმის შეფასებაში, არის თუ არა ჩვენი პარტია რევოლიუციონური პროლეტარიატის პარტია, თუ იგი გადაგვარების გზაზე შემდგარი პარტიაა, რომელიც შეიძლება ვისროლოთ შორს და ეს რაც უფრო ძალე, მით უფრო უკეთესი, —თუ არ ვეთანხმები ასეთ რამეში, მაშინ ჩვენ არაფერი არ გვაქვს საერთო, ჩვენ მაშინ ვყოფილვართ ერთმანეთის მტრები, რომელნიც გამოდიან რა ამ მტრობის ფაქტიდან, აკეთებენ თავიანთ დასკვნებს. მე ვიცი, რომ არის კიდევ ბრძოლის ლოღიკა: ზოგიერთები არ ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ, ზოგიერთები თავის ბრძოლაში კიდევ უფრო შორს მიდიან, ვიდრე მათ სურდათ. ამას, ალბად, ადგილი აქვს ზოგიერთ ოპოზიციონერებს შორის. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამოდის, რომ უფრო მეტი მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ. ვინაიდან მათ ისეთ საშუალებებს მიმართეს, რომელნიც მათ ბარიკადების მეორე მხარეზე აყენებს. თუ ჩვენ ტერმიდორიანულ ხელისუფლებას წარმოვადგენთ, მაშინ ჩვენი ხელისუფლება უნდა ავაფეთქოთ, ხოლო თუ ეს არის პროლეტარული დიქტატურა, იგი უნდა დავიცვათ. თუ ჩვენ ტერმიდორი გვაქვს,—უნდა მოვაწყოთ გაფიცვები ფაბრიკებში, ხოლო თუ პროლეტარული დიქტატურა გვაქვს, — უნდა ავაშენოთ სოციალისტური მრეწველობა. თუ ჩვენი პარტია გადაგვარდა პერევერზევ-ალექსინსკის პარტიად, — მაშინ იგი უნდა დავაგრიოთ, დავამხოთ, მაგრამ თუ ჩვენ პროლეტარული დიქტატურა გვაქვს,— მაშინ ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

ეს ორი სხვადასხვა პროგრამა არის და არა ორი ტაქტიკა. და როცა ოპოზიციონური პოლიტიკოსები გადარბიან ერთიდან მეორისაკენ, უახლოვდებიან ხან ერთს, ხან მეორეს (იმის მიხედვით, თუ რამდენჯერ ჩაარტყამენ მათ კისერში მუშები), ჩვენ ვამბობთ: უკაცრავად, პატივცემულნო, ეს არის ულირსი თამაში, „ტერმიდორის" პლატფორმით პარტიაში ჩვენ არავის დავსტოვებთ. (ტაში).

2. ოპოზიციის ტაქტიკა

ყოველივე აქედან, როგორც უკვე ვთქვი, გამომდინარეობს ის ტაქტიკაც, რომელსაც ატარებენ ოპოზიციონერები. მე აქ არ შევჩერდები ისევ ამ საკითხებზე, არ შევუდგები საქმის ხელ-ახლა გამეორებას, დაწყებული „ტყის ძმებით" და გათავებული მათი ყოველგვარი აგარაკებით, მოსკოვის უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლის ხელში ჩაგდებით და სხვ. თქვენ უკვე იცით გაზეთებიდან მთელი ეს „მუსიკა", მე მხოლოდ მინდა ვთქვა რომ საერთოდ **ჩვენ აქ უკვე საქმე გვაქვს ბრძოლის ყველა ფორმებთან გარდა ერთისა, რომლის სახელია: შეიარაღებული აჯანყება.** ჩვენ საქმე გვაქვს არალეგალურ მუშაობასთან, არალეგალურ სტამბებთან. ჩვენ ვიცით როგორ მოაწყო რაკოვსკიმ ხარკოვში ნახევრად-გაფიცვა. ეს თქვენ უკვე გიმტკიცებთ, რომ ისინი არ შეჩერდებიან **გაფიცვების საშუალებით ბრძოლაზე გადასვლის წინაშეც კი.** შემდეგ, ჩვენ საქმე გვაქვს ქუჩებში გამართულ **დემონსტრაციებთან.** ოპოზიციონერების ბრალი არ არის, თუ ქუჩაში მათ გამოიყვანეს მხოლოდ დაქსაქსული უმნიშვნელო ჯგუფები, რომ ისინი სუსტნი აღმოჩნდენ: უმთავრესი ის არის, რომ ისინი გადავიდენ **ქუჩის ბრძოლაზე.** მაგრამ თუ უკვე ადგილი აქვს ქუჩის დემონსტრაციის გამართვის ცდას, თუ ადგილი აქვს გაფიცვების საშუალებით ბრძოლის დაწყების ცდას, შემდეგ ამას მოჰყვება მხოლოდ ერთი—**შეიარაღებული აჯანყება.**

არავითარი საშუალო ფორმა უკვე აღარ არის. ყოველივე საშუალო უკვე ამოწურულია ბრძოლის ფორმების იმ სისტემაში, რომელიც საზოგადოთ ბურჟ-

უცხოელი რკინისგზელები მთავარ სახელოსნოს მუშებთან

სამშაბათს, 29 ნოემბერს პლეხანოვის მუშათა კლუბში შეხვდენ ერთმანეთს ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, მექსიკა-ისპანეთის, გერმანიის და ჩვენი რკინისგზელ მუშების წარმომადგენლები.

ამხანაგი ჰ. საბაშვილი ხსნის კრებას და აცხადებს, რომ იმ ძვირფას ათას სტუმრებიდან, რომლებიც ეწვიენ მოსკოვს, ოქტომბრის ათი წლის დღესასწაულზე, ჩვენშიც ჩამოდიან. ამათში არიან მემანქანე, კონდუქტორი, მჭედელი, კატორის მოხელე და სხვა. დელეგატების სურვილია, კითხვა-პასუხისა და საუბრის საშუალებით გაეცნონ ჩვენს მდგომარეობას. ამიტომ საჭიროა მისცეთ მათ შეკითხვები და აგრეთვე გასცეთ შესაფერი პასუხი სტუმრების შეკითხვაზე.

პირველი სიტყვა ეძლევა საკავშირო რკინისგზელთა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ამხ. რაფაელოვს, რომელიც აცნობს კრებას დელეგაციის შემადგენლობას.—აქ არიან ექვსი ქვეყნის რკინისგზელთა წარმომადგენლები. მათ უკვე გადადგეს საყურადღებო ნაბიჯი და გადასწყვიტეს: დაარსდეს რკინისგზელთა საერთაშორისო კომიტეტი, მოწვეულ იქნას ყრილობა, სადაც განხილული იქნება მოსალოდნელი ომის საკითხი და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის მტრებს მათი განზრახვის შესრულებაში.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მთავარ სახელოსნოდან ამხ. დ. ლორთქიფანიძე და ხებრიელაშვილი. საყუდიდან აკოფოვას ქალი უბრიევი და ხვანი. სტუმრებიდან პირველად ილაპარაკა ინგლისელმა დელეგატმა ხელოსანმა მემანქანემ.

— მე არა ვარ ორატორი, არა ვარ ლიდერი—განაცხადა მან,—მე მინდა მოგელაპარაკოთ უბრალოდ, მუშურად. ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ თქვენზე. უფრო მეტს ცუდს რასაკვირველია. გვაფრთხილებს, რომ არ ჩამოვსულიყავით თქვენთან, არ დაგვეჯერებია თქვენთვის, მაგრამ აქ მოვედით, გნახეთ და არ ვნანობთ. ეხლა კი მიხვდით თუ რათ გვიშლის ჩვენი მთავრობა აქეთ წამოსვლას. იმათ ეშინიათ—რათა არ წაგბაძოთ თქვენ.

საქართველო განსაკუთრებით გვაინტერესებდა, გუშინ ჩვენ ვნახეთ თქვენი ლიბანი. ასეთი ჩვენ ჯერ არაფერი გვინახავს. ჩვენ მუშებს ასეთი სანატორიუმები სიზმარშიც არ მოეჩვენებათ. „საქართველო რუსეთის კოლონია არის" იძახიან ჩვენში, მაგრამ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს სიყალბეა. თქვენ ნამდვილი და სრულუფლებიანი წევრი ხართ დიდი კავშირისა.

მეორეთ ილაპარაკა მექსიკის დელეგატმა. დელეგატი ლაპარაკობდა ისპანურ ენაზე. მართალია არავის არ ესმოდა მისი ლაპარაკი, მგრამ სიამოვნებით უსმენდა მას თითქმის ნახევარ საათის განმავლობაში. ის ცდილობდა ხელების მოძრაობით, სახის გამომეტყველებით გაეგებინებია ჩვენთვის მის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

თქვენ, საბჭოთა კავშირის მუშებმა დიდი საქმე გააკეთეთ. ახლა უნდა გაეცნოთ სხვა ქვეყნის მუშების ცხოვრებას. რომ ვიცოდე თქვენი ენა—რამდენი მაქვს სალაპარაკო—ამბობს ინდუსი და ირტყამს გულზე ხელს.—ჩვენში უმთავრესად ეგოიზმი ღუპავს მუშას. მე კარგად ვცხოვრობ. მე ბევრს ვღებულობ და რათ შევიწუხო სხვისთვის თავი—ამბობენ კარგი ჯამაგირის მქონენი. მუშების უმეტესი ნაწილი წვალება-შიმშილს განიცდით. ჩვენ გვაფიცენით, ამ გაფიცვაში დაგვეხმარეთ თქვენ. ალბათ თქვენც გაკლიათ, მაგრამ მაინც დაგვეხმარენით, რადგან თქვენ გრძნობთ სხვა ქვეყნის მუშების გაჭირვებას.

რა სიამოვნებით ჩამოვართმევ მაგ პატიოსან ხელს. თქვენი გაცნობით, თქვენი ნახვით, მე ვისწავლე ბრძოლა. დავბრუნდები უკან და დაგიმტკიცებთ ამას. ლენინის მოძღვრება ღრმად ჩამრჩა გულში.

შემდეგი სიტყვა იყო ისპანეთის რკინისგზელების დელეგატმა. ამხანაგი, ლაპარაკობს ისპანურ ენაზე. ის ყვირის, მოთქვამს, კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა ტანჯვა-წვალების შესახებ. მისი მჭექარე ხმა გრიალებს დარბაზში.

სიტყვა გადათარგმნილი იქნა. ისპანელმა ამხანაგმა ორი თვეა, რაც თავი დააღწია კაპიტალის ციხე-საპყრობილეს

ჩვენ დღეს არალეგალურად ვმუშაობთ, მაგრამ ჩქარა გვიმარჯვებთ. თქვენი მაგალითი გვამხნევებს და ვეცდებით ბრძოლის უნარს. თქვენ არ გვყავდათ ისეთი ხელმძღვანელი, როგორიც ჩვენ გვყავს დღეს ეს ხელმძღვანელი ხართ თქვენ, საბჭოთა კავშირის მუშები.

რა ვნახეთ ჩვენ აქ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. ამას ჩვენ გულში შევინახავთ და იქ ვიტყვით, საცა საჭიროა.

ამის შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი. უფრო ჩვენი ამხანაგები აძლევდენ შეკითხვებს:

— როგორია მუშათა კავშირები ევროპა-ამერიკაში?—ეკითხება ერთი მუშა—ჩვენი კავშირი არ გავს თქვენსას—ამბობს ამერიკელი რკინის გზელი.—მარტო რკინისგზაზე ჩვენ გვაქვს 21 კავშირი. ეს ხელსაყრელია კაპიტალისტებისათვის. ეს დაქსაქსვაა მუშების. ამას განგებ სჩადიან კაპიტალისტურ ქვეყნებში. სამწუხაროდ მუშათა ხელმძღვანელებიც ღალატობენ მუშებს და კვერს უკრავენ მუშების მტრებს.

როგორი მდგომარეობაა მექსიკაში.—ეკითხება მეორე.

ჩვენ, მექსიკელები დამოუკიდებელი ვართ ქაღალდზე. ნამდვილად კი ამერიკა ხელფეხს გვიკრავს. მთელი მექსიკის სიმდიდრე ამერიკას აქვს. ამერიკელი მუშა ორ-სამჯერ მეტს იღებს მექსიკელ მუშასთან შედარებით. ხმა ვერ ამოგვიღია. ბედნიერები ხართ, რომ არ ჩავარდით ევროპის კაპიტალისტების ხელში, თორემ თქვენც ჩვენს დღეში იქნებოდით.

როგორია საარჩევნო უფლება თქვენში? ამერიკაში საარჩევნო უფლება ეძლევა მხოლოდ მამაკაცს 21 წლიდან, თუ ის არ ყოფილა პასუხისგებაში. — უპასუხებს დელეგატი. —ინგლისშიც მამაკაცს 21 წლიდან აქვს საარჩევნო უფლება, ხოლო ქალს 30 წლიდან. ქალს ორსულობის დროს ანთავისუფლებენ სამუშაოდან. მაგრამ ჯამაგირს არ აძლევენ.

— თუ გყავთ თქვენ შრომის ინსპექტორი?—ეკითხება ერთ-ერთი მუშა.

ჩვენ გვყავს შრომის ინსპექტორი, მაგრამ მას ნიშნავს ქარხნის ან წარმოების პატრონი. ინსპექტორი აქებს და აჯილდოებს ისეთ მუშას, რომელიც ზედმეტს მუშაობს, კრებაზე არ დადის. მუშათა ორგანიზაციას გაურბის და სხვა.

როგორია თქვენი ხელფასი?

ამ ბოლო დროს ჩვენში, ევროპა-ამერიკაში ხელფასი ყველა დარგებში კლებულობს.

თუ ხდება თქვენში გაფიცვები?

— გაფიცვები ხდება, იმისათვის, რომ ძველი მაინც შევინარჩუნოთ, მაგრამ საქმე მაინც უკან მიდის.

არის თუ არა თქვენში ნებადართული კრება? კრება ნებადართულია, მაგრამ კრების დადგენილების ცხოვრებაში გატარება არაა ნებადართული.

ომის შემდეგ რატომ არ ატუსაღებენ თქვენში სოციალ - დემოკრატებს?

რათ უნდა დაატუსაღონ, როცა მათში განსხვავება არაა. აკი გითხარით, რომ მუშათა ლიდერები ღალატობენ, ატყუებენ მუშებს მეთქი, მაშ რაღათ დაატუსაღებენ?

როგორ წამოხვედით, ვინ გამოგგზავნათ?

გამოგვაგზავნა ჩვენმა ორგანიზაციებმა. წამოვედით დიდის გაჭირვებით დაბრუნებისას ვიცით არ მოგველის კაი დღე, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს.

არის თქვენში პრესის თავისუფლება?

პრესის თავისუფლება არის, თუ არაფერს დასწერ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში აპატიმრებენ რედაქტორს, აჯარიმებენ და კეტავენ გაზეთს.

იყო შეკითხვები დელეგატების მხრითაც, რაზედაც ჩვენი მუშები აძლევდენ შესაფერ პასუხს. დაბოლოს ამხ. საბაშვილმა გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა სტუმრებს: — ჩვენ ვმუშაობთ. ვაკეთებთ, ვაშენებთ. თქვენ ნახეთ ჩვენი მუშაობა. თქვენ ნახეთ რა ნაკლი და მიღწევები გვაქვს. ყველაფერი ეს გაითვალისწინეთ და მართალი ამბავი მიუტანეთ თქვენს ამხანაგებს. იმედი გვაქვს, თქვენ შეასრულებთ მუშურ მოვალეობას.

მხოლოდ მუშათა დიქტატურა მოსპობს მუშათა ლიდერების თაღლითობას თქვენში. ეცადეთ დააყენოთ თქვენი მუშათა მოძრაობა სწორ გზაზე.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს. დელეგაცია და ჩვენი მუშები ნასიამოვნები დარჩენ საუბრით.

ხ. დოლიძე.

შირაქის ნავთი

ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში მოსულია უკანასკნელი ცნობები შირაქის ველზე ნავთიან ადგილების გამოკვლევათა მიმდინარეობის შესახებ.

სამთო განყოფილებაში მოსული ცნობებიდან ჩანს, რომ 156 მეტრიდან 159 მეტ. სიღრმემდე აღმოჩენილ იქნა მდიდარი ნავთიანი ფენა, სადაც ნავთი დიდი რაოდენობით მოეპოვება. ვარაუდით აღნიშნულ ჭაბურღილში ნავთის წყარო უნდა ამოვიდეს უახლოესი კვირების განმავლობაში. ამასთანავე ერთად საზოგადოებას განზრახული აქვს დაიწყოს სხვა საცდელი ჭაბურღილების ამოღება ნავთიანი ტერიტორიის სხვა პუნქტებზე.

ამ დღეებში თბილისში მოელიან საკონცესიო საზოგადოების დირექტორს როდიგერს, რომელიც ამჟამად ევროპაში იმყოფება.

ელექტროფიკაცია

ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ სახელმწიფო ბიუჯეტიდან წელს ჰიდრო ელექტრონულ სადგურების მშენებლობაზე დახარჯება 8.827.000 მანეთი. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ამ თანხიდან 760.000 მანეთი მიეცემა აჭარის წყლის ჰიდრო ელექტრონულ სადგურს; განჯის—844.000 მან., ტაუზის—15.000 მან., ლენინაკანის—200.000 მან.; იჯევანის—221.000 მან.; აბაშის—750.000 მან.; ერევანის—822.000 მან.; სოხუმის—75.000 მან.

ამას გარდა წელს ამიერ-კავკასიაში ელექტროფიკაციის საჭიროებისათვის სახელმწიფო და ელექტრო ბანკები სესხად გასცემენ 1.228.000 მანეთს. ადგილობრივი აღმასკომები— 345.351 მან.

ამ თანხების გარეშე, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა საკავშირო საშუალებიდან გამოითხოვოს 5.700.000 მანეთი, რომელიც უმთავრესად მოხმარდება რიონჰესის, ძორამჰესის და აზერბეიჯანის ელსადგურების მშენებლობას.

აღნიშნულ 5.700.000 მანეთიდან 3.400.000 მანეთი მოხმარდება რიონჰესის სადგურს, ერთი მილიონი აზერბეიჯანის სადგურს და 1.300.000 მანეთი ძორამჰესის სადგურს.

კარსანის ობსერვატორია

კარსანის ობსერვატორია, რომელიც მოწყობილია მცხეთის ახლო; მეოთხე ობსერვატორიაა მთელ საბჭოთა კავშირში და ითვლება პირველ ხარისხოვან ობსერვატორიად, რომელიც ემსახურება საბჭოთა კავშირის მთელ სამხრეთ ნაწილს და კერძოდ მთელ ამიერ-კავკასიას. კარსანის ობსერვატორია განაგებს აღნიშნულ მიმართულებებით ყოველგვარ მაგნიტურ მოვლენებს და კომპასებს. ზაჰესის მუშაობის გამო დაისვა საკითხი კარსანის ობსერვატორიის სხვა ადგილზე გადატანის შესახებ, რათა ზაჰესის ენერგიამ გავლენა არ იქონიოს ობსერვატორიის მუშაობაზე.

საქართველოს განათლების კომისარიატმა საქ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა კარსანის ობსერვატორიის ზაჰესის ფარგლებიდან გადატანის შესახებ. საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა კარსანის მაგნიტურ ობსერვატორია გადატანილი იქნას ზაჰესის ფარგლებიდან. ობსერვატორიისათვის შესაფერი ადგილის ამორჩევა დაევალა სახ. განათლების კომისარიატს და იმავე ობსერვატორიის დირექტორს ამხ. მ. ნოდიას.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს წინაშე კარსანის მაგნიტურ ობსერვატორიის სხვა ადგილზე გადასატანად საჭირო თანხების გაღების შესახებ.

ბავშვების მეგობართა საზოგადოებაში

სამდღიურის შემოსავალი

სამდღიურის მომწ. ცენტ. კომ. შეუდგა სამდღიურის შემოსავლის გამორკვევას, დათვლილია ყულაბებით მოგროვილი ფული, რომლის რაოდენობა უდრის 2.494 მან. 67 კაპ.

კომისიას გადაეცა სოციალურ უზრუნველყოფის ლოტოების შემოსავლის საპროცენტო ნარიცხი—1.063 მან. 70 კაპ. რაოდენობით.

მიღებულია სხვადასხვა დაწესებულებისაგან სხვადასხვა ნივთები დაახლოვებით 100 მან. ღირებულების.

ხელის მოწერით შეგროვილ თანხა და კინო თეატრის და ლატარიების შემოსავალი ჯერჯერობით გამოურკვეველია.

უპატრონო ბავშვების მოწყობა

ბავშვების მეგობართა საზოგადოებაში ყოველდღე მიდიან უპატრონო ბავშვები და სთხოვენ საზოგადოებას საბავშვო სახლში მოწყობას. საბავშვო სახლებში ადგილების უქონლობის გამო საზოგადოებას სხვადასხვა დაწესებულებებში მოთავსებული ყავს 70-მდე ბავშვი. გარდა ამისა უკანასკნელი კვირის განმავლობაში საზოგადოებამ თავისი ხარჯით გადაგზავნა სამშობლოში 15 ბავშვი.

რემედასში

ც. კომიტეტის პლენუმი

26 დეკემბერს თბილისში გაიხსნება საქართველოს „რემედასი"-ს ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი.

რემედასის ორდღიური

რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა ნება დართოს რემედასის ფონდის გასაძლიერებლად 17 და 18 დეკემბერს მოაწყოს ყულაბებით ფულის შეგროვება.

29.452.600 მანეთის პროდუქცია

ს. მ. უ. ს. საწარმოო-საგეგმო განყოფილებამ დაამუშავა ცნობები 8 უმთავრესი ტრესტის პროდუქციის ღირებულების შესახებ. გამოირკვა, რომ გასული 1926-27 სამეურნეო წლის განმავლობაში ს. მ. უ. ს. საბჭოში შემავალ ყველა ტრესტებს გამოუშვიათ ბაზარზე 21,999.800 მანეთად ღირებული პროდუქცია.

წელს კი აღნიშნულმა ტრესტებმა, თანახმად მათ მიერ შემუშავებული საწარმოო პროგრამებისა, უნდა გამოუშვან 7.452.600 მანეთით მეტი პროდუქცია. თუ მხედველობაში იქნება მიღებული ის გარემოება, რომ აღნიშნული ტრესტები წლიდან-წლისამდე ზოგიერთ შემთხვევაში გადამეტებითაც ასრულებენ წინასწარ მიღებულ პროგრამებს—მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროგრამა შესრულებული იქნება სავსებით.

ლითონის ტრესტმა მომავალი წლის განმავლობაში ბაზარზე უნდა გამოუშვას 8.270.000 მან. პროდუქცია, გასულ წელს კი გამოუშვა 3.140.000 მან. პროდ., სამთო მრეწ. ტრესტი გამოუშვებს 2.109.700 მან. პროდუქციას, „საქართველოს აბრეშუმი" 8.100.000 მან. (გასული საანგარიშო წლის განმავლობაში კი ტრესტს დაუმზადებია მხოლოდ 5,180.400 მან. პროდუქცია), ტყავის ტრესტს გამოუშვია შარშან 2,806.300 მან. პროდუქცია, წელს კი უნდა გამოუშვას 2.836.200 მან. პროდუქცია, ტყის მრეწველობის ტრესტი წელს გამოუშვებს 4,285.300 მან., ხოლო შარშან გამოუშვია 2.006.300 მან პროდუქცია. დანარჩენი ტრესტებიდან თამბაქოს ტრესტი დაამუშავებს 4.754.900 მან., პოლიგრაფტრესტი 1.252.200 მან. და საპონზეთის ტრესტი 2.814 მან. პროდუქციას.

სულ საქ. სახ. მეურნეობის ტრესტების პროდუქცია წელს გადიდებული იქნება 34 პროცენტით (გასულ წელთან შედარებით).

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია

ინჟინერ-ტეხნიკოსთა შრომის პირობების დაცვა

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს ცალკე ხელშეკრულებები არ დადონ ინჟინერ-ტეხნიკოსთა დასაქირავებლად, არამედ შეიტანონ საერთო ხელშეკრულებებში განყოფილება ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების შრომის პირობების შესახებ.

ასე, მაგალითად, საერთო ხელშეკრულებებში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი პირობები: დათხოვნის დროს ინჟინერ-ტეხნიკოსები გაფრთხილებული უნდა იქნენ ერთი თვით ადრე, ყოველკვირეულად მათ უნდა მიენიჭოს 42 საათი განუწყვეტელი დასვენების დრო; იმ ინჟინერ-ტეხნიკოსებს, რომელთა სამუშაო დღე მოწესრიგებული არ არის; უნდა მიეცეს ერთი თვის შვებულება, დანარჩენ შემთხვევებში იმდენი ხნით რამდენსაც მუშები იღებენ.

ამასთანავე გაღებული უნდა იქნეს თანხები ინჟინერ-ტეხნიკოსთა ძალების კვალიფიკაციის ამაღლებლად საჭირო ღონისძიებების ჩატარებისათვის (მივლინებები, კურსები, ექსკურსიები და სხვა).

[illegible] პირობების დაცვა კოლ. ხელშეკრულებებში

საქართველოს პროფსაბჭოს სატარიფო-საეკონომიო განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირებს მიიღონ ზომები, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილი იქნეს შემდეგი პირობები:

გასასვლელი დახმარების მიცემა, მიუხედავად იმისა გაფრთხილებული იყო თუ არა მუშაკი, თანხის მიცემა შეშის საყიდლად სექტემბერში, ავადმყოფობის დროს ოთხი თვის განმავლობაში ადგილის შენახვა, შეღავათების ძველი რაოდენობით შენარჩუნება, კულტფონდის ანარიცხის ძველი რაოდენობით დატოვება, ხელფასის ფონდის 0,25 პროც. გამოყოფა საბავშვო ბაგების მოსაწყობად, მუშათა საქმიან წინადადებების დაჯილდოვების პრემიალური ფონდის სასარგებლოდ წლიური ხელფასის ერთი მეოთხედი პროცენტის გამოყოფა.

სამზადისი სასკოლო აღწერისათვის

სასკოლო აღწერის ჩასატარებლად სამზადისი მუშაობა სავსებით დამთავრდება ათ დეკემბერს. მაზრებს უკვე დაეგზავნათ აღწერისათვის საჭირო ფორმულიარები და ანკეტები. ეროვნებათა უმცირესობის სკოლებში აღწერა მოხდება იმ ენებზე, რომლებზედაც სწარმოებს სწავლა. აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში სასკოლო აღწერა ჩატარებული იქნება რუსულ ენაზე. აჭარისტანში—ქართულზე. ფორმულიარების და ანკეტების დაგზავნასთან ერთად დამთავრდა ადგილობრივ აღწერის კომისიების არჩევა. ავტონომიურ ერთეულებში აღწერას ხელმძღვანელობენ ადგილობრივ სტატისტიკურ სამმართველოების გამგეები, ხოლო მაზრებში [illegible] სტატბიუროების გამგეები. ადგილობრივ აღწერის ჩამტარებელ კომისიებს წინადადება მისცა ცენტრალურმა საღწერო კომისიამ, აღწერის საუბნო ინსტრუქტორების კონფერენციები მოიწვიონ 6—7 დეკემბერს და დაამთავრონ 10—11 დეკემბერს. აგრეთვე დეპეშით გამოგზავნონ ცნობები აღწერის როგორც დაწყების, ისე დამთავრების დღის შესახებ. ამასთან ერთად ადგილობრივ კომისიებს ევალებათ ყოველკვირეულად წარმოადგინონ აღწერის მსვლელობის ანგარიშები. სააღწერო სამზადისი დამთავრებულია თბილისშიაც. აღწერა, როგორც მაზრებში; ისე ცენტრში დაიწყება 12 დეკემბერს.

ა. კ. კოოპერატიულ საბჭოს პლენუმი

გუშინ შესდგა ა.-კ. კოოპერატიული საბჭოს პლენუმი. პლენუმს დაესწრენ ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციების წარმომადგენლები საქართველოდან, აზერბეიჯანიდან და სომხეთიდან.

პლენუმმა მოისმინა კოოპსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბუკრეევის მოხსენება საბჭოს 1926-27 წლის საქმიანობის შესახებ და საბჭოს სარევიზიო კომისიის დასკვნა.

ამხ. ბუკრეევმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა ა.-კ. კოოპერატიულ საბჭოს ფინანსიურ საკითხებს, საორგანიზაციო საკითხებს, კოოპერატიულ განათლებას და ურთიერთ დამოკიდებულებას ა.-კ. და რესპუბლიკანურ კოოპერატიულ საბჭოებს შორის.

ამხ. ვ. კანდელაკმა, რომელიც გამოვიდა სარევიზიო კომისიის სახელით განაცხადა, რომ საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში დამაკმაყოფილებელი იყო.

ზოგიერთმა წარმომადგენლებმა გამოსთქვეს აზრი ამ.-კავკასიის სასოფ.-სამ. კოოპერაციის ცენტრის შექმნის აუცილებლობის შესახებ.

პლენუმმა პრეზიდიუმს დაავალა გამოთქმულ აზრების მიხედვით, სამუშაო გეგმის გამომუშავება და მისი განაწილება ადგილობრივ ორგანიზაციათა შორის.

საგადასახადო მუშაკთა ყრილობა

პირველ დეკემბერს საქართველოს ფინსახკომთან, გაიხსნა საქართველოს საგადასახადო მუშაკთა პირველი ყრილობა

ყრილობა გახსნა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარმა ამხ. მ. მგალობლიშვილმა, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში შეეხო პირდაპირ გადასახადების მნიშვნელობას რესპუბლიკის ბიუჯეტში და გამოსთქვა სურვილი, რათა ყრილობის მუშაობამ დადებითი გავლენა იქონიოს საგადასახადო კამპანიების ჩატარებაზე მიმდინარე წელს.

ამ.-კავკ. ფინსახკომის კოლეგიის სახელით ყრილობას მიესალმენ ამხ. მუსეინოვი და დავიდოვი.

1926—27 წლის საგადასახადო კამპანიის შედეგებისა და მისი 1927—28 წლის პერსპექტივების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინსახ. საგადასახადო სამმართ. უფროსმა ამხ. ბუზირიანაშვილმა.

მომხსენებელი შეეხო საქართველოს ფინსახკომის მიღწევებს სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადების აკრეფაში და აღნიშნა, რომ ეს გადასახადები აკრეფილია 8.448.468 მანეთის რაოდენობით, ანუ 1.785.000 მან. მეტი, ვინემ გათვალისწინებული იყო ხარჯთ-აღრიცხვით.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს ფინსახკომის მთავარ ამოცანას 1927—28 წელში შეადგენს კერძო ვაჭრობის და მრეწველობის რეალურ შემოსავლის აღრიცხვა სისწორით.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, კამათის პროცესში დელეგატებმა წამოაყენეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებები, რომლებიც დასამუშავებლად გადაეცა სპეციალურად არჩეულ სექციას.

პირველ სხდომაზე ყრილობამ მოისმინა პირდაპირ გადასახადების განყოფილების უფროსის ი. ჩიქოვანის მოხსენება, დაბეგვრის მეთოდოლოგიის და დასაბეგრ ობიექტების ბრუნვების და შემოსავლების აღრიცხვის პრაქტიკულად გამოყენების შესახებ.

ბაზში არსებობს არალეგალური ბრძოლა, თავის ძალების მობილიზაცია, აგიტაცია, პროპაგანდა, მასიური მოქმედება. ქუჩის გამოსვლები, გაფიცვა პლიუს დემონსტრაცია. ამას შემდეგ მოსდევს მხოლოდ დემონსტრაცია პლიუს აჯანყება. სხვა გზა არ არის.

მათ აქვს სხვა პროგრამა, რომლის დროშა გამოფენილ იქნა ცნობილ დებულებაში „ტერმიდორის" შესახებ; მათ აქვს სხვა ტაქტიკა, რომელსაც არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა სახელი, თუ არა აჯანყების ტაქტიკა საბჭოთა ხელისუფლებისა და ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ამ ტაქტიკის პირველი დროშა გამოფენილ იქნა ცნობილ თეზისში კლემანსოს შესახებ, რომელსაც ტროცკი უარყოფდა და ამბობდა, რომ იქ ასე არ არის ნათქვამიო. ახლა ამ თეზისის აზრი ნათელია თვითეულ სულელისათვის. ეს მოასწავებს გადატრიალებას ჩვენს ქვეყანაში, ეს მოასწავებს სხვა ხელისუფლებას, ეს მოასწავებს სხვა პარტიას. რა თქმა უნდა, ოპოზიციას მხედველობაში ჰქონდა მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდების მიზანი. ისინი ფიქრობდენ, რომ მათ ისეთი ვებერთელა ავტორიტეტი აქვთ ჩვენს ქვეყანაში. რომ ამის გატარება ადვილი იქნებოდა, რომ ისინი შესძლებდენ დაერწმუნებინათ ყველა და ყოველი. და რომ კლემანსისტური გადატრიალება უმტკივნეულოდ ჩატარდებოდა. ტროცკი გამოჩნდება, ორი უმაღლეს სასწავლებლის მსმენელი დაიძახებს: „გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს"-ო. და ყველაფერი მზად იქნებაო. ყველა მუშები მხოლოდ იმას ელოდიან, რომ ეს გადატრიალება მოხდეს. ყვიროდა მთელი ოპოზიციონური „მხსნელების" მოვლინებაზე. როგორც კი გამოჩნდებიან ისინი თავისი ტაძრის საფეხურებზე, ყველაფერი გაკეთდება უმტკივნეულოდ, არ მოხდება არავითარი სისხლისმღვრელი შეტაკებები, არავითარი სამოქალაქო ომი. აი რისი იმედი ჰქონდა მათ. მაგრამ ცხოვრებამ დაანახა მათ სულ სხვა რამ: ვერაფერი ვერ მიიღეს პარტიაში. შემდეგ მიმართეს ყველას და ყოველს. მიმართეს ფართო უპარტიო მასებს, მაგრამ ფართო უპარტიო მასებმა მათ ყბები მიამტვრიეს. (სიცილი) და ახლა იმათ სჭირდება შექონან რაღაც თავის სანუგეშებელი. ეს თავის სანუგეშებელი დღის დაბეჭდილია ერთი ამხანაგის აღსარებაში. ეს ამხანაგი ახლა ჩვენს მხარეზე გადმოვიდა. მაგრამ უწინ ის შედიოდა ოპოზიციის საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში და ესწრებოდა ზინოვიევისა და ტროცკის გაერთიანებულ ცეკას სხდომებს „გაერთიანებულ" სმოლნის ბინაზე. (სიცილი). ყველაზე უფრო ტრაგიკომიკური, და სიმართლე რომ ვთქვათ, მხოლოდ კომიკური ის არის, რომ როდესაც მათ შეკრიბეს თავისი ხალხი, იმ კრებაზე სრული ერთსულოვნებით აღნიშნეს, რომ „ჩაფლავდენ". მათ ერთმანეთს შორის აღიარეს, რომ „ჩაფლავდენ", მაგრამ მეორე დღეს ცეკას წარუდგინეს ორი ქაღალდი სადაც სწერია. რომ მათ მხარი დაუჭირა მთელმა მილიონმა. მათ გამოგზავნეს ქაღალდები, სადაც ამბობენ, რომ ყველა მათ მხარეზე იყო და მხოლოდ „უგლანოვის მსტვენავთა" უბადრუკი ჯგუფი იყო მათ წინააღმდეგ. ოპოზიცია წარმოადგენს მცირე ჯგუფს და მცირე ჯგუფი სცხოვრობს თავის მოტყუებით, ატყუებს თავის ბელადებს: აი ამ ცოტა ხნის წინად ერთ ქარხანაში ოპოზიციონერი გაიძახოდა, რომ იქ მისულიყო ტროცკი, მთელი 100 პროცენტი მის მხარეზეაო, მაგრამ რა აღმოჩნდა? აღმოჩნდა, რომ მთელი კრება ერთსულოვნად იყო ოპოზიციის წინააღმდეგი. ისინი სცხოვრობენ თავის მოტყუებით, ილუზიებით, ოპოზიციონური ოცნებით. თითქოს რა უნდა გვეშველებოდეს, დეე იოცნებონ. მაგრამ რასაც ისინი ახლა სჩადიან, ეს მავნეა არა მარტო თავისთავად, ვინაიდან ხელფეხს უხსნის **სხვა ძალებს**. აი, ამხანაგებო, საკითხი, რომელიც არა ერთხელ გარჩეულა და რომელიც მოითხოვს პირველ რიგში თქვენს ყურადღებას თუ თქვენ გაივლით ახლა დიდი ქალაქის ქუჩაში, მოედანზე ან ტრამვაიში დაინახავთ, თუ როგორ ეხსნება ხელფეხი ამ წვრილ ბურჟუაზიულ სისაძაგლეს ჩვენს ქვეყანაში. რატომ? იმიტომ, რომ ოპოზიცია ხელფეხს უხსნის ყველა ამ ძალებს. იქმნება კონსპირატიული წრეები, ჯგუფები. აი ამ ცოტა ხნის წინად მე მივიღე ოდესიდან „კომუნისტური მუშათა პარტიის" პროგრამა, რომელიც წარმოადგენს შესანიშნავ საინტერესო დოკუმენტს ასეთი ხასიათის განწყობილებათა დასახასიათებლად. პროგრამის წაკითხვით შეიძლება დაინახოთ, რომ ის დაწერილია გამოქნილ - გამოქნილ ინტელიგენტის მიერ. ის იღებს თეზისებს „ტერმიდორისა" და „გადაგვარების" შესახებ და, რა თქმა უნდა, ხმარობს ბევრად უფრო უხეშ და მკაცრ გამოთქმებს, ვიდრე ოპოზიცია: პარტიის ბელადები გადაიქცენ ახალ კაპიტალისტებად, რომლებიც სისხლსა სწოვენ მუშებსო და სხვადასხვა. ლაპარაკია იმის შესახებ რომ ჩვენ ვამხედრებთ ერთ ერს მეორეს წინააღმდეგ. მკაფიოდ მოსჩანს ანტისემიტური სული. მაგრამ შემდეგ ერთბაშად გამოჩნდა ინტელიგენტური „ყურები". ავტორებმა ჩვენი მთავარი დანაშაული აღმოაჩინეს იმაში, თითქოს ჩვენ მუშებს ვამხედრებთ ინტელიგენციის წინააღმდეგ.

სავსებით ნათელია, რომ ამ პროგრამის დასაყრდენ წერტილს წარმოადგენს ოპოზიციის თეზისები, რომლებმაც ხელფეხი გაუხსნა ყველა ამ გაშმაგებულ რეაქციონურ ძალებს. შემდეგ მოდის სხვადასხვა კონტრ - რევოლიუციონური პროკლამაციები და სხვა. ასეთი პროკლამაციები ახლა ბევრად უფრო მეტია, ვიდრე იყო ამ რამოდენიმე თვის წინად.

შემჩნეულია ამჟამად იმ მცირე წრეებისა და რამოდენიმედ ჯგუფების ზრდა, რომლებიც ოცნებობენ ტერმიდორზე, შეთქმულებაზე და სხვ. მე ვფიქრობ, რომ სასარგებლო იქნება ვუჩვენოთ მუშებს მთელ ამ კონტრ - რევოლიუციონურ ხროვას (ხანგრძლივი ტაში), რომ მათ იცოდნენ...

ოპოზიციის დოკუმენტები და გამოსვლები არის **„მესამე ძალის"** გამოცოცხლების საშუალება. ოპოზიციის ყველა ამ დოკუმენტებთან და გამოსვლებთან ჩვენ საქმე გვაქვს სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენსკენ მოისწრაფვის **საერთაშორისო სიმპატიის უდიდესი ტალღა**. ჩვენ ახლა ისეთი მდგომარეობის მოწმე ვართ, როდესაც თვით სოციალ - დემოკრატ მუშებს შორისაც კი ადგილი აქვს საბჭოთა კავშირისადმი სიმპატიის დიდ ზრდას. ამან გამოხატულება ჰპოვა დელეგაციებში და საბჭოთა კავშირის მეგობართა ამას წინად დასრულებულ კონგრესში, რომელიც სწორედ ამ დარბაზში მოხდა. აქ იყო ათასამდე უცხოელი დელეგატი, მაგრამ ამხანაგებო, თქვენ რომ გქონოდათ მათთან ლაპარაკი, როდესაც ისინი აქ ჩამოვიდენ, დაინახავდით, თუ როგორ იცვლიდენ ისინი შეხედულებებს, როგორი განწყობილებებით მიდიოდენ აქედან, რომ იცოდეთ, თუ რამდენად ძნელი იყო მათთვის აქ წამოსვლა, როგორი ბრძოლა სწარმოებდა იქ მათი წამოსვლის წინ, — თქვენ იგრძნობდით, რომ ისინი დაკავშირებული არიან მუშათა კლასის დიდ და ფართო მასებთან. შემთხვევითი არ არის მათი აღტაცება, აღტაცება ფიზკულტურელთა ამ აღლუმების წინაშე, სხვა რომ არაფერი ვთქვათ. მათი აქ ყოფნა ამტკიცებს, რომ ისინი მოდიან ჩვენს კავშირთან, ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოსთან. აღვნიშნავ ერთ დამახასიათებელ ამბავს ამ კონგრესზე. აქ, ამ კათედრიდან ლაპარაკობდა ერთი ფრანგი, საფრანგეთის დელეგაციის თავმჯდომარე კალომიერი, რომელიც არის გავლენიან ფრანგული ჟურნალის რედაქტორი. ის მუდამ იდგა ჩვენს საწინააღმდეგო პოზიციაზე. ის ყოველთვის იცავდა ანარქისტულ თვალსაზრისს, ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ ჩვენ ვართ მკვლელები, მძარცველები და სხ. აქ მან ფრანგ ანარქისტებისა და მთელ რიგ სხვა დელეგატებში შემავალ ანარქისტების სახელით განაცხადა, რომ ისინი მთლიანად შორდებიან ამ პოზიციას. და აი სწორედ ამ დროს ტროცკი და კამენევი კი წინადადებას გვაძლევს **ჩვენ წავიდეთ** ანარქისტებისაკენ.

საბჭოთა კავშირში მასები მოდიან ჩვენთან, ისინი კი, ოპოზიციონერები, ფიქრობენ, რომ მოდიან მუშათა მასებთან და ვარდებიან... ბატონ შჩერბაკოვების კაბინეტში. ისინი ამბობენ, რომ მუშათა კლასი მათთან არის, რომ ისინი მიმართავენ მუშათა კლასს, ამავე დროს კი მთელ მსოფლიოს მუშათა კლასი მოდის ჩვენთან, ჩვენთან მოდიან თვით სოციალ - დემოკრატი მუშებიც და გვეუბნებიან: „ჩვენ საკუთარ სისხლს დავღვრით საბჭოთა კავშირის დასაცავად". ჩვენი „რევოლიუციონური" ოპოზიციონერები კი იცქირებიან დასავლეთისაკენ და ამბობენ, რომ ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არის „ტერმიდორი"-ო. განა ნათელი არ არის სურათი? ის აბსოლიუტურად ნათელია. ჩვენ სხვადასხვა პროგრამა და ტაქტიკა გვაქვს. რა თქმა უნდა საჭიროა ვიბრძოლოთ თვითეულ მუშისათვის, რომელიც მიჰყვება ოპოზიციონერებს, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს წავიდეთ თუნდაც ერთი იდეურ პოლიტიკურ დათმობაზე იმ ხალხთან, რომლებიც თავის პროგრამით და ტაქტიკის საკითხებით წარმოადგენენ სრულიად მომწიფებულ და გადამწიფებულ მენშევიკებს.

მთელ ამ დისკუსიიდან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა. მე-15 პარტიული ყრილობაზე ოპოზიციონერების წინაშე იქნება ორი გზა: ან აბსოლიუტურად, უსიტყვოდ, ყოველ პირობის გარეშე ნამდვილად დაშალონ თავისი ფრაქცია, თავისი პარტია, უარჰყონ ზემოხსენებული მენშევიკური შეხედულებები, ან ამას ისინი არ გააკეთებენ, და მაშინ ჩვენი პარტია სათანადოდ შეაფასებს მათ.

ამხ. კლარა ცეტკინმა საბჭოთა კავშირის მეგობართა კონგრესის კომუნისტ წევრების კრებაზე განაცხადა, რომ არსებითად ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ცეკამ წარმოადგენს მხოლოდ იმის ფორმალურ გამოხატულებას, რაც არის. და ეს აბსოლიუტურად სწორია. თუ სურთ დაუბრუნდენ მუშათა კლასს და პარტიას, [illegible] იმ პირობების ნიადაგზე, რომლებსაც უყენებს მათ პარტია მე-15 ყრილობაზე. თუ დაიწყეს მიკიბულ - მოკიბული პასუხები, გვერდის ახვევა და სხვა. არავინ მათზე არ იწუხებს, არავითარი მასები მათ არ დაიცავენ. ისინი ფიქრობდენ, რომ ტროცკისა და ზინოვიევის პარტიიდან გამორიცხვას საყოველთაო გაფიცვა მაინც მოჰყვებოდა, მაგრამ სინამდვილეში მუშებმა სთქვეს: „[illegible] როგორც იქნა. ეს კარგია"-ო. მთელი მოწინავე უპარტიო მუშები კი შემოვიდენ პარტიაში.

ახლა ჩვენი პარტია რაც შეიძლება ჩქარა უნდა გადავიდეს მორიგ საქმეებზე, ვინაიდან ჩვენ ისედაც „დავიხარჯეთ" ამ დისკუსიის დროს, ე. ი. მოვცდით აღმშენებლობის საქმეს.

ჩვენ უფრო მაღლა უნდა ავსწიოთ ჩვენი საკუთარი თვითკრიტიკა და ჩვენი დადებითი მუშაობა, ვინაიდან ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ უკანასკნელ ხანებში ოპოზიციის წყალობით რამოდენიმედ ხელიდან გავუშვით ხელმძღვანელობის ტემპი. ყველას ესმის, რომ განსაკუთრებით ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოს, ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს, ისედაც არ ყოფნის დრო, რომ თვალყური ადევნოს მთელ იმ უდიდეს მანქანას, მთელ იმ საქმეს, რომელიც აწევს ჩვენს პარტიას, და ანტიპარტიულ გამოსვლებს ჩვენ უკვე აღარ მოვითმენთ. (ტაში). ამიტომ მე-15 ყრილობაზე ჩვენ მთელი სიმკვეთრით, მთელი პირდაპირობით, მთელი სიმწვავით უნდა დავუყენოთ ოპოზიციის კითხვა: ან ჩვენთან, ან არა, და თუ დაიწყებთ მიკიბულ-მოკიბულ პასუხების მოცემა, როგორც მიკიბულ - მოკიბულ პასუხებს იძლეოდით არა ერთ თათბირზე, ჩვენ ეს არ დაგვაკმაყოფილებს. კმარა თამაში „ტერმიდორით", დეკლარაციებით, კმარა თამაში დიქტატურის საკითხით ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი პარტიით. (ტაში).

წითელ ჯვარში

საერთაშორისო კონფერენცია

საზღვარგარეთიდან მიღებულ ცნობებით, 928 წლის ოქტომბერში ქ. ჰააგაში შესდგება წითელი ჯვრის საერთაშორისო მე-13 კონფერენცია. ხსენებულ კონფერენციაში მიწვეული არიან საბჭ. კავშირიდან წითელი ჯვრისა და წითელ ნახევარ მთვარის საკავშირო აღმასკომების და საკავშირო მთავრობის წარმომადგენლები.

ბავშვთა დამხმარე საზოგადოების კონგრესი

საქ. წით. ჯვრის ცენტრ. კომიტეტმა მიიღო საზღვარგარეთიდან ცნობა იმის შესახებ, რომ მომავალი წლის ოქტომბერში შესდგება ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის და სოც. დაზღვევის საერთ. კომიტეტის კონგრესი, რომელზედაც მოწვეულია საბჭ. კავშირის ყველა წით. ჯვრები..

ტრაქტორები

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას საქართველოში მთავარ როლს თამაშობენ ტრაქტორები მარტში ა.-კ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩატარებული იქნა სხვადასხვა სისტემის ტრაქტორების გამოცდა. გამოცდის მიზანი იყო გამორკვევა იმისა, თუ რომელი სისტემის ტრაქტორი უფრო გამოსადეგია საქართველოში.

გამოირკვა, რომ საქართველოს პირობებში ყველაზე უფრო გამოსადეგია ხოლტის, ინტერნაციონალის და ფორძონის სისტემის ტრაქტორები.

გამოცდასთან ერთად ჩატარებული იქნა რესპუბლიკაში მომუშავე ტრაქტორების გამოკვლევა. გამოირკვა, რომ მაშინ საქართველოში მუშაობდა 147 ტრაქტორი—ფორძონის, ხოლტის, ფაულერის, ვედის და სხვა სისტემების. შემდეგ მათ მიემატა კიდევ 20 ტრაქტორი, ასე რომ წლის განმავლობაში რესპუბლიკაში მუშაობდა 167 ტრაქტორი.

ამჟამად ტრაქტორებით უზრუნველყოფილია თბილისის, სიღნაღის გორის და ბორჩალოს მაზრები: თითო ტრაქტორია საჭირო; დუშეთის და ახალციხის მაზრებში. ორ-ორი ტრაქტორია შორაპანის ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. დადგენილია ზომები ტრაქტორების რიცხვის გასადიდებლად ჩამორჩენილ მაზრებში.

წელს საქართველოში შემოტანილი იქნება სხვადასხვა სისტემის 250 ტრაქტორი მისაბმელი იარაღებით. ტრაქტორების შესაფასებლად, და მისაღებად უკვე გაგზავნილია სპეციალური კომისია.,

ბათომის კეთილმოწყობა

მიმდინარე წლის დამდეგს დაიწყო ოთხი ახალი ორსართულიანი სახლის აგება, თვითეული მათგანი შეიცავს 12 ბინას. აქედან ოქტომბრის დღესასწაულისათვის უკვე დამთავრდა ერთი სახლის აგება. სამი დანარჩენი სახლი დამთავრდება 1928 წლის იანვრისათვის. ოთხივე სახლის აგება დაჯდა 180 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, ნანგრევებისაგან აღდგენილი იქნა ერთი 27 ბინიანი სახლი ტრანსპორტის მუშებისათვის, სახლში უკვე დაბინავებული არიან მუშები თავიანთი ოჯახებით. ეხლახან დამთავრდა ამავე სახლის მეორე კორპუსის აღდგენა. იგი შეიცავს 28 ბინას, რომელშიაც ჩასახლებული იქნებიან აგრეთვე ტრანსპორტის მუშები.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პუშკინის ქუჩაზე მდებარე მაღაზიების საცხოვრებელ სახლად გადაკეთებისათვის, რისთვისაც ხარჯი გადადებულია 42 ათასი მანეთი. წელს ახალი სახლების ასაგებად და ძველი სახლების კაპიტალური რემონტისათვის სულ გადადებულია 270 ათასი მანეთი.

ქალაქის კეთილმოწყობის დარგში შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

ჭაობის მიდამოებში არხებში აგებულია ოთხი ახალი ხიდი. სწარმოებს ჭაობის მიდამოების პროფილის ამაღლება და აგრეთვე ქუჩების, კიუვეტების მოკირწყვლა. ჭაობის პირად ირგვება ევკალიპტის ხეები რომლებიც ხელს უწყობენ ჭაობების ამოშრობას.

5—6 წლის ერთი ევკალიპტის ხე დღე-ღამეში ისრუტავს 500 ვედრო წყალს.

გარდა ამისა, გაყვანილია ერთი კილომეტრის სიგრძეზე წყალსადენის ხაზი.

სახკომსაბჭოში

მეტეოროლოგიური სადგურების შესახებ

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სია იმ მეტეოროლოგიური სადგურებისა, რომელთაც უნდა მიეცეს უფლება დეპეშის უფასოდ მიცემისა, სახელდობრ: სოხუმის, გალის, ფოთის, ბათომის, ხონის, სამტრედიის; ქუთაისის; ბეჟამეთის, ტყიბულის, ჭიათურის, წიფის, სურამის, ბორჯომის, ახასთუმანის; ახალქალაქის; ახალციხის; ფასანაურის, თიონეთის, ცხინვალის, გუდაურის, გორის, დუშეთის; მუხრანის, ყარაიაზის, საგარეჯოს, მუკუზანის, წინანდალის; წითელი წყაროს; კობის და ლიუქსენბურგის.

1926 წ. დემოგრაფიულ აღწერის მასალების დამუშავება

წინადადება მიეცა სტატისტ. ცენტრ. სამმართველოს სოფლის მოსახლეობის 1926 წ. აღწერის მასალების დამუშავება აწარმოოს თემების მიხედვით. ქ. ქუთაისის, ბათომის და სოხუმის მოსახლეობის აღწერის მასალები ცალკე უნდა იქნეს დამუშავებული.

დედაბერას, მალთაყვას და სხვ. ექსპლოატაციის შესახებ

სახ. კომსაბჭომ საჭიროდ სცნო გადაეცეს საერთო საექსპლოატაციოთ შდ. დედაბერა, მალთაყვა და სხვ. ფოთის ქალაქისა და ოზურგეთის სამაზრო აღმასკომებს.

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის დანიშვნა

ს. ს. ს. რ. სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს საქმეთა მმართველად დაინიშნა ამხ. პროკოფი მეგრელიშვილი.

ამხ. ა. კვირიკაძის მივლინება

საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. კვირიკაძე მივლინებულია საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამეცნიერო მიზნით.

შეღავათი ხელოვნების მუშაკთათვის

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება, რომლითაც ლიტერატურულ დარგში მომუშავეები მხატვრები, მოქანდაკეები, და მათი შვილები და აგრეთვე სამეცნიერო დარგში მომუშავეთა შვილები სასწავლებელში შესვლის საქმეში უთანასწორდებიან მუშების შვილებს.

ეკონომიურ საბჭოში

თბილისის ქალაქის ბანკის რეორგანიზაცია

ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად სცნო თბილისის ქალაქის ბანკის რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკად გადაკეთება მისი ძირითად კაპიტალის გადიდებით.

ეკონომიურ საბჭოსთან მოეწყო კომისია ამხ. ვ. მგალობლიშვილის (თავმჯდომარე), ს. ჯუღელის, დუმბაძის; ტრანს-კავკასიელის; გ. ჯ.-ის; და ბ. გოგიას შემადგენლობით, რომელსაც დაევალა დაამუშაოს ხსენებულ ბანკის რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკად გადაკეთებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

სამშ.-სატეხნ. სამმართველოს მოწყობა აფხაზეთის ეკონომსაბჭოსთან

აფხაზეთის ეკონომსაბჭოს მოხსენების თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო მოეწყოს აფხაზეთის ეკონომიურ საბჭოსთან სამშენებლო-სატეხნიკო სამმართველო.

გაერთიანებული სავაჭრო განყ. მოწყობა ქ. ზესტაფონში

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობასა და შორაპნის სამაზრო აღმასკომს შორის დადებული ხელშეკრულება ქ. ზესტაფონში გაერთიანებული სავაჭრო განყოფილების მოწყობის შესახებ.

დამზადების საორგანიზაციო დანამატი თამბაქოზე

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მიერ დამზადებული 1926 წლის მოსავლის თამბაქოს ფასზე დამზადების საორგანიზაციო დანამატი, ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, განსაზღვრულია, 10 პროცენტით. ამასთანავე წინადადება მიეცა ა. კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულს საქართველოში გადასინჯოს, შემცირების მიზნით, ხსენებული დანამატის რაოდენობა შემდგომ მოსავალთა თამბაქოსათვის.

ბორჯომის შუშის ქარხნის მექანიზაცია

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა ბორჯომის შუშის ქარხნის მექანიზაციის პროექტი.

შავი ქვის სამუშაოების მექანიზაცია

მუშაობა ჭიათურის შავიქვის მაღაროების სამუშაოების სამექანიზაციოდ წარმატებით მიმდინარეობს. ნოემბრის მეორე ნახევარში დამთავრდა საბაგირო ონკანის აგება. საბაგირო ონკანი გაკეთებულია მღვიმის და შუქრუთის შავი ქვის მაღაროებსა და რკინის გზის ლიანდაგს შუა, იმ მიზნით, რომ მოგვარებულ იქნეს საჭირო მასალების მექანიკური აზიდვა რკინის გზის ხაზიდან მაღაროებში. 10 წუთის განმავლობაში ახალი ონკანის საშუალებით შესაძლებელი ხდება 200—300 ფუთი ტვირთის ატანა. ბაგირის სიგრძე 180 მეტრს უდრის. ახალი ონკანის დადგმამდე ტვირთის გადაზიდვა სწარმოებდა ურმებით, რომელნიც 5—6 ტონა ტვირთის გადაზიდვას ანდომებდენ 2 საათს. სპეციალისტების დასკვნით ახლად გაკეთებული საბაგირო ონკანი უდიდეს მიღწევას წარმოადგენს მუშაობის მექანიზაციის დარგში. თავისი ზომით ეს ონკანი უდიდესია მთელს მსოფლიოში.

საბჭოთა საქართველო

წერილ[illegible]

სახალხო განათლების საქმე საგარეჯოს რაიონში

საქართველოს სინამდვილეში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 6—7 წლის მანძილზე. ვერ შესძლეთ განათლების იმ ამოცანების რადიკალურად გადაჭრა, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული აღორძინება. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია სახ. განათლების საქმიანობა საგარეჯოს რაიონში. თვითმპყრობელობის და მენშევიკების დროს არსებულ 3—4 სკოლის მაგიერ, ამჟამად 11 სკოლაა 55 მასწავლებლით და 1600 მოწაფით. აშენდა სკოლების შენობები ს. ანთოკში, მარიამ - ჯვარში, წინანდალში, შეძენილი იქნა სოფ. თოხლიაურის სკოლისათვის ოთხ - ოთახიანი შენობა. ახლო მომავალში აიგება ახალი შენობა სოფ. საგარეჯოში 9 წლედისათვის და უკვე შენდება სოფ. ურდიანში და თარაქში.

რაიონში პირველ საფეხურის სკოლების საქმიანობა დაკავშირებულია სახ. მეურნეობის ცალკე ელემენტების შესწავლის საფუძველზე, ე. ი. გატარდა აგრონომიზაცია.

კერძოდ ცხრაწლედზე შეიძლება შემდეგი ითქვას: ის სპეცგანხრები, რომელიც შემოღებულ იქნა ყველა 9-წლედებში და რომელიც უნდა ყოფილიყო მათი რადიკალური რეორგანიზაცია — არსებითად ეს ჩვენს ცხრაწლედებს ამართლებს, კერძოდ სპეცაგრონომიული განხრა. დღეს ცხრაწლედში ითვლება 864 მოწაფე, 25 ჯგუფი და 30 მასწავლებელი. სკოლას აქვს ზვარი, ბოსტანი, ხე-ხილის ბაღი, ნამყენის სანერგე, სათბური და სხვ. ჩვენი 9-წლედი ძველებურ სკოლას არ წააგავს, არ არის მოშორებული სოფლის საქმიანობასთან. იგი ყველასთან არის და ყველაფერში მონაწილეობას ღებულობს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს სასკოლო მუშაობის ზოგიერთი დეფექტებიც, როგორიცაა მხატვრული ლიტერატურის სიმცირე, ზოგიერთ მასწავლებელთა არა სწორი მოქცევა მოწაფეებთან, ნაწილობრივ პედაგოგიურ და საერთოდ განვითარებულ ძალების არა სწორად დანაწილება, მასწავლებელთა თვითგანვითარების დაბალი დონე, პედაგოგიურ პერსონალის გადახალისება, კომპეტენტური ძალების ხარჯზე და რაც მთავარია, სკოლის შენობების. რაც შეიძლება კიდევ უფრო მეტად გაფართოება, რომელიც საგრძნობლად უშლის ხელს განათლების საქმეს ფართოდ გაშლას ჩვენს რაიონში.

კერძოდ საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარებით შენდეს საგარეჯოს ცხრაწლედის ახალი შენობა, რომლის აგება სამაზრო აღმასკომზეა დამოკიდებული.

ბუგა.

კოჯორის თემი, თბილისის მაზრა

ვინ არის დამნაშავე

დაახლოვებით სამი წელი იქნება, რაც აგარაკ კოჯორში მოთავსებული არიან უპატრონო ბავშვთა ახალშენები. ამ ახალშენებში დაახლოვებით იქნება 400-მდე ბავშვი. ერთი ახალშენი დეფექტიურ ბავშვებისაა. ყველა სახლს ყავს თავისი გამგე და აღმზრდელები, რომელთაც ევალებათ აქეთ ბავშვების აღზრდა. მათთვის ოჯახში დაარსებულია განათლების კომისარიატის მიერ გლეხთა ახალგ. სკოლა და განათლების განყ. ოთხწლედი.

ამ სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ თითო ჯგუფში 50-ამდე მოწაფე ითვლება. სკოლა არაა უზრუნველყოფილი სასწავლო ნივთებით და პარტებით. პირველ და მეორე ჯგუფს, უკვე ნახევარი წელი გადის და სახელმძღვანელოები არა აქვს. ბავშვების გამოკვების საქმე მოუწესრიგებულია, ხოლო ტანისამოსი და ფეხსაცმელი მათ არ გააჩნიათ.

ზამთარი უკვე დადგა, ხოლო ახალშენის ბავშვები დაიარებიან ფეხშიშველები.

აღზრდის საქმე ძალიან ცუდადაა დაყენებული: ახალშენის ბავშვები მოგვაგონებენ ქუჩაზე მოხეტიალე უპატრონო ბავშვებს, რომელნიც გაუგებელი სიტყვებით უმასპინძლდებიან გამვლელ-გამომვლელთ.

რას ფიქრობენ აღმზრდელები, რაში იღებენ ჯამაგირს?

საჭიროა ბავშვების აღზრდას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, ხოლო ეხლავე უნდა ზრუნვა ბავშვებისათვის დროზე ჩაცმა - დახურვის საქმეს, თორემ შესაძლებელია გავრცელდეს გადამდები სნეულებანი, რომელიც გამოიწვევს სკოლის დახურვას.

მეტი ყურადღებაა საჭირო, როგორც ბავშვთა სკოლა - პატრონობისათვის, ისე მათ შესაფერისად აღსაზრდელად.

ბ. გარსიაშვილი.

საჯავახო - ჩოხატაურის გზა

არა ერთი და ორი წერილი დაწერილა ამ გზის შესახებ. ყველა კორესპონდენციებში ერთი და იგივე აზრი იყო გამოთქმული, რომ ამ გზით მოგზაურობა, ნამდვილი წამებაა და ეს სინამდვილეც იყო. 1916 წლიდან საჯავახო-ჩოხატაურის გზა სრულიად უყურადღებოდ იყო მიტოვებული, ხოლო 1918 წლის დიდმა წყალდიდობამ შუაზე გასწყვიტა ეს გზა. დაინგრა ბოგირები, გაჩნდა გაუვალი ლაფები, გზები იფარება ახალ ახალი შვავით (მეწყერით). ზემო გურიის სოფლები, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ამ გზასთან, მისი გაფუჭების გამო იძულებული გახდენ უფრო დაშორებული მიმართულებით ეწყოთ მოგზაურობა.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქციეს თბილისში მცხოვრებ აქაურმა ამხანაგებმა და მათი ინიციატივით კეთდება ამ გზის ყველაზე უფრო დაზიანებული ნაწილი, სახელდობრ „საყორნის სეპი". ბოლო დროს ხსენებული გზა გადადის გზატკეცილების სამმართველოს ხელში, სადაც იწყება გაცხოველებული მუშაობა. გაკეთდა მთელი რიგი ბოგირებისა და გაცხოველებული ენერგიით მიმდინარეობს. გზის უფრო დაზიანებული ნაწილის საფუძვლიანი შეკეთება.

უკანასკნელი ორი სამი თვის განმავლობაში უკვე საგრძნობი გაუმჯობესება დაეტყო ამ გზას, მაგრამ ჯერაც ბევრია გასაკეთებელი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ მუშაობის ხელმძღვანელის მ. ჩიქოვანის და მისი თანამშრომლების ფხიზელი და ენერგიული მოქმედება, რომლების მუშაობა თავდებია ხსენებულ გზის ახლო მომავალში საბოლოოდ აღდგენისა.

ვ. შ—ძე.

წ ე რ ი ლ ე ბ ი დ ა ნ

ახალი აბაშა, სენაკის მაზრა

ტეხნიკუმს საფუძველი ჩაეყარა

გვაქვს სამეურნეო განხრიანი ცხრაწლედი. ეს ერთი წელია, რაც ფიქრობდენ ამ ცხრაწლედის სამეურნეო ტეხნიკუმად გადაკეთებას. ოქტომბრის დღესასწაულზე ბოლო მოეღო ამ ფიქრს და სიტყვა საქმედ იქცა. 7 ნოემბერს აბაშაში საფუძველი ჩაეყარა სამეურნეო ტეხნიკუმს, რასაც აბაშის მშრომელნი დიდი ზეიმით შეხვდენ.

ამ ახლო ხანში აბაშის სამეურნეო ტეხნიკუმის აშენებისთვის მუშაობაც დაიწყება და ამით განმტკიცდება ჩვენი დაბის აღმშენებლობითი მუშაობა.

მირ. ძველაძე.

ახალ-გორის რაიონი, სამხრეთ-ოსეთი

ასეთი თავმჯდომარე არ გამოდგება

ახალგორის სარაიონო აღმასკომ-ის თავმჯდომარეთ ამჟამად ამხ სოლომონ ხაბალოვი ითვლება. ეს პიროვნება ძლიერ აჭარბებს თავის უფლებებს და დიქტატორულ მიდრეკილებებს იჩენს. მისგან შევიწროვებულია მთელი რაიონის მცხოვრებლები და მით უმეტეს აღმასკომის თანამშრომლები.

მოვიყვანთ მისი საქციელის რამოდენიმე მაგალითს; სოფ. ოკონაში ქეიფის დროს დაიწვა შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო სამკითხველო: აღმასკომის კანცელარიაში ცემა კოპლ დოლაკიძის,—ელენე [illegible]; შეურაცხყოფა მიაყენა მილიციის უფროსის კოზაევს, მილიციის სტოლიაში გალახა გლეხი ეფრო გამბიტაშვილი და მრავალი სხვა. იძლევა უკანონო ბრძანებებს მილიციელებზე, როგორიცაა მაგალითად ცხენის შეკაზმვა; ურემის მოხმობა, თავის მოტანა და სხვ.

საჭიროა ხაბალოვის ამ თავხედობას ყურადღება მიაქციოს სათანადო ორგანომ და [illegible].

[illegible] კაზიევი.

დ. ფასანაური, დუშეთის მაზრა

სკოლის საზეიმო გახსნა

ამ დღეებში დაბა ფასანაურში მოხდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის საზეიმო გახსნა, რასაც დაესწრო დიდძალი გლეხობა. სკოლას ეწოდა მარიამ ორახელაშვილის სახელწოდება.

მასწავლებლებისა და მოწაფეების მისასალმებელ სიტყვების შემდეგ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. გოგიჩაიშვილი, რომელმაც გააცნო გლეხობას გლეხთა ახალგაზრდების სკოლის მნიშვნელობა, შემდეგ გაიმართა საღამო აღნიშნულ სკოლის მოწაფეების მონაწილეობით, რითაც ფასანაურის გლეხობა კმაყოფილი დარჩა.

დამსწრე.

სოფ. დილომი, თბილისის მაზრა

კანონი სისწორით უნდა სრულდებოდეს

საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით აკრძალულია ტყის გაჩეხვა, მაგრამ ამავე კანონით ნებადართულია ტყიდან ხმელი შეშის გამოტანა თუ გლეხს ამისათვის სათანადო ნებართვა აქვს. მაგრამ ზოგიერთი მოხელის მიერ ის არ სრულდება წესიერად.

ამ რამოდენიმე დღის წინედ დილომელ გლეხ [illegible] ვარდოშვილის დილომის ტყის გამგეს მიერ გაცემული ნებართვის მიხედვით მოჰქონდა ხმელი შეშა ოჯახის საჭიროებისათვის, როდესაც მიუახლოვდა მუხათგვერდის საყარაულოს, იქ მას დახვდა პუნქტის უფროსი. ნებართვის წაკითხვაც არ ინება, და იძულებით ჩამოართვა შეშა.

გლეხობისადმი ასეთი მოპყრობა ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. მუხათგვერდის საყარაულო პუნქტის გამგის მოქმედება უკანონოა რაზედაც მივაქცევთ სათანადო ორგანოს ყურადღებას, საჭიროა გამოძიებულ იქნეს ეს საქმე და დამნაშავის პასუხი მოეთხოვოს.

დილომელი გლეხი.

მუშათა ცხოვრება

განათლების მუშაკთა სახლში

12 ნოემბერს, შესდგა განათლების მუშაკთა სახლის წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგში იყო ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

არჩევნების წინ გამგეობის მომავალი მუშაობის შესახებ მოკლე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა განათლების მუშაკთა კავშირის კულტგანყოფილების თავმჯდომარემ ამხ. ნ. ქეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ როგორც გარეგნულად გამშვენიერებული და შეკეთებულია განათლების მუშაკთა სახლი, ისევე საჭიროა ამ სახლში წარმოებულ მუშაობის გადახალისება. ამისათვის კი საჭიროა გამგეობაში არჩეულ იქნენ ისეთი წევრები, რომლებიც ენერგიულად და მუყაითად მოჰკიდებენ ხელს საქმეს და პირნათლად შეასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას. საჭიროა აგრეთვე გამგეობას თვითეულ ადგილკომთან ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, რომლის საშუალებით შესძლებს მჭიდრო კავშირი იქონიოს განათლების დარგში მომუშავეთა შორის. განათლების მუშაკთა სახლში სპეციალობის მიხედვით უნდა მოეწყოს წრეები, როგორიცაა მაგალითად მხარეთმცოდნეობის წრე და სხვა.

მოხსენების შემდეგ მოხდა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნა ცხრამეტი წევრი და ოთხი კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 3 წევრი და ერთი კანდიდატი.

კრების შემდეგ გაიმართა კონცერტი ლ. კავსაძის მონაწილეობით.

[illegible]

კეთილი საქმის ბოროტად გამოყენება

ამ ერთი თვის წინად რკინისგზის მთავარ სახელოსნოს ადმინისტრაციამ გადასწყვიტა სადურგლო საამქროში დაგროვილი წარმოებისათვის გამოუსადეგარი ხე-ტყის დახერხილი მასალა შეღავათიანი ფასებში გაეცათ ამავე სახელოსნოს მუშა-მოსამსახურეებზე. ამ მიზნით შესდგა კომისია და დანიშნეს ორი ახალგაზრდა ტეხნიკი, რომლებსაც მიენდოთ ამ საქმის მოწესრიგება. პირველ ხანებში მუშებმა გაიტანეს რამოდენიმე ვაგონი ხე-ტყის მასალა. ამან დიდი დახმარება გაუწია მუშებს. ამ მასალას მუშები სხვადასხვა საოჯახო საჭიროებისათვის იყენებდენ.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში ტეხნიკებმა გაიჩინეს ვიღაც ნაცნობ-ნათესავები და დაიწყეს სრულიად საღი და რკინისგზისათვის გამოსადეგი მასალის გაცემა, რაც დიდ ზარალს აყენებს რკ. გზას.

14 ნოემბერს, სახელოსნოს ერთმა მუშამ შეამჩნია, რომ ტეხნიკებს უნდოდათ გაეცათ მთხოვნელზე წარმოებისათვის გამოსადეგი მასალა. ეს ამბავი მუშამ აცნობა საამქროს ბიუროს, რომელმაც თავის მხრივ შეატყობინა სახელოსნოს ადგილობრივ თავმჯდომარეს ამხ. კ. მაჭარაძეს. მაგრამ მასალა მაინც გაიტანეს.

სახელოსნოს ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას, მოეთხოვოს პასუხი დამნაშავეს.

ლანჩხუთელი.

ლიტერატურული საღამო

24 ნოემბერს, პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართა ლიტერატურული საღამო. პროლეტარულ მწერლების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბენიტო ბუაჩიძემ, რომელიც ვრცლად შეეხო პროლეტარ მწერალთა მიღწევებს და აღნიშნა თანამედროვე ლიტერატურის განვითარების გზები.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც ამხ. ბუაჩიძემ დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

შემდეგ ლექსები წარმოსთქვეს პროლეტ. პოეტებმა: გ. ხიჯაშვილმა, შ. შინატებელმა, ონისიმე ქვიტრიშვილმა, კ. ხომერიძემ, სევდიშვილმა, ა სიტკოვსკიმ და სხ.,

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ლიტერატურულ საღამოების მოწყობას მუშათა კლუბებში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სასურველია კლუბის გამგეობამ ხშირად მოაწყოს ასეთი საღამოები.

ი. ვ.

კიდევ ერთი მიღწევა

ჩვენს ერთ-ერთ მორიგ ამოცანას შეადგენს სოფლის ღარიბებს და საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირის გაბმა. ამ მიზნით კარგა ხანია გაცხოველებულია მუშაობა. საშეფო საზოგადოებები დიდ დახმარებას უწევენ გლეხებს და აკავშირებენ მათ ქალაქის მუშებთან. ამავე მიზნით თბილისის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ გადასწყვიტა თბილისში არსებული ბაკები მოაწყოს ახალი სისტემით. უქსის განკარგულებაში იმყოფება რამოდენიმე ათეული ბაკი, რომლებსაც დღემდე კერძო მოიჯარადრეები განაგებდენ: მოიჯარადრეების ხელში უყურადღებობის გამო თითქმის ყველა ბაკები განადგურდა, რადგან მოიჯარადრეები არ ასრულებდენ უქსთან დადებულ ხელშეკრულებას.

მოიჯარადრე სცდილობდა რაც შეიძლება გაედიდებია თავისი შემოსავალი. ამ მიზნით ისინი უმოწყალოდ სძარცვავდენ სოფლებიდან ჩამოსულ გლეხებს.

გარდა ამისა, ბაკებში გლეხებს ხშირად პარავდენ მათ მიერ ჩამოტანილ სოფლის ნაწარმოებს და ხშირადაც მოხეტიალე ჩარჩ - დალალების წყალობით ჩალის ფასად ყიდდენ.

ბაკები ერთხანს წარმოკავშირსაც გადაეცა, შემდეგ სამაზრო გლეხკომს, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოუარა ბაკებს, ყველა ხარჯებს გაურბოდა. ამიტომ ბაკების მოვლა-პატრონობა ისევ უძრავ ქონებათა სამმართველომ იდვა თავის-თავზე. ამხ. კალანდაძის თაოსნობით დესიმონოვის ქუჩაზე ჯერ-ჯერობით მოწყობილია ერთი უზარმაზარი ბაკი. ბაკის ეზო მოკირწყლულია ქვით. ირგვლივ გაშენებულია გომები, სადაც დაიბმება 500 სული საქონელი. შუა ბაკში გაყვანილია კანალიზაცია და ვიწრო ლიანდაგიანი გზა მტკვარის პირამდე ტაჩკებით ნაგვის გასატანად.

ბაკთან მოწყობილია გლეხების ღამის გასათევი ბინა. ახლო მომავალში მოეწყობა აგრეთვე სასადილო და საჩაიე, საიდანაც ძალიან შეღავათიან ფასებში ისარგებლებენ გლეხები. ბაკს ეყოლება მუდმივი ექიმი ბეითალი და მოწყობილი იქნება ამბულატორია ავადმყოფი საქონლისათვის/ სადგომი ყველასათვის მოწყობილია ცალკე და ყველა მათგანს აქვს საკეტები.

გარდა ამისა, ახლო ხანში მოეწყობა რადიო გლეხებს უჩვენებენ სოფლის მეურნეობიდან სხვადასხვა კინო-სურათებს. ექიმი ხშირად წაუკითხავს გლეხებს სხვადასხვა ლექციებს, როგორც საქონლის მოვლის შესახებ, ისე ხვნათესვის და აერთოდ მეურნეობის შესახებ.

გლეხის ნაწარმოების გასასაღებლად, ბაკთან მოწყობილი იქნება ფარდული სასწორით, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევს საამისოდ დანიშნული პირი, რათა გლეხები არ მოატყუონ ვაჭრებმა.

ბაკის მოწყობაზე იხარჯება ოცდა ათათასი მანეთი, რომელიც წელიწად ნახევარში დაფარული იქნება შემოსავლიდან. განზრახულია ასეთი ბაკების მოწყობა თბილისის სხვადასხვა განაპირა უბნებში, რაც დიდად შეუწყობს ხელს სოფლის ქალაქთან დაახლოვებას და გლეხის სულიერად დაკავშირებას ქალაქის მუშებთან.

ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა კოოპერატიულ დაწესებულებებმა, ბაკის მახლობლად გახსნან თავიანთი მაღაზიები და გლეხობასთან აწარმოონ სოფლისა და ქალაქის ნაწარმოების გაცვლა - გამოცვლა. ეს გარდა იმისა, რომ დაიხსნის გლეხობას კერძო ვაჭრის ბრჭყალებიდან, ხელს შეუწყობს აგრეთვე გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმასაც.

ნიკო. მკერვალი.

კოლორადოს შტატის მეშახტეთა გაფიცვის გამო

(მუშის მოგონება)

კოლორადოს შტატი, მდებარეობს შეერთებულ შტატების შუა და წარმოადგენს მთაგორიან ადგილებს. სიტყვა „კოლორადო" ისპანურია და ნიშნავს ფერადს. მართლაც საინტერესო და მშვენიერი სანახავია კოლორადოს შტატი თავისი მრავალფეროვანი და აფერადებული მწვერვალებით რომელთა შორის 14.402 ფუტიანი ელბერტის მთა ყველაზე მაღალია.

კოლორადო ცნობილია სხვადასხვა მდიდარ მადნეულობით და მაღაროებით. ოქროს მოპოვებაში კოლორადოს, პირველი ადგილი უჭირავს შტატებში. აქ ცნობილია ოქროს შემდეგი მაღაროები: ტილიურიდ, კრიპლ-კრიკ, გოლფილდა, სალიდა და სხვა. ყველა ესენი კოლორადოს შტატს წელიწადში აძლევს 20 მილიონ დოლარზე მეტს. (დოლარი უდრის 1 მ. 97 კ.). ცნობილია აგრეთვე ტყის მადნებით. საერთოდ კოლორადოს შტატებში განვითარებულია მრეწველობის თითქმის ყოველი დარგი.

განვითარებულია აგრეთვე მესაქონლეობა და სოფლის მეურნეობა. წინად აქ უწყლობის გამო ფრინველიც ვერ გადაფრინდებოდა, დღეს აქ მეურნეობა ირიგაციის საშუალებით სწარმოებს. გაყვანილია დიდი გვირაბები, და წვიმის წყლების ხელოვნურად დაგუბებისათვის მოწყობილია ტბები, რამაც გავლენა მოახდინა ბუნებაზედაც და ამ უკანასკნელ წლებში წინანდელთან შედარებით უფრო ხშირად წვიმდება.

ქალ. დენვერი, სადაც ამჟამად გაფიცვებია — და რომლის შესახებაც ამავე ქალაქის ქვანახშირის მაღაროებიც 6 ვერსზე 1911 წელს „ცნობის ფურცელში" ძალიან ლამაზი ქალაქია. აი ამ ქალაქში გაფიცვა, როგორც ოქროს მაღაროებში, ისე ქვა-ნახშირის მაღაროებშიც ჩვეული მოვლენა იყო წინად. გაფიცვას უმთავრესად ხელმძღვანელობდა ფედერაცია დასავლეთ მემაღაროეთა ფედერაცია. გაფიცვის ჩასაქრობად დენვერში საჩქაროდ აგროვებდენ ნაციონალურ გვარდიას ნამდვილ ამერიკელებისაგან და გვარდიის დასახმარებლად ფედერალ ჯარს იწვევდენ ვაშინგტონიდან. გაფიცვა ყოველთვის მუშების საზარალოდ თავდებოდა მაგრამ მიუხედავად მრავალი დამარცხებისა, მუშებისთვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ერთსულოვნურ გაფიცვებს. ოქროს მაღაროებიდან გაფიცვის შემდეგ მუშების ერთი ნაწილი გადასახლდა შტატის [illegible]. შემდეგ კი რამდენიმე ძველ დარჩენილ მუშებს მიუმატეს ახლები და მოახდინეს შერიგება, შერიგების გამო გამართულ ბალზე მუშებთან და მათ ცოლებთან ერთად ცეკვაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ქვანახშირის კოროლად წოდებულმა ჯონ დ. როკფელერმა. ეს იყო 1914 წელს.

მაგრამ სულ სხვაა ეხლანდელი გაფიცვა. დღეს გაფიცვებს ინდუსტრიალისტები ხელმძღვანელობენ. ისინი უწინდელ ხელმძღვანელებთან შედარებით უფრო სასტიკნი არიან მოქმედებით. მაგრამ როგორც არ უნდა დამთავრდეს გაფიცვა, მუშების საქმეს ოდნავად მაინც წასწევს წინ.

კოლორადოს მუშებს ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა დასჭირდებათ იმისათვის, რომ გაფიცვების დასრულების შემდეგ ქვა-ნახშირის კოროლებს ცეკვის ხასიათი დაუკარგონ.

მუშა [illegible].

ქრონიკა

უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის იუბილესათვის

სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ, უნივერსიტეტის არსებობის 10 წლის აღსანიშნავ საიუბილეო დღეთ დანიშნა 8 თებერვალი. შესდგა საიუბილეო კომიტეტი მთავრობისა და პარტ. ორგანოების წარმომადგენლებიდან; ფაკულტეტის დეკანებს და რამოდენიმე პროფესორს დაევალა 10 წლის განმავლობაში ჩატარებულ მუშაობის შესახებ საერთო და ისტორიული ხასიათის მასალების დამუშავება.

საზ-ბა „ტრანსპორტ"-ის განყოფილებების გაუქმება

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სააქციო სატრანსპორტო საზ-ბა „ტრანსპორტ"-ის სატრანსპორტო განყოფილების გამგე ი. ი. კარლინი, რომელსაც დავალებული აქვს საზოგადოების მთელ რიგ ფილიალების ლიკვიდაცია ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე.

ბეჭდვითი საქმის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1927—28 წლისათვის ამიერ-კავკასიაში ბეჭდვითი სიტყვის საქმის გასაძლიერებლად, გადადო 1.223.000 მან. ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ხსენებული თანხა განაწილა შემდეგნაირად: პერიოდულ გამოცემებს მიეცემა 947.000 მანეთი; ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს—25.000 მანეთი, ხოლო რესპუბლიკანურ სახელმწიფო გამომცემლობებს—250.000 მან.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ლითონის ტრესტის გამგეობის დადგენილებით, ტრესტის ყველა ქარხნებში დანიშნულია სპეციალური კომისიები, რომლებმაც თვალყური უნდა ადევნონ ქარხნებში უშიშროების დაცვას. კომისიებს ცალკე ცეხებში და განყოფილებებში ჰყავთ თავიანთი რწმუნებულები, რომელთაც ევალებათ: თვალყური ადევნონ შრომის კანონების დაცვას, მანქანების მდგომარეობას, უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებელ საშუალებათა მოვლას და სხ.

პურის ფონდი

ამიერ-კავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა—ამიერ-კავკასიაში დაარსდეს პურის ფონდი. პურის ფონდის დაარსების მიზანია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისთვის მომარაგებული იქნეს ზედმეტი პური, რომელიც გამოყენებული იქნება პურის ბაზარზე ფასების მოსაწესრიგებლად. ამავე დროს პურის ზედმეტი მარაგი დახარჯული იქნება იმ შემთხვევაში თუ რაიმე მიზეზის გამო შეფერხდა პურის გეგმიანი შემოტანის საქმე, ან სტიქიურ უბედურებამ გავლენა იქონია მოსახლეობისათვის პურის ნორმალურად მიწოდების საქმეზე.

პურის სახელმწიფო ფონდის დასაარსებლად ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გადასწყვიტა გადადებული იქნას პირველ ხანებში 600,000 მანეთი. ამჟამად ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი იმუშავებს დაწვრილებით გეგმას პურის ფონდის დასაარსებლად.

თბილისის აღმასკომში

◆ **ახალი ბაზარი.** თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა ნაძალადევში მოაწყოს ბაზარი.

◆ **რადიო.** პოლიტგანათლების განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში არსებულ გლეხთა კლუბებში მოაწყოს რადიო-მიმღები სადგურები.

მიწსახკომში

◆ **საჩვენებელი საფუტკრე.** მიწსახკომმა გადასწყვიტა ცხინვალში მოაწყოს საჩვენებელი საფუტკრე.

◆ **ვენახების გაშენება.** მუკუზნის სახალხო მამული შეუდგა თავის მიერ დამზადებულ 20.000 ნამყენ ვაზის გაშენების საქმეს.

◆ **მინდვრის თაგვებთან** საბრძოლველად მიწსახკომმა ბორჩალოს მაზრაში მიავლინა ინსტრუქტორები საჭირო ხელსაწყოებით და წამლეულობით.

◆ **ღვინის სარდაფი.** მიწსახკომმა დაამტკიცა თელავში ღვინის სარდაფის აგების პროექტი. სარდაფი დაიტევს 50.000 ვედრო ღვინოს.

სახ. უნივერსიტეტში

◆ **რექტორატის გამგზავრება.** ერევნის უნივერსიტეტთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების მიზნით, გუშინ ერევანში გაემგზავრენ თბილისის სახ. უნივერსიტეტის რექტორი ღლონტი და პრორექტორები: პროფ. კ. კეკელიძე და შ. ნუცუბიძე.

◆ **8.000 მანეთი აგრ. ფაკულტეტისათვის.** სახ. უნივერსიტეტის გამგეობამ აგრონომიულ ფაკულტეტის ახალი შენობის (ყოფ. სემინარიის) შესაკეთებლად გადასდო 8000 მანეთი.

◆ **6 ათასი მანეთის ლიტერატურა.** მიმდინარე აკადემიურ წელიწადში სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის განზრახულია 6000 მანეთის წიგნების შეძენა.

ცენტრალურ გლეხის სახლში

◆ **ჩამოსული გლეხები:** გასულ თვეში ცენტ. გლეხის სახლს ბინა მიეცა 1191 გლეხისათვის.

◆ **დახმარება გლეხებს:** გლეხის სახლმა ჩამოსულ გლეხებს ნოემბერში გაუწია სხვადასხვაგვარი დახმარება: უფასო საექიმო დახმარება—118, უფასო რჩევა-დარიგება—1234, უფასო აბანო და დეზინფექცია—1128. აგრეთვე მიეცა ფულით დახმარება—12 გლეხს.

◆ **მოხსენებები და ლექციები:** გლეხის სახლის გამგეობამ გასულ თვეში ჩამოსულ 100 გლეხს წაუკითხა ლექციები, ჩაატარა საუბრები და მოხსენებები.

სხვადასხვა

◆ **ღვინის გატანა.** „ზაკგოსტორგმა" გადასწყვიტა გერმანიაში გაიტანოს ამიერ-კავკასიაში დამზადებული საუკეთესო ღვინოები.

◆ **მშრომელ ებრაელთა მიწად-მოწყობის საზოგადოების საინიციატივო ბიურო** აუწყებს თბ. ებრაელთა მშრომელ მასებს, რომ კვირას 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქ. პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება ებრაელთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას—ამხ. იტკინის მოხსენება—„მშრომელ ებრაელთა მიწად-მოწყობის საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებზე."

ყველა ებრაელთა დასწრება აუცილებელია.

შემთხვევები

დაჭრა

გუშინ, დილით, ჩხუბის დროს მოქ. ღენოზი ფილიპესძე იაკობაშვილმა და ბიძინა ირაკლისძე გრუილიამ დანით მძიმედ დასჭრა ერასტი გერასიმესძე შალამბერიძე.

დაჭრის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ორთავე ბოროტმოქმედი დააპატიმრეს.

ჯიბგირების დაპატიმრება

ამ უკანასკნელ ხანებში ტრამვაის ვაგონებში გახშირდა ჯიბიდან ფულის ამოცლის შემთხვევები.

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა 5 ჯიბგირი. ისინი აღმოჩნდნენ: თედორე ამბროსისძე ბალშენიკოვი, ალექსანდრე ანდრიასძე ბელოვი, ილია კოდაიში; შაქრო სოლომონისძე ლოლაძე და პავლე პეტრესძე ბალიასნიკოვი.

— ერთი ბოთლი არაყის მოპარვისათვის დააპატიმრეს მიხეილ პეტროსოვი.

— მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ფოლადიშვილის ბინა (კატოლიკეს ქუჩა № 8); წაიღეს 100 მანეთის საოჯახო ნივთები.

— მეპაპიროსე ნოე გლოვს რუსთაველის პროსპექტის და პაგკავაძის ქუჩის კუთხეში მოპარეს 190 მანეთის პაპიროსი.

— ფანჯრის გატეხის საშუალებით 1 დეკემბერს გაქურდეს 121 შრომის სკოლის წიგნსაცავი (აკოპ-აკოპიანის ქუჩა № 2); მოიპარეს 60 მანეთის წიგნები.

— ფულის გამოტყუება. გუშინ გლეხ კონსტანტინე სიდონაშვილს რიყის ქუჩაზე გამოსტყუეს 190 მან.

— ქურდობა. 1 დეკემ. გაქურდეს ვასილ ჯიშკარიანის ბინა (მიმოსვლის ქუჩა № 2); წაიღეს 200 მანეთის ტანისამოსი.

— გუშინ გაქურდეს ანა მოლიტოვას ბინა (კალინინის ქუჩა № 61) მოიპარეს ოქროს საათი.

— ქურდის შეპყრობა. დაპატიმრებულია გარეგინ მინასისძე ვართანოვი, რომელსაც ბრალდება ქურდობა.

21.240 მანეთის გატაცება

მუშკოოპის ცენტრალურ სალაროდან

ხუთშაბათს, 1-ლ დეკემბერს, ნაშუადღევის ორ-სამ საათზე, გაქურდეს მუშკოოპის გამგეობის ცენტრალური სალარო (ჟორესის და კავლის ქუჩის კუთხეში), საიდანაც ბოროტმოქმედებმა წაიღეს ფულად 21. 240 მანეთი.

ამ ქურდობის დაწვრილებითი ცნობები ასეთია:

გუშინ, დილის 7 ნახევარ საათზე, მუშკოოპში გამოცხადდა თანამშრომელი ი. მირონცი. მან შეამჩნია, რომ მესამე სართულის ზოგიერთი ოთახები ღია იყო. იგი განცვიფრებაში მოვიდა. დაათვალიერა მთელი შენობა და შენობაში ვერავინ ნახა. როცა შევიდა № 22 ოთახში, სადაც ცენტრალური სალაროა, წააწყდა შემდეგ სურათს—ცეცხლგამძლე სალარო, რომელიც 40 ფუთს იწონის, დაძრული იყო ადგილიდან, ოთახში ეყარა 500 მანეთის ვერცხლის ფული; მაგიდები და მათზე დალაგებული საბუთები ყირამალა იყო გადაბრუნებული. იქვე ეწყო საბურღავი და სხვადასხვა საჭრელი ინსტრუმენტები.

მირონცმა მომხდარი ამბის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის უფროსის მოადგილე შ. მულაძე, მე-9 კომისარიატის თანამშრომლები და სისხლის სამართლის მილიციის აგენტები.

ადგილობრივ დათვალიერებით გამოირკვა, რომ ცეცხლგამძლე სალარო მეტად მოხერხებულად იყო გამოჭრილი სამ ადგილას. ორი ჭრუტანა უფრო ფართო იყო, მესამე კი მცირე. სალარო სამთავე ადგილას მრგვალად არის ამოჭრილი ისე, რომ ადამიანის ხელი თავისუფლად მოძრაობს შიგ. ამ ჭრუტანებიდან ქურდებს წაუღიათ მხოლოდ ქაღალდის ფული. ვერცხლის ფული წაღებული არ არის.

ცეცხლგამძლე სალაროს ამგვარი ხერხით გამოჭრა მოითხოვდა გაუმჯობესებულ სპეციალურ იარაღებს, რაც ჰქონიათ მძარცველებს. ნაწილი ასეთი ხელსაწყოებისა ბოროტმოქმედების ადგილზე აღმოაჩინა სისხლის სამართლის მილიციამ.

სისხლის სამართლის მუშაკთა სიტყვით, ცეცხლგამძლე სალაროს ამგვარად ამოჭრის შემთხვევა პირველი მაგალითია თბილისის სისხლის სამართლის პრაქტიკაში. აქედან დასკვნა გამოჰყავთ, რომ გამქურდავები არიან დახელოვნებული ქურდი-რეციდივისტები.

გარდა ამისა, გამქურდავებს კარგად სცოდნიათ მუშკოოპის შენობის ყოველი კუნჭული და ფიქრობენ, რომ ბოროტმოქმედების ჩადენაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შინაური ხელიც.

მუშკოოპში მიმდინარე მუშაობა სრულდება საღამოს 8 საათზე. დადასტურებულია, რომ ბოროტმოქმედნი მუშაობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილან მუშკოოპში და დამალულიან ისეთ ადგილას, რომ შენობის დამლაგებლებს ვერ შეუმჩნევიათ ისინი, საერთოდ მუშკოოპის შენობა ბევრი ოთახებისაგან შესდგება. შიგ არის ადვილად დასამალავი ადგილები, რამაც ხელი შეუწყო მძარცველებს თავიანთი განზრახვის შესრულებაში.

გამქურდავებს ღამის 12 საათამდე გამოუძიებიათ შენობაში და შემდეგ შესდგომიან „მუშაობას".

როგორც ირკვევა, გაძარცვაში მონაწილეობას ღებულობდა სამი კაცი. ორი კაცი უშუალოდ აწარმოებდა სალაროს გამოჭრის ოპერაციებს და მესამე კი გარედან სდარაჯობდა შენობას, რომ მოსალოდნელი საფრთხის დროს სასწრაფოდ ეცნობებინა თავისი ამხანაგებისათვის.

ფულის გატაცების შემდეგ ბოროტმოქმედნი ასულან შენობის მეოთხე სართულზე და გამოუჭრიათ ჭერი. ჭერიდან ჩაუშვიათ მსხვილი თოკი საბჭოთა და სავაჭრო კლუბის მხარეზე. თოკის საშუალებით თვითეული ბოროტმოქმედი გადასულა ამერიკელ ძმათა სასადილოს ეზოში და იქიდან მიმალულან.

შენობის მეოთხე სართულიდან გადმოკიდებული თოკი ბოროტმოქმედებს დაუტოვებიათ.

მიღებულია ზომები გამქურდავთა შესაპყრობად.

ტორ-რამას გასტროლები

ნოემბრის 1-ლიდან ცირკ „კოლოსში" დაიწყო ჰიპნოტიზიორის—ტორ-რამას გასტროლები. ტორ-რამა თვითონ ავსტრიელი ქიმიკოსია, რომელიც 1922 წლამდე მუშაობდა ერთ-ერთ ქიმიურ ქარხანაში.

ტორ-რამას ყველა ნომრებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ: ცდები ფრინველებზე, ე. წ. ავტოჰიპნოზი, ანუ ცდები თავის თავზე და ცდები გარეულ მოუშინაურებელ მხეცებზე. ტორ-რამა აძინებს და კატალეპსიურ მდგომარეობაში მოჰყავს ქათმები და სხვა ფრინველები. გარეული არწივი, რომელიც ითვლება მტაცებელ ფრინველთა მეფედ, ტორ-რამას შეხედვისთანავე ჰკარგავს თავის ნებისყოფას და აღარ იძვრება. არწივს არ ეძინება, მაგრამ ტორ-რამა, რომ მას გულზე დაისვამს და ყბის ნერვის ხაზვლევს დაუჭერს, არწივს ავიწყდება ჭამა.

ცდების მეორე ჯგუფს ეკუთვნის—ავტოჰიპნოზი. ტორ-რამა გადადის ჰიპნოტიურ მდგომარეობაში და იგი ცალი გაშლილი ფეხით შლის ფიცარზე სხვის მიერ ცარცით დახატულ ფიგურას.

სხვა ცდებს შორის გაკვირვებას იწვევს ტორ-რამას შესვლა ლომების გალიაში. ლომები გასტროლიორის პირველი შეხედვისთანავე კარგავენ ნებისყოფას და აღარ იძვრებიან. თვითონ ტორ-რამა ამ მოვლენას ხსნის ე. წ. ფიქსინაციით (ანუ პირველი შეხედვის ფიქსაცია). ტორ-რამა მხეცს თვალებს არ აშორებს და ამგვარად მხეცი ჰკარგავს აზროვნების საშუალებას.

ტორ-რამას სხვა ნომრებს შორის აღსანიშნავია მკლავის გახვრეტა გაუწმენდავი მახათით; ამ ცდის დროს იგი არა გრძნობს ტკივილს და ნახვრეტიდან არ გამოდის სისხლი.

ტორ-რამას ცდებმა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია და ცირკს ყოველ საღამო დიდძალი ხალხი აწყდება.

ტორ-რამა და მისი „საიდუმლოებანი"

რას ამბობენ სპეციალისტები ტორ-რამას შესახებ

პროფ. მ. ასათიანის და ექ. ა. გოცირიძის აზრი

როგორც მკითხველებმა იციან, ამ რამოდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოვიდა ჰიპნოტიზიორი ტორ-რამა, რომლის ცდებმაც თავის დროზე დიდი ინტერესი გამოიწვია, განსაკუთრებით რუსეთში. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ტორ-რამამ ასეთ შედეგებს მიაღწია დიდი ვარჯიშობის შემდეგ და მისი ცდები თითქოს დიდ ინტერესს წარმოადგენენ, როგორც ახალი აღმოჩენები.

ტორ-რამას ცდების შესახებ ჩვენმა თანამშრომელმა შესაფერი განმარტებებისათვის მიმართა პროფ. მ. ასათიანს და ფსიქიატრ ა. გოცირიძეს.

პროფ. მ. ასათიანი

„ტორ-რამას ცდებში არაფერი არაა არც ზებუნებრივი და არც მიუწვდომელი. ყველა ის ცდები, რომელნიც მან მოახდინა ცირკში, შეუძლია გაიმეოროს ყოველმა ცოტად მაინც გავარჯიშებულმა. ყველაზე უფრო „სენსაციურ" ნომრებათ შეიძლება ჩაითვალოს მისი შესვლა ლომების გალიაში და ტანის გახვრეტა მავთულებით. მესამე, ხალხისათვის გასაკვირველი ნომერია ე. წ. კატალეფსიურ მდგომარეობაში გადასვლა და შემდეგ სხვადასხვა მანიპულაციების კეთება (ხაზების წაშლა ფეხით და სხ.). ყველაფერი ეს აიხსნება შემდეგნაირად: ტორ-რამას უადრესად აქვს განვითარებული ნერვიული სისტემა. ეს ნერვ. ისტერიული კონრიულ ადამიანებს ან ძალიან უნვითარდებათ გრძნობა (ამ შემთხვევაში ტკივილის) ან ეკარგებათ გრძნობა სავსებით უჩლუნგდებათ (ანესტეზიური მდგომარეობა). მეცნიერები ამას ეძახიან ანესტეზიას და ჰიპერესტეზიას: ტორ-რამას შეუძლია მისი ნერვიული მექანიზმი ერთ შემთხვევაში მიაწყოს ანესტეზიურ განწყობილებით და მეორე შემთხვევაში ჰიპერესტეზიურით. ეს საკითხი მთლიანად კიდევ არაა შესწავლილი მეცნიერების მიერ, მაგრამ აქ ახალ სიტყვას არც ტორ-რამას ცდები გვეუბნებიან.

ტორ-რამა მხოლოდ იმითაა საინტერესო, რომ დაარწმუნოს კაცი, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ადამიანმა ვარჯიშობით".

ფსიქიატრი ექ. ა. გოცირიძე

„ჰიპნოზის შესახებ არსებობს რამოდენიმე სკოლა—შარკოსი, ბერნჰეიმის, ბეხტერევ-პავლოვის და სხ. ჰიპნოზი არის შთაგონებული ძილი. „ადამიანი გვირგვინია ბუნებისა",—ნათქვამია. ცხოველები (ეს უკვე ანბანური ჭეშმარიტებაა), ინსტინქტიურად გრძნობენ ადამიანის ძალას. აიღეთ თქვენ და მიაჩერდით ძაღლს თვალებში. იგი ვერ გაუძლებს ყურებას და თვალებს აგარიდებთ. რომ ივარჯიშოთ, შემდეგ თქვენთვის არც ერთი ავი ძაღლი აღარ იქნება საშიში და უბრალო შეხედვით შეგიძლიათ გააქციოთ იგი. ასეთივე ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს ტორ-რამას შესვლას ლომების გალიაში. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს გულადობას. ცხენმა თუ კბენა იცის და თქვენ მას გულადათ მიუახლოვდით, იგი აღარ გიკბენს. ტორ-რამა იმიტომაც არაა ახალი ცდების ავტორი, რომ ცხოველების მოთვინიერებაში სხვებმა უფრო მეტს მიაღწიეს.

რაც შეეხება ფრინველების დაძინებას,—ესეც ჰიპნოზში შეუსწავლელია, ელემენტარულად მაინც, ყველა შეიძლებს გაიმეოროს ეს ცდები. ქათამი, რომ დააწვინოთ ზურგზე, გაუწიოთ უკან კისერი და ნისკარტიდან გაიყვანოთ სწორი ხაზი ცარცით, თუ ქათამს ცოტა ხნით დააკავებთ ძალით; შემდეგ იგი დარჩება ასეთ მდგომარეობაში. ანესთეზიისა და ჰიპერესტეზიის შემთხვევები ძალიან ხშირი მოვლენაა. ამ დღეებში, მაგალითად ფოთიდან ჩამოიყვანეს ავადმყოფი მუშა მ—შვილი, რომელიც ნერვიული სისტემის ისტერიითაა შეპყრობილი. იგი ჩხვლეტის შემდეგ ტანის ერთ ნაწილზე არა გრძნობს ტკივილებს. კლინიკაში არიან ავადმყოფები, რომლებიც განიცდიან ე. წ. ჰიპერესტეზიას. მათ შეუძლიათ ჩაცმული ფეხით იგრძნონ უბრალო ხაზიც კი.

მე პირადათ, ტორ-რამაზე მეტი წარმოდგენის ვიყავი. მთელი ის ცდები, რომელსაც ტორ-რამა აჩვენებს არ არის რაიმე არაჩვეულებრივი და არავითარი ახალი თეორია ამ დარგში მას არა აქვს".

ავიაქიმში

წევრთა რიცხვი

1927 წლის ოქტომბრისათვის ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ირიცხებოდა 116,466 წევრი, აქედან მუშები—29 პროცენტი, გლეხები—13 პროცენტი, მოსამსახურეები—28 პროცენტი, სამხედრო პირნი—18 პროც. მოსწავლენი—5 პროც.

ქალები ავიაქიმში

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში ამჟამად ქალთა რიცხვი ყველა წევრთა შემადგენლობის 10 პროც. სამხედრო მზადებაში ჩაბმულია 200-მდე ქალი.

ავიალატარია

ამიერ-კავკასიაში ავიალატარიის კამპანია ჩატარდა ბრწყინვალედ გავრცელებულია 67,007 ბილეთი.

„გამომცემლობა"

თავდაცვა-ავიაქიმის მიერ 1927 წელში გამოცემულია 33 სამხედრო-პოპულიარული წიგნი. აქედან ქართულ ენაზე—18 წიგნი, სომხურ ენაზე—6 წიგნი, თურქულ ენაზე—9 წიგნი. გარდა ამისა გამოცემულია და გავრცელებული რესპუბლიკებში 3 მხატვრული პლაკატი.

შეჯიბრი სროლაში

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების თითქმის ყველა ქალაქებში ჩატარებულ იქნა შეჯიბრი სროლაში. შეჯიბრმა გამოარკვია, რომ სასროლო საქმე ორგანიზაციებში დაყენებულია კარგად. მიღებულია ზომები ახალი ტირების დასაარსებლად და ორგანიზაციების უზრუნველსაყოფად სასროლო ხელსაწყოებით.

სასამართლო

დახელოვნებული კომბინატორები

მართლმსაჯულების წინაშეც არ იტეხენ იხიბარს ჩვენი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის „გამავრცელებელნი".

— ჩვენ საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებდით და გავაკეთებდით კიდევ, მაგრამ არ დაგვაცალეს დაგვაპატიმრეს, გაგვაუბედურეს,—აცხადებენ ბრალდებულები.

განსაკუთრებულ „ცეცხლოვან" სიტყვებს აბნევენ თომა ჩიქვანაია და ერონიმე არსენიშვილი. დავით კაკაბაძე უფრო მორცხვობას იჩენს ეტყობა, ბედს იწყევლის, რომ ასეთ „ხლაფორთში" გაახვიეს „მეგობრებმა". ყოველ შემთხვევაში, როგორც თვით პროკურორმა აღნიშნა, მას უშუალოდ არ უთამაშია არავითარი როლი აფერაში და კომბინაციებში, რომლებითაც ხელს ითბობდენ თომა ჩიქვანაია და ერონიმე არსენიშვილი.

ამ აფიორისა და კომბინაციების შესახებ კიდევ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველებს.

პირველად ჩვენი დროის „კვაჭები" მოგვევლინენ ჟურნალ „მნათობი"-ს გასავრცელებლად სულ მოკლე ხნის განმავლობაში 5000 მანეთი აკანცლეს „მნათობს", შემდეგ თავი დაუკრეს ჟურნალს და საკუთარი გამომცემლობა შექმნეს, რომელსაც დაარქვეს „ქართულ სამეცნიერო წიგნების გამომცემლობა".

ამ გამომცემლობას არაფერი გამოუცია, გარდა ოცკაპიკიანი მოწოდებისა, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე გაასაღეს „კვაჭებმა". თითო ცალი ხუთმეტ მანეთად.

ეს მათ ძალიან ადვილად მოახერხეს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მრავალი დაწესებულებაა, თუმცა აირჩევს, რასაკვირველია, უფრო მდიდარ დაწესებულებას, რომელსაც არ გაუჭირდება 15 მანეთის გადახდა. ამ დაწესებულებებს პაკეტში მოწოდებას და გზავნის დაწესებულების სახელზე—15 მანეთის ფასდადებით.

დაწესებულებას მისდის უწყება, ის გზავნის კაცს ფოსტაში, იხდის 15 მან. იმის მოლოდინში, რომ რაღაც ძვირფასი რამ არის მის სახელზე მიღებული.

გახსნიან პაკეტს და კითხულობენ: ...დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ უარს არ იტყვით და გამოიწერთ კ. კაპანელის „ქართული ლიტერატურის ისტორიას, საზოგადოებრივ განვითარებასთან დაკავშირებით"...

ჰო და ამასთან „დაკავშირებით" „კვაჭებმა" ჰკრეს ფეხი დუღარეში.

ჯერ ბავში არ დაბადებულიყო და აბრამს არ ჰქვიდენო. ჯერ კ. კაპანელი არც კი შესდგომოდა თავისი ისტორიის წერას,—ხოლო თომა ჩიქვანაია თავის ამქრებით ფულებს ხვეტდა დაწესებულებებიდან.

ეს მხოლოდ ერთი აფიორათაგანია.

ჟურნალ „მნათობი"-ს ბეჭედი და ბლანკებიც ვართედ გამოიყენეს კვაჭებმა. შეადგინდენ მისართებს. „მნათობი"-ს „რედაქტორი" იყო ვითომ ერ. არსენიშვილი. თომა კი კანტორის მმართველი.

ამ ბეჭდების და ბლანკების საშუალებით მათ „ლიტერატურის საჭიროებისათვის" (!) „ოუგოსტალი"-დან ნისიათ გამოიტანეს 150 ფუთი რკინა და გაყიდეს ბაზარზე.

„ოუგოსტალი" ჩვენ [illegible] გვცდავება დაო თქვენ რა გინდათო,—სთქვა თომამ სასამართლოში.

ასე როდია საქმე, თომა! გვითხარით, რედაქციას რკინა რაზედ ესაჭიროებოდა,—ეკითხება პროკურორი. არის თუ არა ეს სიყალბის ჩადენა?

აბულაძის „რუსულ-ქართული ლექსიკონი", იგი უნახავს ვინმეს თვალით? რასაკვირველია, არავის.

ფული კი დიდძალი შეკრიბეს „კვაჭებმა". ხელისმომწერი ეუბნებოდა, რომ საცაა დღეს თუ ხვალ სტამბიდან გამოვა და მიიღებთო.

სასამართლოში მოტყუებულ ხელისმომწერთა მთელი რიგი მოითხოვს ფულის უკანვე დაბრუნებას. იუსტინე აბულაძეს ნერვები ეშლება.

— მომატყუეს მაგათ, თორემ ჩემი ლექსიკონი გამოსული იქნებოდა ეხლა, და ხელისმომწერლებიც ბლომად მეყოლებოდაო, — აცხადებს ის.

ეხლა საღებავების შესახებ.

ია ეკალაძე აპირებდა და ეხლაც აპირებს „ქართველ მწერალთა ონტოლოგიის" გამოცემას. საკმარისია რომელიმე მწერალმა ოლონდ რამე მოიფიქროს და შემდეგ თომას ჰკითხეთ რამდენი „წვენი გამოადინოს" მან!

ბანკი და ბეჭედი მზად არის. „ონტოლოგიის საჭიროებისათვის" მათ გამოაქვთ „ზაკგოსტორგიდან" საღებავები და ფოტო-მასალები, მოგეხსენებათ, შეღავათიან ფასებში, სამაგიეროდ აწეულ ფასებში ჰყიდიან ბაზარზე.

— მომატყუეს, გამიყიდეს საღებავები, თორემ ჩემი ონტოლოგია ეხლა გამოცემული იქნებოდა, — ამბობს მოწმე ია ეკალაძე.

გუშინ დამთავრდა მოწმეების დაკითხვა და მხარეების კამათი.

დღეს გამოტანილი იქნება განაჩენი.

გერ.

ნიკოლოზ ხეიმონოვსკის საქმე

მოქ. ხეიმონოვსკი იყო მუშკოოპის დუქნის გამგე სოფელ მალხაზოვკაში (თბილისის მაზრა). ძალიან „ხათრიანი" კაცი იყო, როგორც სჩანს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, საქონელს „ნისიათ" იძლეოდა და არც კი იწერდა, ვისზე რამდენი იყო გაცემული. ვინც ისინდისებოდა და ნისიას გაისტუმრებდა, ხომ კარგი. არა და ძალას ხომ ვერ დაატანდა?

ასე იყო თუ ისე, გასული წლის განმავლობაში მას დააკლდა 323 მანეთი, ნაღდი ფული.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ. ხეიმონოვსკის მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. ამნისტიის ძალით მსჯავრდადებულს სასჯელი მოეხსნა.

ნ.

ხელოვნება

პროლეტ. დრამატ. სახელოსნო

„მეამბოხენი" ი. ვაკელის

დადგმა რეჟ. კობახიძის მხტ. დ. კაკაბაძე.

იონა ვაკელის პიესა „მეამბოხენი" უფრო რომანტიულად განწყობილ პოეტის გულწრფელი სიტყვაა ლიტერატურულ ფორმაში მოქცეული, ვიდრე დრამატიული შემოქმედება. სიუჟეტი მარტივი აგიტკის ხაზებშია განვითარებული. მოქმედება სწარმოებს ს. ს. ს. კავშირის საზღვრებს იქით და, რომ იქ კაპიტალისტი მუშას ჩაგრავს, ეს ჩვენი თეატრის მაყურებელმა დიდი ხანია იცის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ პროლეტ-მწერალს ი. ვაკელს დაემუშავებინა სცენიურად ჩვენი ყოფაში შექმნილი რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

„მსოფლიო მასშტაბი" ხელს უწყობდა პიესის ცუდ დადგმას. ხსენებული სახელოსნო ფაქტიურად რამოდენიმე წლის წინად დაარსდა. საკმაო დრო ჰქონდა ხელმძღვანელს ნაყოფიერების გამოსაჩენად. „მეამბოხენის" დადგმა ბევრად არ განირჩევა ამ სახელოსნოს „მსხვერპლის" პირველი დადგმიდან. ეს მოხდა თითქმის ორი წლის წინად და პრესამ იგი სასტიკად დაგმო. ჩვენს პირობებში სტუდიური მუშაობა არ გამართლდება. თუ რომელიმე ახალგაზრდა აქტიორულ ნიჭს გრძნობს თავის თავში,—[illegible] კოლექტიურ სახელოსნოებში გაშლის შესაძლებლობანი. ასეთი კოლექტივი არის პროფის და მუშათა თეატრები. იქ იქმნებიან საბჭოთა მომავალი აქტიორები და რეჟისორები. სპექტაკლში უმთავრეს ყურადღებას იქცევდა ევროპიდან ახლად დაბრუნებული მხატვარი დ. კაკაბაძე. ამ სპექტაკლის პირობებში გაკეთებული მხატვრული კონსტრუქცია დიდ დეკორატორ მხატვრის შთაბეჭდილებას ქმნიდა.

საჭიროა თბილისის თეატრების ხელმძღვანელებმა ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება და კაკაბაძეს მისცენ საშუალება გამოამჟღავნოს თავისი მხატვრული ოსტატობა სცენიურ ფორმებში.

გ. გ.

თეატრი ზუგდიდში

სათეატრო და საგანმანათლებლო მუშაობას ზუგდიდში უმთავრესად ეწევა ადგილობრივი პროფკავშირთა კლუბი. კლუბში მოთავსებულია ლენინის კუთხე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სალექციო და სათეატრო დარბაზი, სადაც რეგულიარულად იმართება წარმოდგენები, კინო და საღამოები. მთელი შენობა ამჟამად შეკეთებულია და შელამაზებული.

მიმდინარე წლის სათეატრო სეზონის დაწყებისათვის პროფკავშირის გამგეობა ადრევე შეუდგა მზადებას ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან შედგენილ იქნა დასი, რომლის ხელმძღვანელობა მიენდო მსახიობ ი. ჟვიძეს. დასი რამდენიმე კვირის განმავლობაში ემზადებოდა სეზონის გახსნისათვის. სეზონი გაიხსნა 25 ნოემბერს. წარმოდგენილ იქნა შალვა დადიანის პიესა „გეგეჭკორი". სეზონის გახსნას მრავალი მუშა-მოსამსახურენი და მოწაფეობა დაესწრო.

ზუგდიდის თეატრის მიმდინარე სეზონის რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები: „ჯალათი მამა", „მზის ამოსვლამდე", „მსხვერპლი", „ბატონ სარიდანიძეების დასასრული", „ამერიკელი ძია", „ივერიუმი" და სხ.

ადგილობრივად მუშაობის გარდა ზუგდიდის თეატრის დრამწრეს განზრახული აქვს მთელი რიგი წარმოდგენების გამართვა გალში, ოჩემჩირეში და ხობში.

პროფკავშირის კლუბთან არსებობს აგრეთვე მომღერალთა გუნდი ლოტბარ გ. ჭელიძის მეთაურობით. გუნდი შესდგება 20 კაცისაგან. უმთავრესად მღერიან მეგრულ ხალხურ სიმღერებს. ამავე გუნდთან არსდება მეჩონგურეთა გუნდი (10 კაცის შემადგენლობით), ხალხური საჩონგურო ჰანგების შესასრულებლად.

საერთოდ, სათეატრო საქმიანობას ზუგდიდში, მიმდინარე წელს დიდი გაუმჯობესება ეტყობა შარშანდელთან შედარებით.

ვ. ჟ.—

ხელოვნების ქრონიკა

◆ ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „სადკო".

◆ „გაყრა". მუშათა თეატრის ქართული დრამა დღეს დგამს „გაყრა"-ს.

◆ წითელ-არმიელთა კლუბში მუშათა თეატრის რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „პერეკოპის აღება".

◆ რუსთაველის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „კარმენსიტა".

დღეს კინოებში

◆ „აპოლოში"—„კაცი და ლივრეა".

◆ „არფასტოში"—„პოეტი და მეფე".

◆ „სოლეიში"—„პოეტი და მეფე".

◆ „დარბაზში"—„ბუკ-რაველის თავგადასავალი".

კალოშები

კალოშებით მოვაჭრე კოოპერატიულმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მიმართეს განცხადებით, რომ ივლის-აგვისტოში გადმოგზავნილი კალოშები ჯერაც არ არის მიღებული. გარდა იმისა, რომ კალოშების მოთხოვნილება ამჟამად დიდია და მისი დაკმაყოფილება ვერ ხერხდება, ტვირთების დაგვიანების გამო, კოოპერაციას ძალიან დიდი ზარალი, ვინაიდან კრედიტის ვადა თავდება, საჭირო გახდება ახალი კრედიტი, რაც გაზრდის ზედნადებ ხარჯებს.

ჭადრაკი

ტურნირი წ. არ. სახლში

წითელ არმიელთა სახლში არსებულ ჭადრაკის წრემ მოსამზადებელი მუშაობა ტურნირისათვის უკვე დაამთავრა. 30 დეკემბერს გაიხსნა ტურნირი აღნიშნულ წრის წევრთა პირველობაზე. ტურნირში მონაწილეობას იღებენ: ლევიტასი, შეიდმენი, ობოზოვი, ებრალიძე, გაბრიელიანი; შუბინი, სტეპანოვი, მაქსიმოვიჩი, პოლოსოვი, მიკირტუმოვი, იაგნეტინსკი, აგაიანი, ვადბულსკი, გერტმანი; მაიზელი და რაკანტი.

პირველი ტურის შედეგები ასეთია: მაქსიმოვიჩმა მოუგო პოლოსოვს, აგაიანმა—გაბრიელიანს, ხოლო ებრალიძის პარტია ვადბულსკისთან და შუბინის პარტია—იაგნეტინსკისთან უშედეგოდ დამთავრდა. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელია. დღეს, 3 დეკემბერს შესდგება ტურნირის მეორე ტური.

რკინისგზაზე

აცილებული კატასტროფა

2 დეკემბერს მატარებელი № 123, რომელიც მიჰყავდა მემანქანე შახნაზაროვს, მიდიოდა მგზავრობისათვის სათანადო საბუთის გარეშე გაუფრთხილებლად გაიარა სადგ. ყუთისი. გაფრთხილების შესახებ მიცემულ სიგნალებს, რომელსაც აძლევდენ მემანქანეს სადგურის მოსამსახურეები და კონდუქტორები, შახნაზაროვი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და განაგრძობდა გზას.

ამ დროს სადგურიდან საწინააღმდეგო მიმართულებით მოდიოდა მატარებელი № 124. კატასტროფა აუცილებელი იყო. მაგრამ სადგურის მორიგემ მატ. № 123-ს გაადევნა უკან სადგურზე მარაგში მდგომი ორთქლმავალი, რომელიც დაეწია მატარებელს გზაში და გააჩერა.

ამგვარად, სადგურის მორიგეს მიერ მიღებულ ზომებით, კატასტროფა აცილებულ იქნა.

ღერძის გატეხის გამო

2 დეკემბერს სადგ. თბილისში, მატ. № 100—3184-ს სადგურში შემოსვლის დროს ერთ-ერთ დატვირთულ ცისტერნას გაუტყდა ღერძი. ცისტერნა ლიანდაგიდან გადავარდა. მას უკანიდან დაეჯახნენ დანარჩენი ცისტერნები, ამის გამო ლიანდაგს ასცდა შვიდი ცისტერნა. ერთ-ერთი მათგანი დაზიანდა საგრძნობლად.

მიღებული ზომებით, შეწყვეტილი მოძრაობა აღადგინეს.

სადგურის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება

თბილისის სადგურთან არსებულ ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ოპერაციების გადიდების გამო, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატს განზრახვა აქვს სადგურთან აგოს ახალი შენობა.

დასაშლელი სახლები

მოსკოვის სამრეწველო-კოოპერატიულმა ამხანაგობამ „ნორდ"-მა ა.-კ. რკ. გზების გამგეობას წინადადება მისცა შეიძინოს მისგან დასაშლელ სახლები და სხვა ნაგებობათა კომპლექტები.

დასაშლელი სახლები ძალიან ადვილად გადააქვთ ადგილიდან—ადგილზე, არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივ სახლებისაგან. უძლებენ ყოველგვარ კლიმატიურ პირობებს და ჯდება გაცილებით იაფად, ვინემ ჩვეულებრივი სახლები.

დასაშლელი სახლები შეიცავენ 2-3 ბინას და მათი შეკრება და დადგმა შეუძლიათ არა სპეციალისტებსაც 3-4 დღეში.

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა დაინტერესდა ამ ტიპის სახლებით და სთხოვა ამხანაგობას აცნობოს დაწვრილებითი ცნობები.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 3 დეკემბერი

დღეს, 3 დეკემბერს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ [illegible] გადაიცემა:—

კინოს კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში—ქართულ ენაზე.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

ალკოჰოლიზმი და მასთან ბრძოლა-რუსულ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა თბილისში—რუსულ და სომხურ ენებზე.

გაზეთი „ენქლაბ"—თურქულ ენაზე.

ობსერვატორიის ცნობა.

მუსიკის ახსნა-განმარტება.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს სამ დეკემბერს შრომის ბირჟის კვალიფიციურ მუშათა 1-ლ სექციას სჭირდება: ცომის მზელავები—10 კაცი. ხუთი პურის მცხობელი და ორი [illegible]. გარდა ამისა სექციას სჭირდება მკინძავები. აღნიშნულ კვალიფიკაციის მომუშავეებს შეუძლიათ მიმართონ დღეს სექციის გამგეს ამხ. შეროევს.

ნარევი

ასტრონომია ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში

ამერიკის ერთ-ერთ ქალაქში მეტად უცნაურ პირობებში მოკლეს ვიღაც კაცი. ეჭვით დააპატიმრეს მოკლულის ნათესავი. უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ მკვლელობის მომენტში იმყოფებოდა ქალაქგარეთ, ნაცნობ-მეგობრებში. მაგრამ ვერ მოახერხა იმ დროის გამორკვევა სისწორით, რომელიც დაპატიმრებულმა ნაცნობებთან გაატარა. მოკლულის გვამის გაკვეთამ დაამტკიცა, რომ მკვლელობა მოხდა დილის 11 საათზე. ბრალდებულის უდანაშაულობის დასამტკიცებლად დამცველმა წარმოადგინეს ფოტოგრაფია, რომელზეც ბრალდებული გადაღებული იყო თავის ამხანაგებთან. სურათზე მოსჩანდა ჩრდილი ტელეგრაფის ბოძიდან, რომელთანაც იდგა ბრალდებული თავის ამხანაგებთან, ერთად, როცა მათ იღებდა ქუჩის ფოტოგრაფი. ფოტოგრაფია გადასცეს გამოცდილ ასტრონომს, რომელმაც ჩრდილის სიგრძის მიხედვით გამოარკვია მზის სიმაღლე ჰორიზონტზე სურათის გადაღების მომენტში. გამოირკვა, რომ ამ სიმაღლეზე მზე იმყოფება დილის 11 საათზე და 20 წ. ამრიგად დამტკიცებულ იქნა, რომ ბრალდებულს არ შეეძლო მკვლელობის ჩადენა, რადგან მეგობრებთან მისი შეხვედრისა და სურათის გადაღების მომენტებს შორის გავიდა არა უმეტეს ორი საათისა. სასამართლომ ეს საბუთები საკმაოთ სარწმუნოთ სცნო და გაამართლა ბრალდებული.

ფოსტა ზღვის ფსკერზე

საფრანგეთის ინჟინერების ჯგუფმა შეიმუშავა ამერიკასა და ევროპას შორის პნევმატიური საფოსტო კავშირის მოწყობის პროექტი. მილები ახალი ფოსტისათვის დაგებული იქნება ოკეანეს ფსკერზე. „ყუმბარა", რომელშიც მოთავსებული იქნება საფოსტო კორესპონდენცია, წარმოადგენს ნაღმის მაგვარ მოწყობილობას, რომელსაც სპეციალური იარაღით ისვრიან მილში და რომელიც არაჩვეულებრივი სისწრაფით იმოძრავებს. წერილები ევროპიდან ამერიკაში გადაიგზავნება 8 ნახ. საათში ახლანდელი 8 დღის მაგიერ (გემით). პნევმატიური ფოსტის მოწყობა წინასწარი ანგარიშით დაჯდება 50 მილიონი მანეთი.

ლომის გადაყვანა აეროპლანით

ამერიკელმა მფრინავმა იენსენი თავისი აეროპლანით სანდიეგოდან ნიუ-იორკში გადაფრინდა ლომით, რომელიც სპეციალურ გალიაში იჯდა. გზაში აეროპლანი ჩამოვარდა და დაიმტვრა. მფრინავი და ლომი გადარჩნენ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ბაბიო ჩიტოიანს, კარაპეტ ჰაკოფჯანიანს, სერგო ცატუროვს და არტამ მარკაროვს გამოცხადდენ დღეს, 3 დეკემბერს დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 12).

დღეს, 3 დეკემბერს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრალ. კაბინეტში შესდგება ქვემოდ ჩამოთვლილი პოლიტსკოლათა სემინარების ხელმძღვანელთა სხდომა:

საღამოს 7 საათზე—უმაღლესი საბ-პარტსკოლის.

საღამოს 5 საათზე—ახ. ლ. კ. კ. მე-2-ე საფეხურის პოლიტსკოლის;

საღამოს 6 საათზე—პარტქსელის პირველ საფეხურის პოლიტსკოლის;

საღამოს 7 საათზე—პარტქსელის მე-2-ე საფეხურის პოლიტსკოლის;

ხსენებულ პოლიტსკოლათა ყველა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) ცკას სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ანდრო კვაჭაძეს ორი დღის ვადაში გამოცხადდეს ცეკაში, ამხ. კვირკველიასთან. ოთახი № 11.

დღეს, შაბათს სრულ 12 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივის მორიგი სხდომა. გარდა ბიურო-კოლექტივის წევრებისა და კანდიდატებისა, უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ალფაიძე, ბრეგვაძე, ბელავა სახინო, ცინცაძე რაულ, კაკაბაძე ალექტინოვი, შამთავა ვ., ჰეჰინავა გრიგოლ და ყველა ისინი, რომელთაც შემოტანილი აქვს განცხადება.

სახელმწ. უნივერ. სოც.-ეკონომ. ფაკულტ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 3 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია კომკავშირის უჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა უჯრედის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

დღეს, 3 დეკემბერს კავშირ-გამომცემლობის ოლქო სამმართველოს შენობაში შესდგება კოოპერატიულ სექციაში ჩაწერილ ქალაქის რაიონის დელეგატ ქალთა კრება.

იუსტიციის სახალხო კომისარიატი მწუხარებით იუწყება, რომ ა | წ. 1 დეკემბერს გარდაიცვალა უანგარო, მუყაითი და თავდადებული თანამშრომელი

გიორგი იოსებისძე კახიძე

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ბარნოვის შესახვევი № 12) კვირას, 4 დეკემბერს დღის 1-ლ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე 653

იუსტიციის სახალხო კომისარიატის ადგილკომი და მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან, რომ ა | წ 1 დეკემბერს გარდაიცვალა უანგარო და თავდადებული მუშაკი

გიორგი იოსებისძე კახიძე

გამოსვენება საკუთარი ბინიდან (ბარნოვის, ყოფ. გუნიბის შესახვევი № 12). დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 დეკემბერს დღის 1-ლ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე. 650

კლიმენტი დავითისძე, ანდრია კლემენტისძე და ალექსანდრა ილიას ასული, გიორგი კლემენტისძე და ნინო გრიგოლის ასული ლორთქიფანიძენი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ კვირას, 4 დეკემბერს გადახდილ იქნება წლის პანაშვიდი პირველის მეუღლის და უკანასკნელთა დედის

პელაგია გრიგოლის ასულის
ლორთქიფანიძის

ვერის ახალ სასაფლაოზე ნაშუადღევის 1½ საათზე. 649

ღრმად დამწუხრებული დედა ეფროსია (ეფრო) დავითის ასული, მეუღლე ნადია ნიკოლოზის ასული შვილებით ავთანდილი და ძერია, ბიძა ილიკო ქურდევანიძე თავისი ცოლშვილით აუწყებენ ყველა ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ერთად ერთი იმედი და ნუგეში, მასწავლებელი ხაშურის რკინისგზის მეორე შრომის სკოლისა

გიორგი არჩილისძე
ქურდევანიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქ ხაშურში. ნ. 297 2-1

ხაშურის რაიონის განათლების მუშაკთა კავშირი მწუხარებით აუწყებს ყველა ნათესავთ და ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე კავშირის თავმჯდომარე, დაუღალავი მუშაკი

ამხ. გიორგი არჩილისძე
ქურდევანიძე

დაკრძალვა მოხდება კვირას, 4 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ქ. ხაშურში ნ. 297 2-1

ღრმათ დამწუხრებული შვილი, ოლღა, მეუღლე მისი ნიკო კობახიძე, დისწული იოსებ ბესელიძე მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ

პელაგია იოსების ასული
თედეშვილის

მოსაგონრად გადახდილი იქნება გარდაცვალების ნახევარი წლის თავის გამო პანაშვიდი, კვირას 4 დეკემბერს 12 საათზე, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში. 645

სააქციო საზ. „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 1-ლ დეკემბერს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (ყოფ. მიხეილის) გარდაიცვალა მიქელ-გაბრიელის ჩაის ქარხნის გამგე

ილია დავითისძე გოგუაძე

გამოსვენება მოხდება საავადმყოფოდან 3 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე ქალაქის რკინის გზის სადგურზე. 655

ულრმესად დამწუხრებული მამა დარისპან თევზაძე, ძმები: რაჟდენ, არტემ და ნიკიფორე, რძლები: ქენია და ნინა, დები: თეკლე და პრისტი სიძენი მელიტონ ჩიკვაძე და კაპიტონ სარიშვილი ახლო ნათესავებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულის

ნოე დარისპანისძე თევზაძის

წლის თავზე კვირას, 4 დეკემბერს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი წმინდა ნინოს სასაფლაოზე, ნაშუადღევის 1 საათზე. 647

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის და ცენტრ. კომიტეტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ძველი მუშის—თბილისის კომიტეტის სამდივნოს ბიუროს გამგის—სპირიდონ ბაიბურაშვილის მამის

მიხეილ გრიგოლის-ძე
ბაიბურაშვილის

გარდაცვალებას. (ნ)

ობჩის თემის მასწავლებლობა გულითადი მწუხარებით იუწყება, რომ ქალ. ქუთაისში ა | წ 27 ნოემბერს გარდაიცვალა 20 წლის დამსახურებული მასწავლებელი და საყვარელი ამხანაგი

ვარლამ იესესძე
ნებიერიძე

დაკრძალვა მოხდება სოფ. ობჩაში 3 დეკემბერს. (ფოს.)

აპოლო
სოლეი
არფასტო
დარბაზი
სახ. კინმრეწვის თეატრები
ი—22 ნ.

ემილ იანინგსი შეუდარებელ სურათში
„კაცი და ლივრეა"
ყოველდღიური ანშლაგები. დადგმის მეორე კვირა.
გრანდიოზული სურათი
„პოეტი და მეფე"
რეჟ. ვ. გარდინი.
ამერიკის ტრიუკებიანი კინო-რომანი
„კოვბოი ბუკ-რაველის
თავგადასავალი"

ცირკი
„კოლოსი"
ტელ. 16—67
ნ. 299 2—1

შაბათს 3 დეკემბერს,
მსოფლიო გენიოსის ევროპის სახელგანთქმულ ჰიპნოტიზიორის !! ტორ-რამას !!
და მისი მხეცების ლომის, ძუ-ლომის, არწივების, მგელის და სხვ. ცხოველების მესამე გამოსვლა. დასაწყისი 8 ½ საათზე.
მონაწ. მთელი დასი, ყველა გასტროლიორები, ყველა ატრაქციონები.
კვირას, დღისით წარმოდგენა, რომელშიაც შედის საღამოს პროგრამა.
დირექცია ი. ზ. კუდრიავცევი. რწმუნებ. კ. გროდზინსკი. ადმინისტრატ. მ. ტადე.

ქუთაისის შრომის სესიის აღმასრულებელი
ვ. გაბადაძე

ამით აცხადებს, რომ ქალ. ქუთაისში ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე № 40 დანიშნულია 6 დეკემბერს 1927 წ. დღის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** იასონ ალექსის-ძე ბერიშვილის 8000 რკინა აგურის, დაფასებული 104 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან და აგური გაიყიდება ნოე გვირეშიძის შრომის ხელფასის ძიების დასაკმაყოფილებლად. ნ. 298

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოგორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 16 დეკემბერს 1927 წ. დღით 12 საათზე დანიშნულია ქ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე სახლი № 45 მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება აბრამ მიხეილის-ძე ფიზიცკის შენობის, რომელიც შეიცავს ერთი მეხუთედი ნაწილის უფლებას ერთი ორ სართულიანი ქვითკირის სახლისას, შემდგარის მზად 14 ოთახისაგან, სამი სამზარეულოსაგან და დანგრეული კედლებისაგან, შეფასებული 2000 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ან იმ თანხიდან, რომელიც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან საკავშირო საფეიქრო სინდიკატის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10% საწინდარი. ნ. 298

იყიდება
პიანინო
კოსპერრის ფირმის, პარიზი. მისამართი არსენალის შესახვევი № 5, მესხიშვილის ბინა. 651

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
იღებს 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე. კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. № 1 (ყ. ფრეილინისა) 25—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი მეზრაბიანცი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
ფილტვების, [illegible] და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონოთერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ 2—5

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8. საათ. პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1)

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით
მიღება საღამოს 5—8 საათამდის ნ. 25—1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით ღებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. ზ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 1—25

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, № 3, 25-

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი.
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7 ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 13—1

ს. ა. დიშელი
დაამთავრა
სილამაზის ინსტიტუტი
პარიზსა და ბერლინში. ელექტრო-ვიბრო-მასაჟი-სინათლით, ორთქლით, კოსმეტიური, ვაპორიზაცია,—სპობს სახის ყოველგვარ დეფექტებს: ნაოჭებს, მეჭეჭებს, სიწითლეს, ჭორფლს, საოფლეების გადიდებას და სხ. საპიორის ქ. № 22. 25—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 2054 და უმუშევართა დაზღვევის წიგნაკი № 3852 ნიკო სტეფანის-ძე ხუროშვილის სახელზე, ჩ. გ. 642

დავკარგე რეგისტრაციის მოწმობა ლევან კუჭუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 645

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 1040 ივანე ვასილის-ძე სპარსიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 644

დავკარგე პირადობის მოწმობა № 2220 არუთინ კალოევის სახელზე, ჩ. გ 646

დავკარგე პირადობის მოწმობა ნიკოლოზ მიხეილის-ძე მინდოდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 643

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი № 8235 ზეჭრქა მდივანოვის სახელზე ჩ. გ. 648

დავკარგე აღმშენებლობითი კავშირის წიგნაკი ლუკა კაციას-ძე მაისაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 298

დავკარგე ლომბარდის ქვითარი № 21733 მორდეხ დავითის-ძე დანიელოვის სახელზე, ჩ. გ. 654

პოლიგრაფტრესტის მე 5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68